

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მ. ცინცაძე

საქართველო-ადიღუს ურთიერთობის ისტორიიდან



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1982

9(41+4)
63.3(2Γ:24)
9(47. 922:47.911.3)
ც 661

მონოგრაფიაში გაშუქებულია საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიის მთავარი საკითხები უძველესი დროიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

გარდა უცხოური წყაროებისა, ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული ქართული წერილობითი ცნობები, რაც ერთგვარ სიახლეს ანიჭებს აღნიშნულ მონოგრაფიას. ამასთანავე გამოყენებულია არქეოლოგიური, ტოპონიმიკური, ფოლკლორული და განსაკუთრებით ეთნოგრაფიული მასალა.

წინამდებარე ნაშრომში ამ წყაროების ერთობლივი გამოყენებით განხილულია ადიღელი და ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები.

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ისტორიისა და მათი საქართველოსთან ურთიერთობის გარკვევის საქმე სერიოზულ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. კავკასიის მთიანეთის მრავალრიცხოვან ჯაღბებს შორის ადიღეელთა ისტორიის საკითხების საქართველოსთან ურთიერთობის ასპექტში უფრო დაწვრილებით განხილვა ახალ შუქს შეიტანს ამ ხალხის ისტორიის შემდგომი კვლევა-ძიების საქმეში.

ადიღელი და ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლისას არაერთ მკვლევარს გამოუყენებია ქართული ისტორიული წყაროები, რომელთაც საკუთრივ თითოეული ამ ხალხის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ზ. ანჩაბაძე, დ. ლავროვი, ე. კუშევა და სხვ.), მაგრამ ჯერჯერობით ადიღე-საქართველოს ხალხთა ურთიერთობის ისტორია სპეციალური შესწავლის საგნად არავის გაუხდია; აღნიშნული საკითხის მონოგრაფიული დამუშავება თავისთავად რთულდება არსებული ისტორიული წყაროების მეტისმეტი სიმცირის გამო, მაგრამ, რაც არის, ადიღეელთა ისტორიის მკვლევართა მიერ ვერაა სათანადოდ გამოყენებული. აქ ვგულისხმობთ თანამედროვე ადიღელი და რუსი ისტორიკოსების იმ ნაწილს, რომლებიც სპეციალურად ადიღე-ჩერქეზეთის ისტორიაზე მუშაობენ (ბ. ჯიმოვი, ე. ალექსეევა, ე. ნევსკაია და ახვ.). მათ ქართული ისტორიული წყაროების არასაკმარისი ცოდნის გამო ბევრი საინტერესო ცნობა ყურადღების მიღმა რჩებათ. წერილობითი წყაროების სიმცირეს, ნაწილობრივ, ავსებს ის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მოპოვებულია გასულსა და მიმდინარე საუკუნეებში და სადაც კარგად ჩანს კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ამსახველი არაერთი მომენტი; ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფი-

ის განყოფილების მიერ 1957 წელს ადიღეში მოწყობილი ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია), რომლის მიერ მოპოვებულ მასალას არაერთხელ ვიჭოწმებთ.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე გამოიცა რამდენიმე ძალზე საჭირო მონოგრაფია (გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958 წ.; თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1963 წ.; მისივე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1968 წ. ა. შაგხელი-შვილი, საქართველო-ჩეჩენ-ინგუშეთის ურთიერთობა, XVI—XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1980 წ.), სადაც გაშუქებულია საქართველოს ურთიერთობის ისტორია ჩრდილოეთ კავკასიის იმ ხალხებთან, რომლებთანაც უძველესი დროიდან გვაქვს მეზობლობა.

აღნიშნულმა ნაშრომებმა მყარი ნიადაგი შექმნა ამ მიმართულებით მომავალი კვლევა-ძიებისათვის.

საკითხის სირთულისა და წყაროების სიმცირის გამო არ გვექონდა საშუალება თანაბარი სისრულით წარმოგვეჩინა საქართველო-ადიღეს ურთიერთობათა ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, თუმცა წინამდებარე გამოკვლევაში ამ ურთიერთობათა ადრეული ეტაპის ამსახველი არაერთი საკითხია განხილული.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი ამ სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს. ამავე დროს ჩვენ წინამდებარე გამოკვლევა მიგვაჩნია მოკრძალებულ წვლილად ხალხთა მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1 * ადიღეელ ტომებს ეკავათ საკმაოდ ვრცელი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის აუზში. *

2 * აღნიშნული მხარე, უძველესი დროიდან, წარმოადგენდა ადიღურ-აფხაზური მოდგმის ტომების საცხოვრისს, სხვადასხვა ეპოქაში, სათანადო პოლიტიკურ მდგომარეობათა შესაბამისად ადიღეელთა სამფლობელოები განიცდიდნენ მეტნაკლებ ტერიტორიულ ცვლილებებს, მაგრამ ამ ხალხის ძირითადი ნაწილი ყოველთვის აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში რჩებოდა.

3 * ადიღეელებით დასახლებული ტერიტორიის განსაზღვრა, შედარებით უფრო ზუსტად, შესაძლებელია გვიანი შუა საუკუნეებისათვის, როდესაც დასავლეთ კავკასია მოექცა პოლიტიკურ მოვლენათა ცენტრში და შესაბამისად იმატა სათანადო ინფორმაციამ რუსულ და უცხოურ ენებზე. *

4 * გვიანი შუა საუკუნეებისათვის ადიღეელებით დასახლებულ მიწა-წყალი აღმოსავლეთიდან ისაზღვრებოდა მდ. ლაბას აუზით, სამხრეთიდან კავკასიონის მთავარი მთაგრეხილით, ხოლო დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კი შავი ზღვით, სადაც კავკასიონის მთასა და შავ ზღვას შორის მოქცეულ ძალზე ვიწრო სანაპირო ზოლში ისინი ემეზობლებოდნენ აფხაზებს. *

* აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა იმ ძირითად არტერიას, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სამეფო უკავშირდებოდა ეთნიკურად და კულტურულად აფხაზებისავე მონათესავე ადიღეელ ტომებს. *

აფხაზეთი ადიღეელებთან ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების პირობებში წარმოადგენდა იმ რეგიონს, საიდანაც ხდებოდა კულტურული ურთიერთობა ადიღეელებსა და საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს შორის. *

* საკუთრივ ადიღეელ ტომებს, აფხაზებისა და სვანების გარდა, საქართველოს არც ერთი კუთხე არ ემეზობლებოდა, მაგრამ ადი-

ღეუბრი წარმოშობის ყაბარღოელებს, რომლებიც თავიანთი ენითა და წეს-ჩვეულებებით ახლო დგანან ადიღეელებთან, უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ამავ დროს ხელსაყრელი გადასავლელების წყალობით ხორციელდებოდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული კავშირი არა მარტო ყაბარღოსთან, არამედ საკუთრივ იმ ადიღეელ ტომებთანაც, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ მდ. ყუბანის სათავეებში¹.

* აღნიშნული გეოგრაფიული ექსპოზიციიდან გამომდინარე, ადიღე-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაზე მუშაობისას, პირველ რიგში, აქცენტი ადიღე-აფხაზეთისა და ადიღე-სვანეთის ურთიერთობაზე უნდა იქნეს გამახვილებული, იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთობანი დასავლეთ საქართველოს ამ მხარეებზე გამავალი გზებითა და მათი უშუალო თანამონაწილეობით ხორციელდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა აფხაზეთის სამთავრო, რომელიც, ერთი მხრივ, უშუალოდ ემეზობლებოდა ადიღეელ ტომებსა და, მეორე მხრივ, უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმთან, ხოლო დროდადრო მეზობლებთან ურთიერთობაში იგი უშუალოდ საქართველოს მმართველთა ინტერესებს გამოხატავდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს კარგადაა ცნობილი, რომ ადიღე შედგებოდა ურთიერთმონათესავე, ეთნიკურად ერთიმეორესთან უაღრესად ახლო მდგომ ცალკეული ტომებისაგან², რომლებსაც გარკვეული ტერიტორიები (ხეობა თუ ხეობები) ეკავათ. ნართალია, ასეთი ტომობრივი საზღვრები არ იყო მყარი და განსაკუთრებით გვიანი შუა საუკუნეებისათვის იგი საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა, შავრამ ამ ტომების უმრავლესობამ, როგორც ცალკეულმა მიკროპოლიტიკურმა ერთეულმა, XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემოინახა თავი.

ადიღეელებში XIX საუკუნის დასაწყისისათვის ცნობილი იყო შემდეგი ტომები: ხეგაკები, წოფსინები, ნატუხაელები, მათსულეები, აბაძენები, ბუედუქები, ხამიშეველები, მახოშეველები, მამხეგოელები, ბესლენეელები, ხაკუჩები, აბაზელები და სხვ.

¹ Е. П. Алексеева, Очерки по экономике и культуре народов Черкесии в XVI—XVII вв., Черкесск, 1957.

² მ. ცინცაძე, ადიღელთა ტომობრივი შედგენილობა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი XIX ს. პირველ ნახევარში, ეურნ. „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 119—125.

ყველა აქ ჩამოთვლილი ტომი თანაბარი სიძლიერის არ იყო და მათი მიწა-წყალი დიდად განსხვავდებოდა სიდიდით. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ქვეყნის შიგნით ცალკეულ ადიღეულ ტომებს შორის არასდროს არ ყოფილა დაწესებული მუდმივი საზღვრები. მრავალსაუკუნოვანი ომები და გამუდმებული თავდასხმები, მოულოდნელი პოლიტიკური სიტუაციები და ეკონომიკური კრიზისები, რამაც განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი XVIII—XIX საუკუნეებში, აგრეთვე მეურნეობასთან დაკავშირებული აუცილებლობანი, ხშირად აიძულებდა ცალკეულ ადიღეულ ტომებს, გამოეცვალათ თავისი ადგილსამყოფელი და სხვაგან გადასახლებულიყვნენ, რასაც, მძაფრი შესლა-შემოხლის გარდა, თან სდევდა ცალკეული ტომების შერწყმ-შერევა. გარდა იმისა, რომ განუწყვეტელი ომებისა და თავდასხმების გამო ხდებოდა ცალკეული ტომების ფიზიკური მოსპობა-გადაგვარება და ამ გზით გაქრობა, მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე ადიღეულ ტომებში, ფეოდალურ ურთიერთობათა თანდათანობით განვითარებასთან ერთად, წარმოებდა მათი კონსოლიდაციის და ურთიერთშერწყმის ნელი, მაგრამ საგრძნობი პროცესი. ამიტომაც იყო, რომ ნაწილი ამ ტომებისა, რომლებიც შედარებით ადრეულ წყაროებში რელიეფურად ფიგურირებენ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორებთან იშვიათად ან აღარ მოიხსენიებიან.

ქვემოთ მოკლედ აღვწერთ (სათანადო საზღვრების ჩვენებით) ადიღეულთა ყველა იმ ეთნიკურ ერთეულს, რომელმაც თავი შემოინახა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დამდეგისათვის. რა თქმა უნდა, იმ ტომებს შორის, რომელთა შესახებაც გვექნება საუბარი, ყველა თანაბარი სიძლიერის არ ყოფილა და მათი როლიც ქვეყნის ცხოვრებაში საკმაოდ განსხვავებული იყო, მაგრამ ისტორიულად თითოეულ მათგანს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში.

კავკასიონის მთაგრეხილის დასავლეთ ბოლოზე, მდ. ანაპისა (ანუ მდ. ბუგურის) და მათი შენაკადების აუზში ცხოვრობდა შეგაკების, ანუ ხეგაკების მცირერიცხოვანი ტომი,³ რომელიც XVIII საუკუნის დეორე ნახევრამდე ინარჩუნებდა თვითმყოფადობას. უფრო ადრე მათი საცხოვრისი შედარებით ვრცელი ყოფილა და მოიცავდა მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადის მდ. აბინისა და შავი ზღვის სანაპიროს

³ Очерки истории Адыгеи, Майкоп, 1957, с. 149. ქვემოთ—ОИА.

შორის მდებარე ტერიტორიას⁴. დიუბუა დე-მონპერეს ცნობით, ხეგაეები „ზღვის მცხოვრებთა“ სახელითაც იყვნენ ცნობილნი⁵ და მათი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი თითქმის თანამედროვე ნოვოროსიასკამდე აღწევდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჯირიმელი თათრების განუწყვეტელი თავდასხმებისა და მეზობელ ნატუხაელებთან ხშირი შეტაკების გამო აღნიშნული ტომი რიც-ხობრივად ძლიერ შემცირდა და ბოლოს მთლიანად განადგურდა: ხეგაეების ცალკეული გადარჩენილი გვარები თანდათანობით მეზო-ხელ ნატუხაელებს შეუერთდნენ და მათში გაითქვიფნენ.

ხეგაეების მახლობლად, მათ ჩრდილო-დასავლეთით ცხოვ-რობდა კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი, რომელ-საც ჩოფსინები ეწოდებოდათ. თვით ისინი თავის თავს წოფსინებს უწოდებდნენ⁶. წოფსინებს, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, უკვე აღარ მოიხსენიებს XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ავ-ტორი ქსავერიო გლავანი. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის და-საწყისისათვის ამ ეთნაკური ჯგუფის მცირე ნაშთები კიდევ არ-სებობდნენ და, მსგავსად ხეგაეებისა, შეუერთდნენ ნატუხაელებს.

ხეგაეებისა და წოფსინების სიახლოვეს ცხოვრობდა კიდევ ერთი მცირე ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც ლ. ლულიე⁷ გოაიეს უწოდებს.

მდ. ყუბანის ზღვასთან შეერთების რაიონში ცხოვრობდა ერთ დროს ძლიერი და ხალხმრავალი ტომი — ჟანეელები, რომლებიც მოგვიანებით ძალიან დასუსტდნენ და თანდათანობით ჩამოვიდნენ. პოლიტიკური ასპარეზიდან. XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, ჟანეელები თითქოს მდ. ფშადის მიდამოებში სახლობდნენ, მაგრამ იმავე XVII საუკუნის პირველ ნახე-ვარში ხაჯი ხალფას მიერ შედგენილ რუკაზე ჟანეელთა მიწები მოთავსებულია ყუბანის მარჯვენა ტოტის—ყარაყუბანის გასწ-ვრივ. საყურადღებოა, რომ XVI საუკუნის თურქი ავტორი ქათიბ ჩელები ადიღეელ ტომებს შორის მოიხსენიებს დიდ ჯანას და პატა-

⁴ К. Главани, Описание черкесий 1729 г., Тифл., 1893. ქსავე-რიო გლავანი ხეგაეებს საგაეების სახელით მოიხსენიებს. მისი აღწერიდან ჩანს, რომ ეს ეთნიკური ერთეული XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ყიზილტაშის ლი-მანამდე და თვით აზოვის ზღვამდეც აღწევდა.

⁵ Дюбуа де Монперэ, Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1937, с. 37—38.

⁶ ОИА, с. 150

⁷ Л. Я. Люлье, Черкесия, Краснодар, 1927, с. 12.

რა ჯანას (—ყანა-ყანეს)⁸. ყანეელთა ნაწილი მოგვიანებით აღმოსავლეთით გადასახლდა და ბუქედუხების ტომს შეუერთდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიონის ბოლოზე ადრე არსებულ ამ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფთა ადგილი ძირითადად ნ ა ტ უ ხ ა ე ლ ე ბ მ ა დაიკავეს: როგორც დიუბუა დე-მონპერე მიუთითებს, ზღვისპირეთში ისინი მდ. შაპსინსა და მდ. ფშადს შორის მოსახლეობდნენ⁹. ნატუხაელები მთელი გვიანი შუა საუკუნეებისათვის წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მრავალრიცხოვან, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ ეთნიკურ ერთეულს¹⁰. XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მეფის რუსეთის არმიამ საბოლოოდ დაიპყრო ადიღეელთა ტერიტორია, ნატუხაელები შეუერთდნენ იმ მოპაჭირებს, რომლებიც თურქეთში გადასახლდნენ¹¹.

ნატუხაელების მეზობლები იყვნენ შაფსულები, რომლებიც იყოფოდნენ ორ ნაწილად: დიდ და მცირე შაფსულებად¹². დიდი შაფსულეთი მდებარეობდა მდ. ადაგუმის მარცხენა შენაკადის — მდ. კუდაკოსა და მდ. აფიპსს შუა მდებარე ტერიტორიაზე. მცირე შაფსულეთი მდებარეობდა დიდი შაფსულეთის სამხრეთით, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მდ. ჯუბლასა და მდ. შახეს შორის და გამოდიოდა შავი ზღვის სანაპიროზე¹³. XVIII საუკუნემდე შაფსულებს, ისევე როგორც სხვა ადიღეელ ტომებს, ეკა-

⁸ ჭათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თარგმან. გ. ალასანიასი. თბ., 1978, გვ. 132.

⁹ Дюбуа де Монперэ, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

¹⁰ В. К. Гарданов, Общественный строй адыгских народов, М., 1967, с. 42, таблица, № 2.

¹¹ В. П. Невская, Присоединение Черкесии к России и его социально-экономические последствия, Черкесск, 1956.

¹² Г. В. Новицкий, Географическо-статистическое обозрение земли, населенной народом адыхе. «Тифлиссские ведомости», 1829, № 22. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, ადიღეელთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება XVI—XVIII სს. თბ., 1962, გვ. 21

Н. Г. Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа XVIII-начале XX века. М., 1974, с. 15—43.

¹³ М. В. Покровский, Адыгейские племена в конце XVIII—первой половине XIX века. Кавказский этнографический сборник, П. М., 1958, с. 91—93, Л. Я. Льюлье, О натухаджах, шапсугах и абадзехах. ЗКОРГО, кн. IV, Тифлис, 1857.

Дюбуа де Монперэ, указ. соч., с. 37.

ვთ მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საკმაოდ ვრცელი ნიწები, რომლებსაც უპირატესად საძოვრებად იყენებდნენ. მაგრამ ყირიმის ხანების გაუთავებელმა თავდასხმებმა და ამ მხარეში კახაკური მოსახლეობის გაჩენამ საგრძნობლად შეამცირა მათი მიწა-წყალი. შაფსულები იყოფოდნენ 8 საზოგადოებად. თითოეულ ამ საზოგადოებაში (ხაბლში) ერთიანდებოდნენ შრავალრიცხოვანი თემები (ფსუხო) თავისი აულებითა და კუოჯებით (სოფლებით). მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა. ამასთანავე საკმაოდ ფართოდ მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც. მდიდარ სამიწათმოქმედო კულტურებზე მიუთითებს ახალი ეთნოგრაფიული მასალები¹⁴.

სხვა ადიღურ ტომებთან შედარებით, ყველაზე უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავათ აბაძეხებს¹⁵. ისტორიულ წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ შაფსულების შემდეგ ისინი ყველაზე უფრო ხალხ-ძრავალ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდნენ¹⁵. აბაძეხთა საცხოვრისი გადაქიმული იყო მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადების—მდ. აფიპისა და მდ. ლაბას აუზებს შორის. აბაძეხების ჩრდილოეთი საზღვარი XVIII—XIX საუკუნეებში განიცილდა გარკვეულ ცვალებადობას. ამ მიმართულებით მათი მეზობლები იყვნენ ბეედუხები, რომლებიც მდ. ყუბანისა და აბაძეხებს შორის იყვნენ განსა-

¹⁴ Г. С. Ч и т а я, Некоторые итоги экспедиционной работы 1957, г., Отдел этнографии института истории АН ГССР, сб. М а с а л ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ს ა თ ე ს ი ს, ტ. XI, თბ., 1960.

¹⁵ К. Ф. С т а л ь, Этнографический очерк черкесского народа. Кавказский сборник, т. XXI, Тифлис, 1910.

Н. Ф. Д у б р о в н и, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб, 1871.

А. Н. Д ь я ч к о в - Т а р а с о в, Абадзехи, ЗКОРГО, кн. XXII, вып. I, Тифлис, 1902, с. 2—4.

Н. К а р л г о ф, О политическом устройстве черкесских племен, населяющих Сев. - Восточный берег Черного моря. Русский Вестник, т. 28, 1860, кн. II, с. 521.

¹⁶ Ф. Ф. Т о р н а у, Воспоминания Кавказского офицера. Русский Вестник, 1864, № 10. К. К о с с, Reise durch Russland nach Kaukasischen Jsthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838. Stuttgart und Tübingen, 1848.

Tableau historique, topographique, statistique, ethnographique et militaire du Caucase par J. de Blfaramberg. 1834. vol. I, et. II ЦГ-ВИА, ф. ВУА, г. —18508. С. М. Б р о н е в с к и й, Новейшие географические и исторические известия с Кавказа, ч. II, М., 1823.

ხლებულნი¹⁷, მაგრამ თანდათანობით აბაძეხებმა ბეედუხთა ერთი ნაწილი შეავიწროვეს და აიძულეს გადასახლებულიყვნენ მთაში მდ. აფიპსის სათავეებში¹⁸, რის შემდეგაც აბაძეხების ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ყუბანს დაუახლოვდა¹⁹; აღმოსავლეთით მათ საზღვარს წარმოადგენდა მდ. ბელაიას ხეობათა წყალგამყოფი ქედი, სადაც მათ აბაზინური წარმოშობის ბარაკიელები და ბაგოელები ემეზობლებოდნენ. აბაძეხთა სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა კავკასიონის მთავარი ქედი, რომლის გადაღმაც, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, მიწებზე მცირე შაფსულებისა და უბიხების ტომები იყვნენ დასახლებულნი. აბაძეხთა ეთნიკური გაერთიანების ძლიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ გარშემო მცხოვრები ტომები (შაფსულები, ბეედუხები, ხატუკაელები, ადამიელები, ეგერუხაელები, მამხეგოელები, უბიხები და სხვ.) დროთა ვითარებაში განიცდიდნენ აბაძეხთა ძლიერ გავლენას. შეიმჩნეოდა ამ ტომთა ნაწილის აბაძეხებთან თანდათანობითი შერწყმის ტენდენცია²⁰. ამ ტომებს განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდათ მთიელ აფხაზებთან და საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიაში ამ ხალხმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: სხვაგვარად წარიმართა ბარის აბაძეხთა ბედი; XIX ს-ის მეორე ნახევარში მეფის რუსეთის დაპყრობითი ომების გამო აბაძეხთა ტომმა დიდი შევიწროება განიცადა. ამჟამად ამ ტომების მცირე ნაწილი ცხოვრობს მხოლოდ ერთ სოფელში—ხაკურინოხაბლში²¹.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი ადიღური ტომი: შაფსულები, ნატუხაელები და აბაძეხები მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე, როგორც რაოდენობრივი თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობითა და კულტურული დონით, წარმოადგენდნენ ყველაზე მოწინავე და ძლიერ ტომებს²².

ბეედუხები ცხოვრობდნენ აბაძეხების ჩრდილოეთით და აერთიანებდნენ ხამიშეველებს, ჩერჩენელებს და ჟანეელებს²³. ბეედუხების ნაწილი, რომელიც, ხამიშეველების სახელით იყო ცნობილი, აბაძეხების მტრული ზემოქმედების გამო იძულებული

¹⁷ М. В. Покровский, указ. соч., с. 91.

¹⁸ Е. П. Алексеева, указ. соч., сб. р.უკა.

¹⁹ ОИА, с. 150.

²⁰ А. Н. Дьячков-Тарасов, указ. соч., с. 2—4.

²¹ ОИА, с. 150.

²² В. К. Гарданов, указ. соч., с. 44.

²³ М. В. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

გახდა მდ. ფსეკუფსის სათავეებში ასულიყო²⁴, სადაც სახლობდნენ მათივე თანამეტომე მცირერიცხოვანი ჩერჩენელები²⁵. ბეედუხთა მცორე ნაწილი კი ყუბანისპირეთში ვიწრო ზოლად განსახლდა მდ. ფშიშამდე. ამ ეთნიკური ჯგუფის ასეთმა დაქუცმაცებამ და საკორდონო ხაზზე არსებულმა რთულმა ვითარებამ ხელი შეუწყო მათ ვადაშენებას. ბეედუხებს, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე ცხოვრობდნენ, ეწოდებოდათ ობუხეები, ანუ მთის იქითა ბეედუხები²⁶.

აღიღ ტომთა შორის ეკონომიკურად ყველაზე უფრო მძლავრ ტომს თემირგოელები წარმოადგენდნენ. ეკავათ მდ. ლაბასა და ბელაიას ქვემო წელის ნაყოფიერი მიწები. ჩრდილოეთით მათი ტერიტორია მდ. ყუბანამდე აღწევდა. სოციალური განვითარების თვალსაზრისით იგი საკმაოდ დაწინაურებული ტომი იყო. ფეოდალურმა ურთიერთობებმა მათში საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. თემირგოელების უახლოეს განშტოებას წარმოადგენდნენ მათივე მეზობელი ხატუკაელები, რომლებიც გადასახლდნენ ტაშანის ნახევარკუნძულზე და შეერივნენ არაადიდურ მოსახლეობას²⁷.

თემირგოელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მათთან უალრესად ახლო მდგომი მამხეგოელთა ტომი, რომელიც განსახლებული იყო ცენტრალურ ადიღეში, მდ. კურჩიფსის შესართავთან. თემირგოელთა გავლენის ქვეშ და მათ უშუალო ნათესაობაში იმყოფებოდა კიდევ რამდენიმე წვრილი ადიღური ერთეული, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ადამიელები. მათ თავდაპირველად მდ. ფშიშის აუზი და მდ. ლაბის ქვემო წელი ეკავათ²⁸. თემირგოელთა მონათესავე ეთნიკურ ერთეულადაა მიჩნეული მახოშვეელებიც, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევარში მდ. ფარსისა და მდ. ლაბას შენაკად მდ. ხოძს შორის სახლობდნენ²⁹.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადრეელთა ეთნიკური ერთეულებიდან ყველაზე აღმოსავლეთით ცხოვრობდა ბესლენეელთა საკმაოდ ძლიერი ტომი, რომელსაც

²⁴ Э в л и я Ч е л е б и, Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. ЗООИД, т. IX, Одесса, 1875, с. 179.

²⁵ М. В. П о к р о в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

²⁶ ОИА, გვ. 151.

²⁷ იქვე.

²⁸ ОИА, გვ. 152.

²⁹ ვ. З. ნეესკაას ნაშრომში წარმოდგენილ რუკაზე ეს ტომი არასწორადაა ლოკალიზებული. იხ. მისი Присоединение Черкесии к России, с. 6.

ეკავა მდ. ლაბას სათავეების მარჯვენა მხარე და მდ. ურუბის აუზის ნარცხენა ნაწილი. მართალია, მდ. ყუბანი პირობით საზღვარს წარმოადგენდა ყაბარდოელებსა და ბესლენეელებს შორის, მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ბესლენეელთა მიწებზე თანდათანობით გავრცელდა ყაბარდოელთა უფლებები. ყუბანზე გადიოდა რუსეთის საკორდონო ხაზის ძველი საზღვარი³⁰, თუმცა XVIII საუკუნის ბოლოს რუსებმა გადალახეს ყუბანი და აღიღესა და რუსეთს შორის საზღვრად იქცა მდ. ლაბა. ამიტომაც ბესლენეელთა ერთი ნაწილი აღრევე მოექცა რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტომებისა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში სანლობდა კიდევ რამდენიმე ტომი (ხაკუჩები, უბიხები, აბაზინები და სხვ.), რომლებიც ეთნიკურად ისევე ახლო ოდგნენ აღიღეელებთან, როგორც აფხაზებთან. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან აბაზინები, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარეების ლაბას, ურუპის, დიდი და მცირე ზელენჩუკისა და ყუბანის სათავეებში.

მკვლევართა ვარაუდით, აბაზინები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ეთნიკურ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე³¹. ლ. ლაეროვის აზრით, სანიგების, აფსილებისა და აფხაზების ეთნიკური შერწყმის პროცესში ერთ აფხაზ ხალხად აბაზინებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ამ თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეესრულებინა მარუხის გადასასვლელს, რომლის მეშვეობითაც (რა თქმა უნდა, სხვა მეორეხარისხოვან გზებილიკებთან ერთად) მთიელი აბაზინები ეშვებოდნენ აფხაზეთის ბარში. გარდა მთის ჭარბი მოსახლეობის მუდმივი ინფილტრაციისა, XIV—XVI საუკუნეებში აბაზინები კომპაქტურად ჩამოსახლებულან ტუათსესა და ბზიფს შორის მდებარე ტერიტორიაზე (მათ ეწოდებოდათ ხაკუჩები და ეკავათ შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების: აშეს, ფსეზუაფსეს და შახეს სათავეები). პარალელურად აბაზინები გარკვეულ როლს თამაშობდნენ აღიღეელთა ეთნიკურ ფორმირებაში, რადგანაც ისინი ლაბას, ურ-

³⁰ М. В. Покровский, *დასახ. ნაშრ. იხ. რუკა.*

³¹ Г. В. Новицкий, *Топографическое описание Северной покат, ости Кавказского хребта от крепости Анапа до истока реки Кубани 15 сентября 1830 года. Кубанские областные ведомости, 1884, № 34.*

უპის, ზელენჩუკისა და სხვა მდინარეთა ხეობების დაყოლებითაც ჩადიოდნენ ბარში და ერეოდნენ სხვადასხვა ადილ ტომებს³². *

აბაზინთა სულიერ და მატერიალურ კულტურაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს ყაბარდოელებმა, ბესლენეელებმა და აბაძეებმა.

ადილეური მოდგმის ტომებზე მსჯელობისას შეუძლებელია გვერდი აუუაროთ ყველაზე უფრო აღმოსავლეთით მცხოვრებ ყაბარდოელებს. რომლებმაც მონღოლთა მიერ აღან-ოსური მოსახლეობის შევიწროების შემდეგ თანდათანობით გადაინაცვლეს აღმოსავლეთისაკენ XIV საუკუნეში და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას დაეუფლნენ. XVI—XVIII საუკუნეებში ყაბარდოელებმა მძლავრი პოლიტიკური ორგანიზმი შექმნეს და აქტიურ როლს თამაშობდნენ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე მეზობლებთან ურთიერთობაში. ადილეური მოდგმის ტომებიდან, გვიან შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსთან სწორედ ყაბარდოელებს ჰქონდათ³³. აღმოსავლეთ საქართველოს მმართველები ყაბარდოელებთან ურთიერთობას უპირატესად დვალეთისა და დარიალის გზებით ახორციელებდნენ, თუმცა დასავლეთ საქართველოსა და ყაბარდოს შორის ურთიერთობა რაჭისა და სვანეთის მეშვეობითაც ხორციელდებოდა.

თუ გავითვალისწინებთ ადილეს ცალკეულ ტომთა განსახლებას გვიანი შუა საუკუნეებისათვის, მისი ზოგადი საზღვარი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დასავლეთიდან საზღვრავდა შავი ზღვა—ტამანიდან მოყოლებული სოჭამდე. ჩრდილოეთი საზღვარი ძირითადად მდ. ყუბანზე გადიოდა, აღმოსავლეთიდან კი ესაზღვრებოდა ყაბარდო. ყაბარდოელების ცენტრალური კავკასიონისაკენ გადაინაცვლებამ ადილელთა ტერიტორია საგრძნობლად განავრცო აღმოსავლეთისაკენ. სამხრეთი საზღვარი გადიოდა კავკასიონის მთაგრეხილზე. სადაც მათ უშუალოდ ემეზობლებოდნენ აფხაზები და სვანები. —

აქვე გვინდა შევეხოთ იმ გზებსა და გადასასვლელებს, რომელთა მეშვეობითაც, ისტორიულად, ხორციელდებოდა ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსა

³² А. И. Лавров, Абазинны (историко-этнографический очерк), Кавказский этнографический сборник, т. I, Труды Института этнографии. Новая серия, т. XXVI, М., 1955, с. 8—10.

³³ თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1963.

და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ადიღური მოდგმის ხალხებს შორის.

კავკასიონის საულელტეხილო გზების საერთაშორისო მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან.

საკუთრივ ადიღურ ტომებთან საქართველოსა თუ მისი ცალკეული რაიონების ურთიერთობაში განსაკუთრებით ქმედით როლს ასრულებდნენ დასავლეთ საქართველოს საულელტეხილო გზები, თუმცა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ურთიერთობათა განხორციელებაში ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოს საულელტეხილო გზებსაც ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა.

კავკასიონის ქედის იმ მონაკვეთზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს წილად მოდიოდა, ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გზებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ცნობილი იყო დარიალის გზა³⁴, რომელიც უძველესი დროიდანვე მსახურებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის ინტერესებსაც. საყურადღებოა, რომ ვახტანგ გორგასალმა, რომელმაც საგანგებოდ გაამაგრა დარიალის ციხე³⁵, ოსეთის დამსჯელი ლაშქრობა დაასრულა ჯიქებთან (ადიღეელებთან) ბრძოლით და დარიალის გზით გასული, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში აფხაზეთის გზით დაბრუნდა³⁶.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში არანაკლები მნიშვნელობისა იყო დეალეთის გზაც, რომელიც შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოს მჭიდროდ აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ რაიონებთან³⁷.

³⁴ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, 1966, თბ., გვ. 17—65.

გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1958, გვ. 23—29. ჟ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიოსათვის. „მაცნე“, 1972, № 2, გვ. 30—40. მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.

³⁵ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 151.

³⁶ იქვე.

³⁷ გ. თოგოშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30—31.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ურთიერთობაში გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო კავკასონის ქედზე გამავალი „გზა თაკუერისა“³⁸ და უფრო დასავლეთით მდებარე „გზა აფხაზეთისა“³⁹.

როგორც ისტორიული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, „გზა აფხაზეთისა“ ერთ-ერთი უძველესი და მარჯვე უღელტეხილი იყო დასავლეთ კავკასიონზე⁴⁰.

ადრეული შუა საუკუნეებისათვის აღნიშნულმა გადასასვლელმა, ჩანს, საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. მენანდრეს ერთი ცნობის თანახმად, როდესაც ბიზანტიის ელჩობა ზიმარხის მეთაურობით 570 წელს იტილიდან ბრუნდებოდა, მას ალანების ქვეყნის ფარგლებში არსებული ორი მთავარი გადასასვლელიდან აურჩევია ის, რომელიც მისიმიელთა ქვეყანაში გადადიოდა⁴¹. სწორედ ესაა ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობილი „გზა აფხაზეთისა“, ანუ დღევანდელი ქლუხორის გადასასვლელი, რომელიც კოდორსა და მდ. ყუბანის სათავეებს აკავშირებს.

აღნიშნული გადასასვლელით, შესაძლოა, ესარგებლათ ადიღეური მოდგმის ყველაზე დასავლეთით მცხოვრებ ტომებსაც, თუმცა, ალან-ოსების გაძლიერების გამო, ისინი მთელი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე ძალზე შევიწროებული იყვნენ ამ უკანასკნელთაგან.

აფხაზეთის გზის დიდი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიც. კერძოდ, აქ ვგულისხმობთ ამ ბოლო ხანებში შესწავლილ წებელდის არქეოლოგიურ კომპლექსს, სადაც მოპოვებულია შთამბეჭდავი ნივთიერი მასალა⁴², რაც მიუთითებს იქ მცხოვრებ ხალხთა ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებაზე და საერთაშორისო ურთიერთობებში და ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობაზე⁴³.

³⁸ ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება..., ტ. I, გვ. 57.

³⁹ ჭუანშერი, ქართლის ცხოვრება..., ტ. I, გვ. 157.

⁴⁰ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 47.

⁴¹ А. В. Гадло, Этническая история Северного Кавказа. IX—X вв. Ленинград, 1979, с. 99—100.

⁴² М. М. Трапш, О некоторых итогах археологических исследований в с. Цебельда Сухумского р-на. ТАИ, т. XXIII, 1961. Также ТАИ, т. XXIII—XXXIV, 1963.

⁴³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973, გვ. 172—174.

საქართველო-ადიღეს ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის გზის დასავლეთით მდებარე კიდევე ერთ საულელტეხილო გადასასვლელს, რომელიც მცირე ზელენჩუკის მარცხენა შენაკადის მდ. მარუხის ხეობით გადმოდიოდა მდინარეების გუმისთასა და ბზიფის სათავეებში. მარუხის გადასასვლელის ზონაში თავს იყრიდა დიდი ლაბას, ურუპის, დიდი ზელენჩუკისა და მცირე ზელენჩუკის სათავეები. სწორედ ამ ხეობებითა და, პირველ რიგში, მარუხის გადასასვლელით აბაზინთა ძლიერი ტომის ქარბი მოსახლეობა გზას იკაფავდა შავი ზღვის სანაპიროსაკენ. ამავე გზებით ხორციელდებოდა სავაჭრო და პოლიტიკური კავშირები ადიღეს ცენტრალურ რაიონებსა და დასავლეთ საქართველოს შორის. გარდა ამისა, მარუხის გადასასვლელის ზონაში იყო კიდევ ორი — ნაურისა და კიზგიჩის გადასასვლელები, ზოლო უფრო დასავლეთით კი მოქმედებდა შედარებით უფრო იოლად დასაძლევნი აბაშის, სანჩარის, ალაშტრახუს და ცეგერკერის ულელტეხილები⁴⁴.

კავკასიონის მთაგრეხილზე, ეთნოგრაფიული აფხაზეთის დასავლეთით, თანამედროვე ნოვოროსიისკამდე კიდევ არაერთი საულელტეხილო გზა იყო ცნობილი, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ. ამ გზებმა და გადასასვლელებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს არა მარტო იქ მცხოვრები ადიღური მოდგმის ტომების ურთიერთობის ისტორიაში, არამედ საქართველო-ადიღეს ურთიერთობაშიც. ამავე დროს ამ გადასასვლელთა ნაწილს ზოგჯერ საერთაშორისო მნიშვნელობაც ენიჭებოდა. საქართველოს ერთიანობის ხანაში და მის შემდეგაც, რაც შავი ზღვისპირეთის ჩიქეთის სანაპირო დასავლეთ საქართველოს მმართველთა შორჩილებას იმყოფებოდა, აღნიშნულ გადასასვლელებს, უეჭველია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი საულელტეხილო გზები ასდევდა მდინარეების სოჭის, შახეს, ფსეზუფსესს, ტუაფსესს, ნეჩეფსუსს, შაფსულისს, ფშადას და სხვა ხეობებს. აქ ჩამოთვლილ საულელტეხილო გზებს შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა ტუბის გადასასვლელი⁴⁵, რომელიც მდ. ბელაიას მარცხენა შენაკადის ფშადას სათავეებით უკავშირდებოდა ფსეზუფსესსა და შახეს ხეობებს და ნავსადგურ ტუაფსესს მემ-

⁴⁴ С. М. Страхов, Приезжайте к нам на Ставрополье, М., 1969, с. 149.

⁴⁵ А. Н. Дьячков-Тарасов, указ. соч., с. 3.

ვეობით საკმაოდ ცხოველი სავაჭრო ურთიერთობები წარმოებდა გარე სამყაროსთან. მათ შორის გამოირჩეოდა საურმე გზა, რომელიც გოთხის უღელტეხილით ტუაფსეში ჩადიოდა. რაც შეეხება ბაბუკის საულელტეხილო გზას⁴⁶, იგი, გარდა სავაჭრო-პოლიტიკური მიზნებისა, გამოიყენებოდა, როგორც საქონლის გადასარეკი საიალლო გზა, რომლითაც ძირითადად შახეს ხეობის მცხოვრებნი სარგებლობდნენ.

როდესაც საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის ხალხებს შორის ურთიერთობაზეა საუბარი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. ბერძენიშვილის მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომელსაც აღნიშნულ ურთიერთობათა სწორი გაგებისათვის არსებითი პნიშვნელობა აქვს. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით: „კავკასიის მთიანეთისა და იმერკავკასიის მთისძირობა ქვეყნებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამერკავკასიისთან. ეს ურთიერთობა, რასაკვირველია, მაშინაც გრძელდებოდა, როდესაც ფეოდალურად დაწინაურებულ საქართველოში იზრდებოდა და ძლიერდებოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების დიდი პროცესი. აფხაზთა მთავრები თუ გაერთიანებული საქართველოს მეფეები სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას აბამდნენ თავის ამ ჩრდილოეთის მოძმე მეზობლებთან, ჩერქეზ-ოსები თუ დურძუკ-ღუნძები სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ბუნებრივია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებულ პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა. ასე რომ, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანაში ყველა ეს იმერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ“⁴⁷.

⁴⁶ იქვე, გვ. 4.

⁴⁷ საქართველოს ისტორია ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 204—205.

საქართველო-ადიღეს პოლიტიკური ურთიერთობის
ისტორიიდან

ვიდრე შევხებოდეთ საქართველო-ადიღეს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთკავშირები ისტორიულად გაცილებით უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს ქართულ და უცხოურ წყაროებშია ასახული. წყაროთა უკმარისობა სწორედ პოლიტიკურ ურთიერთობებზე მსჯელობის დროს არის საგრძნობი, თორემ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გასარკვევად წერილობითა წყაროების არსებული ხარვეზი ნაწილობრივ შეიძლება შეივსოს არქეოლოგიური, ფოლკლორული მასალებით და სხვა არაპირდაპირი მონაცემებით.

საქართველო-ადიღეს ურთიერთობათა ამსახველი მასალების სიმცირე ქართულ საისტორიო წყაროებში გამოწვეულია იმით, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის ვერ ახორციელებდა ისეთ აქტიურ პოლიტიკას, როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ იმპერკავკასიის მიმართ.

გვიან შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნე-დან, როდესაც რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასიაში საგანგებო ადგილი დაიჭირა და როდესაც დღის წესრიგში დადგა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის მოგვარების საკითხი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შესახებ ცნობებმა საგრძნობლად იმატა, მაგრამ, როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიონის გზებით ხორციელდებოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საკუთრივ ადიღე ამ გაცხოველებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა მიღმა რჩებოდა. ამდენად, მათთან ურთიერთობის ფაქტებიც სათა-

ნადო წყაროებში შედარებით მცირერიცხოვანია. ქართლ-კახეთი და იმერეთი, რომლებიც შუა საუკუნეების გასულს ქართული საგარეო პოლიტიკის მედროშეებად გვევლინებიან, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უფრო მჭიდროდ ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიის რაიონებთან იყვნენ დაკავშირებულნი.

გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობამ, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, მიიღო საკმაოდ თავისებური ხასიათი. რთულ საგარეო და საშინაო ვითარებას, რაც, პირველ რიგში, საქართველოს პოლიტიკურ დაქუცმაცებაში გამოიხატა⁴⁸; არ შეიძლება ხელი არ შეეშალა მისთვის აქტიური კავშირი დაემყარებინა კავკასიონის უღელტეხილის გადაღმა მცხოვრებ ხალხებთან.

ამავე დროს, მთისა და ბარის ურთიერთობის იმ თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც გვიანი შუა საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდა, როგორც პირდაპირი შედეგი მონღოლთა დამანგრეველი და გამანადგურებელი შემოსევებისა, XIV საუკუნიდან დასუსტებული ბარის (და შესაბამისად სამეფო ხელისუფლების) წინააღმდეგ საკმაოდ აგრესიულ ზრახვებს ამჟღავნებდნენ კავკასიელი მთიელები, რაც, ბუნებრივია, საქართველოსა და კავკასიონის მთიანეთის მოსახლეობას შორის ურთიერთობებს საკმაოდ თავისებურ ხასიათს აძლევდა.

ამავე დროს, წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, საქართველოს ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის მოშლისა და მის ბაზაზე მრავალი წვრილი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პერიოდში საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობაში უკვე საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები კი აღარ მოქმედებენ, არამედ ის ვიწრო მიზნები და მისწრაფებები, რაც ანა თუ იმ სამთავროსა თუ სამეფოს მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას შეესაბამებოდა. ხშირად, ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის საზიანოდ, ერთი „მოდგმისა დ ერთი კულტურის თანამომქმეები“⁴⁹, მოქმედებდნენ რა თავიანთი ვიწრო „სახელმწიფოებრივი“ ინტერესებით, ხელოვნურად ართულებდნენ და ამწვავებდნენ ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან, რაც გამოუსწორებელ

⁴⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, გვ. 7—8.

⁴⁹ ნ. ბერძენიშვილი; ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937. ნაკვ. 1, გვ. 32.

დაღს ასვამდა ქვეყნის საერთო განვითარებას და, ამდენად, მის ინტენსიურ ურთიერთობას მეზობელ ხალხებთან.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ურთიერთობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადიღეელ ტომებს შორის XVI—XVIII საუკუნეებისათვის, როგორც ჩანს, ეპიზოდურ დასიათს ატარებდა. აღნიშნული ხანისათვის ადიღეელებთან ურთიერთობის მედროშედ დასაველეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები და უპირატესად აფხაზეთი გამოდის და, ამდენად, გვიანი შუა საუკუნეების ადიღე-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაზე მუშაობისას ყურადღება სწორედ მათ ურთიერთობას უნდა მიექცეს.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი შეიქმნას საქართველო-ადიღე ურთიერთობანი გვიანი შუა საუკუნეებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ შევეხთ შედარებით ადრეული პერიოდის ურთიერთობათა საკითხებს, რათა ზოგად ფონზე უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ის თავისებურებანი, რითაც გვიანი შუა საუკუნეების საქართველო-ადიღეს ურთიერთობა ხასიათდებოდა.

როდესაც საქართველო-ადიღეს პოლიტიკურ ურთიერთობებზეა საუბარი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმ ტომებზე, რომლებსაც ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უშუალო შეხება ან სიახლოვე ჰქონდათ აფხაზეთ-საქართველოსთან.

ქართულ წერილობით წყაროებში ადიღეელთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების თუ საერთოდ მთელი ადიღეს აღსანიშნავად რამდენიმე სახელწოდებაა ცნობილი. მათ შორის ისტორიულ წყაროებში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ტერმინია ჯიქი (ჯიქეთი); ამასთანავე საკმაოდ ხშირად გვხვდება ეთნონიმი ჩერქეზი (ჩერქეზეთი) და უფრო იშვიათად ქეშიგი-ქაშაგი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალებში ჯიქეზი თითქმის აღარ მოიხსენიებიან, მაგრამ წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ XVIII—XIX საუკუნეებში ისინი ჯერ კიდევ არსებობდნენ, თუმცა საკმაოდ დამცრობილი ტერიტორია ეკავათ. აღნიშნული დროისათვის ჯიქეთი ლოკალიზებულია მდ. მზიშტასა და ბზიფს შუა⁵⁰. ამასვე მიუთითებს სულხან-საბა ორბელიანის ცნო-

⁵⁰ Л. Я. Л ю л ь е, В е р о в а н и я, р е л и г и о з н ы е о б р я д ы и п р е д р а с с у д и н и у ч е р к е с. З К Р Г О, к н. V, Т и ф л и с, 1962. Е. П. А л е к с е в а, О ч е р к и п о э к о н о м и к е и к у л ь т у р е н а р о д о в Ч е р к е с и и в X V I — X V I I в в. Ч е р к е с с к, 1957.

ბაც, რომლის მიხედვითაც ჯიქი „ერთს თემსაც ჰქვია აფხაზეთის მოსამძღვართა“⁵¹..

როგორც უფრო ადრეული ქართული და უცხოური ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, საკუთრივ ჯიქების ტომს, თავდაპირველად, გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია სჭერია და ეს ტომი საკმაოდ რლიერიც უნდა ყოფილიყო, იმდენად ძლიერი, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ტერმინი „ჯიქი“ და „ჯიქეთი“ გარკვეული დროიდან ფიგურირებს, როგორც ადიღეელთა ზოგადი (კრებითი) სახელწოდება⁵². ცხადია, ეთნონიმი ჯიქეთი სხვადასხვა დროს სხვადასხვა შინაარსის მატარებელი იყო. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეზობლებთან (უბიხებთან, აფხაზებთან) ურთიერთობაში, როგორც ჩანს, მათ თანდათან დაკარგეს ტომობრივი სახე და აფხაზებში გაერივნენ.

სახელწოდება ჯიქი ქართულ წყაროებში პირველად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, ანდრია პირველ მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობის აღწერასთან დაკავშირებით (I ს.), სადაც ჩანს, რომ ისინი აფხაზეთის მოსაზღვრედ ცხოვრობდნენ და რომ აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი მდ. ნიკოფსზე გადიოდა⁵³. თუ ქართულ წყაროთა მონაცემებს შევეუდარებთ ბერძნულ-ბიზანტიელ მწერალთა ცნობებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ დროს ეთნოგრაფიული და პოლიტიკური საზღვარი ამ ხალხთა შორის, მართლაც, ნიკოფსზე გადიოდა; მაგრამ იმავე წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯიქები აბაზგების მეზობლად ყოველთვის არ ცხოვრობდნენ. V საუკუნის ბიზანტიელი ანონიმის ცნობით: „ძველი აქაიიდან“ ვიდრე „ძველ ლაზიკემდე“ (ეს არის ნიკოფსის ძველი სახელწოდება მ. ც.) და შემდეგ ვიდრე აქეთნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები, კილიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები; ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები“⁵⁴. იმავე ანონიმთან დაკულია ცნობა, რომ „პაგრის ნავსადგურიდან ვიდრე ძველ აქაიამდე წინათ ცხოვრობდნენ ე. წ. აქაიელები, ხოლო ამჟამად ცხოვრობენ ჯიქები“⁵⁵.

⁵¹ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 292.

⁵² ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I, თბ., 1955, გვ. 43, 157, 281, 282, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 182, 349 და სხვ.

⁵³ ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, I... გვ. 43.

⁵⁴ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 2, თბილისი, 1965, გვ. 11.

⁵⁵ იქვე, გვ. 12.

თუ ადრეანტიკური ხანის მწერლებთან ჯიქების (ზიხების) მოუხსენებლობა იმის მანიშნებელია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ისინი შედარებით მოგვიანებით ჩანან დამკვიდრებული, სტრატონის გეოგრაფიაში უკვე ზიგები (ჯიქები) შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის არიან მოხსენიებული⁵⁶.

შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებული ჯიქები გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, თანდათანობით იფართოებენ საზღვრებს და ამ ადგილებში უფრო ადრე მცხოვრებ ტომთა ადგილს იკაიებენ. პ. ინგოროყვას დაკვირვებითაც—„ანტიკური ხანის ავტორები VI საუკუნიდან ვიდრე I საუკუნემდე (..სკილაქსი) შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და ჰენიოხების უშუალო მეზობლად მოხსენიებულნი არიან ახაველნი, მხოლოდ სტრატონი... პირველად მოიხსენიებს ჯიქებს, რომლებიც ჩამოსახლებულან ახაველთა და ჰენიოხთა შუა⁵⁷“. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ფლავიუს არიანეს „მოგზაურობაში“ ძილქები (ჯიქები) უკვე მდ. აქეუნტამდე (შეესატყვისება მდ. შახეს)⁵⁸ ჩანან გავრცელებული, სადაც ისინი ემეზობლებოდნენ სანიგებს⁵⁹, ხოლო მოგვიანებით პროკოფი კესარიელთან მოხსენიებული ზიქები (ჯიქები) უკვე აბაზგების მომიჯნავენი ჩანან⁶⁰.

აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგ, მისი ჩრდილოეთის საზღვარი გაფართოებულია სანიგებისა და ჯიქეთის ტერიტორიის ხარჯზე, რადგანაც ეპიფანე კონსტანტინეპოლელთან⁶¹, კონსტანტინე პორფიროგენეტთან⁶² და სხვა ავტორებთან ჯიქეთისა და აფხაზეთის (ანუ ჯიქეთისა და საქართველოს) საზღვრად, უკვე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ითვლებოდა ზღვისპირა ქალაქი ნიკოფსია, სადაც თავს იყრიდა მთიანი ადიღედან გადმომავალი გზები.

⁵⁶ სტრატონი, გეოგრაფია, XI, 2, 14 შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, „მაცნე“, თბ., 1980, № 3, გვ. 33.

⁵⁷ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 125.

⁵⁸ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი ნ. კეკელაძისა, თბ., 1961, გვ. 81.

⁵⁹ იქვე, გვ. 52.

⁶⁰ პროკოფი კესარიელი, გეორგია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 155.

⁶¹ გეორგია, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 58—59.

⁶² გეორგია, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 231—233.

ჯიქები ადილეური მოდემის ტომი იყო და მათი გაჩენა დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე უპირატესად კერკეტების ყოფილ მიწა-წყალზე, სინდების ქვეყანასა და აფხაზეთს შორის, მთისა და ბარის ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე კანონზომიერ მოვლენადაა მისაჩნვეი⁶³. ეთნონიმ ჯიქის შესატყვისი ტერმინები (ძიხი, ზეხი და სხვ.) ბერძნულ-რომაულ მწერლობაში, შესაძლოა, მსგავსად კოლხეთის სხვა ტომონიმებისა, ქართლის მეშვეობით იყოს შესული. თვით ადილეს ვრცელ ტერიტორიაზე მსგავსი სახელწოდება არსად არ არის დადასტურებული, მაშინ როდესაც ქართულენოვანი სამყაროსათვის ტერმინი „ჯიქი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები მრავლად გვხვდება.

საყურადღებოა ადილეელთა აღმნიშვნელი მეორე სახელწოდება „ქაშაგი თუ ქეშიგი“, რომელიც ქართულ წყაროებში უფრო იშვიათია. ტერმინი ქაშაგი (ქეშიგი) მოხსენიებული აქვს თამარის ისტორიკოსს—გიორგი რუსის მომხრე დიდფეოდალის ვარდან დადიანის საქმიანობასთან დაკავშირებით. ისტორიკოსის სიტყვით, ვარდანმა „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკურთი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“⁶⁴. სახელწოდება ქაშაგი მოხსენიებული აქვს ბასილი ეზოსმოდვარსაც⁶⁵. ქაშაგი, ს. ჯანაშიას მიხედვით; შეესიტყვება ძველ რუსულ кагор-ს, თანამედროვე ოსურ „ქსნაგ“-ს და ჩერქეზებს აღნიშნავს⁶⁶.

ადილელების კრებით სახელად სვანებს დღესაც შემორჩენილი აქვთ ტერმინი „ქაშქი“. სავარაუდოა, რომ ეს ეთნონიმი ოსებმა სვანების მეშვეობით შეითვისეს; საფიქრებელია, რომ ადილეელთა კრებით სახელებს შორის „ქაშაგი, ქაშქი, ქეშიგი“ ერთი ყველაზე უფრო ძველთაგანია. გარდა ამისა, აშკარაა, რომ ლიტერატურულ ძეგლებში ამ ტერმინმა შედარებით გვიან შეაღწია და მკვიდრად ვერ მოიცილა ფეხი.

⁶³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I, გვ. 478, 482, 518, 539.

⁶⁴ ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 49. შდრ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები. III, თბ., 1959, გვ. 10—11.

⁶⁵ ბასილი ეზოსმოდვარსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

⁶⁶ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

საყურადღებოა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სახელწოდება „ქაშაგ“-ს უკავშირებენ ხეთური წარმოების „ქაშქა“-ს, რაც სპეციალისტებს საშუალებას აძლევს აფხაზურ-ადიღეური და პროტოხეთური ტომების გარკვეული ნაწილი ურთიერთმონათესავედ მიიჩნიოს⁶⁷.

ადიღეელი ხალხის აღმნიშვნელი მესამე სახელწოდება „ჩერქეზი“ ყველაზე უფრო გვიანდელი წარმოშობისაა⁶⁸. როგორც გიულდენშტედტი აღნიშნავს, „ჩერქეზნი თავის თავს ადიღე-ს (Adigi) უწოდებენ, თურქები და თათრები მათ „ჩერქას“-ს ეძახოდნენ, ხოლო ქართველებს მათთვის სახელად „ჩერქეზიანი“ ჰქონიათ“⁶⁹. ის მოსაზრება, რომ ადიღეელი ტომების კრებითი სახელი „ჩერქეზი“ თურქებმა და თათრებმა შემოიტანეს, ფართოდაა გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში⁷⁰, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „ჩერქეზი“ საქართველოში, ხშირად, ყაბარდოელთა მიმართ უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ადიღეელებისა⁷¹ და აშკარად იგრძნობოდა ტენდენცია, რომ საბოლოოდ ტერმინ „ჩიქეთის“ ადგილს დაკავებდა ტერმინი „ჩერქეზი“⁷².

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ადიღეელი ტომების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში სახელწოდება „ჩერქეზი“ კიდევ უფრო ფართო ხასიათს იძენს და ამ სახელწოდებით მთელი კავკასიის მთიანეთის მცხოვრებნიც კი მოიხსენიებიან.

წერილობათი წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო-ადიღეს პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორია საკმაოდ შორეული წარსულიდან იწყება⁷³. ანტიკური წყაროები კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში (დღევანდელი აფხაზეთის სანაპიროზე და მის ჩრდილოეთით) მკვეთრად ასხვავებენ. სანაპირო ზოლის ნიშვილობიან მოსახლეობას და მომიჯნავე მთიანეთში მცხოვრებ

⁶⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 360.

⁶⁸ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სათუო მოსაზრებას, რომ სახელწოდება „ჩერქეზი“ გენეტიკურად თითქოს ანტიკური ავტორების „კერკეტ“-თანაა დაკავშირებული.

⁶⁹ J. A. G ü l d e n s t e d t, Beisen, I. გვ. 466.

⁷⁰ Ш. Б. Н о г м о в, История Адыгского народа, Нальчик, 1959. с. 70.

⁷¹ თ. ბოცვაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 11.

⁷² ი. ჭავჭავაძის მიერ, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 16—17.

⁷³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 478.

მეომარ ტომებს. მაგალითად, V საუკუნის ანონიმის მიხედვით, დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე ცხოვრობდა „სამართლიანი და კეთილი ხალხი, ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებული“ კერკეტები. ძვ. წ. I საუკუნიდან მათ აღგილას დამკვიდრებულია ჭიქების მეკობრეობით განთქმული ტომი⁷⁴. როგორც ჩანს, ჭიქებმა თავისი მეომრული ხასიათი საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მთიელთა პერმანენტულ მოძრაობას მთიდან ბარისაკენ თან სდევდა ბარის სისტემატური „გაახალგაზრდაება“. ისეთ პირობებში კი, როდესაც ბარული ტიპის მეურნეობა მოშლილი იყო და მის ინტენსიფიკაციას პირი არ უჩანდა, ჩამოწოლილ მთიელთა გაბარელების პროცესი მეტად ნელა მიმდინარეობდა, ამიტომაც მეკობრეობა, ამ ტომებს შორის, მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ სახეობად რჩებოდა⁷⁵. საქართველოში ანდრია პირველმოციქულის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებას“ შემონახული აქვს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სამეგრელო-აფხაზეთის ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევის შემდეგ ანდრია მოციქული „... ჭიქეთისა ქუეყანად აღვიდა, ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჭიქნი იყვნეს კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უძღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი. ხოლო მადლმან ღვთისამან დაიცვა და იხილა რა მზუდრეკელობა მათი და პირუტყუებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა. ამისთვისცა ვიდრე აქამომდე ურწმუნობასა, შინა არიან. ხოლო სიმონ კანანელისა სფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჭიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სვმონ კანანელი. ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკეთელ“⁷⁶.

აღნიშნული ცნობა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანართის სახითაა შემორჩენილი, მრავალმხრივია საყურადღებო, თუმცა თვით ამ ცნობის დათარიღების საკითხი ძალზე რთულია. თუ ანდრია მოციქულის სამისიონერო ასპარეზს საკუთრივ ზღვისპირა ჭიქეთი წარმოადგენდა (რასაც მკვლევართა დიდი ნაწილი ვარაუ-

⁷⁴ Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 89—90.

⁷⁵ Я. А. Ленцман, К вопросу об источниках эллинистического пиратства, ВДИ, 1946, № 4, с. 219—228.

⁷⁶ ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 43.

დობს), მაშინ „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოტანილი ცნობა საკმაოდ ძველი გამოდის, რადგანაც ბიზანტიური წერილობითი წყაროების ჩვენებით VII საუკუნეში ზღვისპირა ჯიქეთში, ანუ ზიხების ქვეყანაში უკვე სამი საეკლესიო ეპარქია იყო ცნობილი⁷⁷ და, ამდენად, ქრისტიანული მოძღვრება იქ საკმაოდ საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო დანერგილი. მაგრამ თუ ქართული წყაროს „ჯიქეთისა ქვეყანად აღსვლა“ გულისხმობს ზოგადად ადიღეში მოღვაწეობას, ე. ი. მთიან ჯიქეთში ქრისტიანობის გავრცელების ცდას, მაშინ, შესაძლოა, თვით ლეონტი მროველის დროსაც, იქ, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ მთიანეთში, ქრისტიანობა მართლაც ძალზე სუსტად ყოფილიყო დანერგილი და, შესაძლოა, მთიელებით დასახლებული ადიღე, როგორც შემათიანე აღნიშნავს, ყოფილიყო „ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა“.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე შეიმჩნევა ადიღეელ ტომთა აქტიური ჩაბმა საერთო კავკასიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მანიშნებელი უნდა იყოს მათი სიძლიერის თანდათანობით ზრდისა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით ადიღეელები, ანუ ისტორიული წყაროების ჯიქები I საუკუნის 70-იან წლებში მონაწილეობდნენ ქართველთა თაოსნობით შედგენილ კოალიციურ ლაშქრობაში გაძლიერებული სომხეთის წინააღმდეგ. ლეონტი მროველის სიტყვით — „მაშინ ამათ მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდამოიტანნეს თანა პაქანიკნი და ჯიქნი. და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა ღურძუკნი და დიდონი. და ამათ მეფეთა ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თუსნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ“⁷⁸.

როგორც ჩანს, ეს არ უნდა ყოფილიყო ერთადერთი შემთხვევა ადიღეელი ტომების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და II—V საუკუნეებში ქართლის სამეფოს საგრძნობი გაძლიერების ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ამიერკავ-

⁷⁷ გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 180—186. ბასილ სოფენელის „უწმინდესი მოსაყდრე პატრიარქების ნუსხა“-ში ს. ყაუხჩიშვილი ცალკე გამოყოფს VII ნოტიცის, რომელიც ეპიფანე კვიპროსელს მიეწერება და თარიღდება VII საუკუნით.

⁷⁸ ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 45.

კასიას. ამ ხალხებთან ურთიერთობის მედროშე საუკუნეთა მანძილზე იყო ქართლის სამეფო კარი.

ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის საყურადღებო ფაქტებია შემონახული „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებით⁷⁹. ვახტანგ გორგასალმა, რომელიც კავკასიაში აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა, საგანგებო ყურადღება მიაქცია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას და ამ მხარის შემომტკიცების მიზნით თავისი მეფობის დასაწყისშივე მოაწყო სამხედრო ექსპედიცია კავკასიონის ქედის გადაღმა, რაც პირველ რიგში გულისხმობდა იმ ზეკარებისა და საულელტეხილო გზებზე კონტროლის დაწესებას, რომლებიც საქართველოს აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან⁸⁰.

მემარტანის სიტყვით, ოსთა და ხაზართა გაერთიანებული ლაშქრის დამარცხების შემდეგ ვახტანგ გორგასლის ლაშქარი „და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, ძღინარესა მას ოვსეთისასა წიალ, და ჯიქეთი მუნვე იყო შემდგომად ჟამთა მრავალნი იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლითკერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მოადგა ოვსეთსავე“⁸¹. ცნობილია, რომ პაჭანიკები IX საუკუნეში ჯერ კიდევ მდ. ვოლგასა და მდ. იაკს შორის ბინადრობდნენ⁸² და მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევარში ხაზარებისა და უზებისაგან (უზბეკებისაგან) ოტებულნი გადასახლდნენ დონსა და დუნაის შუა, ასე რომ, ვახტანგ გორგასლის დროს ისინი „მოსაზღვრედ ოვსეთისა“ ვერ იქნებოდნენ. ეს ანაქრონიზმი ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია შემჩნეულია⁸³, მაგრამ ჯუანშერის აქ მოტანილი ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ აღრეულ შუა საუკუნეებში, კონკრეტულად კი ვახტანგ გორგასლის დროს, ჯიქების საცხოვრისი აღმოსავლეთით საკმაოდ ვრცელი ყოფილა და ოსეთთან უშუალო მეზობლობაც ჰქონიათ. შემდგომ

⁷⁹ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 157.

⁸⁰ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 203—206.

⁸¹ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156—157.

⁸² P. B. Голубинский, Печенеги, Торки и Половцы. Киев, 1884.

⁸³ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 186.

საუკუნეებში, თურქულენოვანი ტომების და შესაძლოა იმავე პაქანიკთა თუ საკუთრივ ალან-ოსების დაწოლის გამო, აღიღეს, ანუ ჩიქეთის აღმოსავლეთის საზღვარმა, როგორც ჩანს, განიცადა შევიწროება, რასაც მოჰყვა მათი შემჭიდროება „ბოლოსა აფხაზეთისასა“. ჯუანშერის ამავე ცნობიდან ისიც ჩანს, რომ არა მარტომის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრეც სახელწოდება ჩიქეთი მთელი აღიღეული ტომების კრებით სახელად იხმარებოდა.

თუ ჯუანშერის აღნიშნული ცნობა ისტორიულ სინამდვილეს ასახავს, მაშინ ვახტანგ გორგასლის ლაშქრის მიერ; ოსების გარდა, ჩიქეთის (და იქვე მცხოვრებ თურქულენოვანი ტომებისა, ჯუანშერი, რომ პაქანიკებს უწოდებს) დალაშქვრა უეჭველად იმით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ჩიქები, ალბათ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოზე ოსთა მეთაურობით მოწყობილ თავდასხმებში. ამასთანავე ვახტანგ გორგასალს, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მიმართ გააჩნდა საგანგებო მიზნები და იქ გაბატონებულ ბერძნებთან მოსალოდნელი მძიმე ბრძოლების წინ, ჩიქეთის მთიანეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის მოგვარება, ალბათ, წარმატების აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა⁸⁴.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აღიღეულ ტომებსა და დასავლეთ საქართველოს შორის ხორციელდებოდა VII საუკუნიდან, როდესაც გაძლიერებული აფხაზთა სამთავრო თანდათანობით ცდილობდა, გაეფართოებინა ტერიტორია და გავლენის სფერო. VII საუკუნეში აფხაზეთი თავის ხელისუფლებას ავრცელებს ჩრდილოეთ სანიკებზე, ხოლო სამხრეთით აფშილების დიდ ნაწილზე და მისიმიელებზე⁸⁵. აღნიშნულ ხანაში ბიზანტიის იმპერიის შესვეურები თავიანთ ვასალს აბაზგთა თუ აფხაზთა სამთავროს უყურებდნენ როგორც საყრდენს დასავლეთ საქართველოზე ბატონობისათვის, მაგრამ VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან აფხაზთა სამთავრო ისე ფართოვდება, რომ ფაქტიურად ლეონ I-ის დროს იგი ხელმძღვანელობს ანტიარაბულ ფრონტს მთელ დასავლეთ საქართველოში. ხოლო მისი მემკვიდრე ლეონ II კი ისეთ დიდ პოლიტიკურ წარმატებას აღწევს, რომ VIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის იგი გვევლინება მთელი ეგრის-აფხაზეთის თუ დასავლეთ

⁸⁴ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით „სიმცირესა შინა ვახტანგ გორგასალისასა მიუღეს ეგრისისა და ზღვის პირნი ციხე-გოჯამღე ბერძენთა, გარნა მერმე ვახტანგვე მიუღო მკლავითა თესითა ბერძენთა ჩიქეთი აფხაზეთითურთ, საზღვარი თესი ოვსეთილამ შემოსრულმან“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 795.

⁸⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 416—418.

საქართველოს მმართველად. სწორედ ამ ლეონ II-ის დროს VIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავარმა ისარგებლა ბერძენთა დასუსტებით, მოიშორა ბიზანტიელთა ბატონობის უღელი და მეფის ტიტული დაისაკუთრა. ამიერიდან აფხაზთა სამთავრო (resp. დასავლეთ საქართველო) სამეფოდ გამოცხადდა⁸⁶. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: ა) დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჭიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ზაზართა მდინარემდე; ბ) დასუა ცხომს და მისცა ეგრისი—იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ) დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე...“⁸⁷ აღნიშნულ ცნობაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ლეონ II-ის სამფლობელოში მოქცეული ყოფილა მთელი ჭიქეთი, ვიდრე „ზაზართა მდინარემდე“ (მდ. ყუბანამდე). გამორიცხული არ არის, რომ ლეონ II-ის დროს აფხაზთა სამთავროს მართლაც მიეღწია ჩრდილოეთი საზღვრის ასე შორს გადაწევისათვის და მთელი ჭიქეთის შემომტკიცებისათვის, მაგრამ, როგორც მომდევნო ხანის ბიზანტიური წყაპროთა ანალიზი გვიჩვენებს, შას შემდეგ, რაც ბიზანტიამ თავი დააღწია დროებით შინაურ და საგარეო სირთულეებს, მას ჭიქეთის ნაწილი უკან დაუბრუნებია და აფხაზეთისა და ბიზანტიის საზღვარი მდ. ნიკოფსზე დაწესებულა⁸⁸, რაც შემდგომ საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ჩრდილო დასავლეთ საზღვარსაც⁸⁹. ასე რომ, ჭიქეთის ნაწილი ქალაქ ნიკოფსითურთ შედიოდა ჯერ აფხაზეთ-ეგრისის სამეფოს, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში⁹⁰.

აფხაზეთ-ეგრისის სამეფოს თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდა X საუკუნეში, როცა ქვეყანას მართავდა მეფე გიორგი II (929—957). გამორიცხული არ არის, რომ მისი მმართველობის დროს ჭი-

⁸⁶ С. Н. Джанашия, О времени и условиях возникновения Абхазского царства. Труды, II, с. 339; З. В. Анчабадзе, указ. соч., с. 96.

⁸⁷ ბ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 796.

⁸⁸ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 180—202.

⁸⁹ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 91. მ. ლოროთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 180—185.

⁹⁰ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 187.

ქეთი ფაქტიურად მთლიანად გაერთიანებულიყო აფხაზეთ-ეგრისის სამეფოსთან.

ნიშანდობლივია, რომ ბასილი სოფენელთან კონსტანტინოპოლის სამწყსოში აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო აღარ იხსენიება. არ ჩანს, აგრეთვე, ჭიქეთის ეპარქიის შესაძენ, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოც⁹¹. ამავდროს საყურადღებოა, რომ როცა ბასილი სოფენელთან დაცულ X^o ნოტიციაში (901—907) ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის სამწყსოში უკვე აღარ მოიხსენიებოდა, აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ჯერ კიდევ (ალბათ ფრმალურად) კონსტანტინოპოლის ქვეშევრდომთა სიაშია შეტანილი⁹². ს. ყაუხჩიშვილი ანალიზს უკეთებს ამ მონაცემებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ X საუკუნეში „ჭიქეთის სამი ავტოკეფალური კათედრიდან ორი ეკუთვნოდა ჭიქეთის ჩრდილო მხარეებს (ქერსონესისა და ბოსფორის), ერთი კი (ნიკოფსიისა) მდებარეობდა ჭიქეთის იმ უკიდურეს სამხრეთ ტერიტორიაზე, რომელიც დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა“⁹³.

ბიზანტიური წყაროების აღნიშნულ ჩვენებას მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ ერთი საყურადღებო ცნობაც, რომელიც აფხაზეთ-ეგრისის მეფის გიორგი II-ის საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლას შეეხება. კახეთის ქორეპისკოპოსის მომხრე ხახუა არიშისძესთან ბრძოლის დროს, რომელსაც ეპყრა ციხე „მარანისა“, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, გიორგი II-მ „უბრძანა შებმა ლაშქართა. ხოლო მათ წარიღეს ხერხითა და ხახუა მოიყვანეს შეპყრობალი წინაშე მეფისა; და მეფემან წარსცა ზყრობილად ჭიქეთს“⁹⁴, ე. ი. თავისი სამეფოს ყველაზე მიუწვედომელ და საიმედოდ დაცულ მხარეში. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ ნიკოფსიის ეპარქიას, გარდა ზღვისპირეთისა, ალბათ, მთიანი ადიღეს კარგად დიდი მონაკვეთიც ემორჩილებოდა. ტერიტორიულად ასეთი უნდა ყოფილიყო ის მიწა-წყალი. რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ეკავათ აზაძეებს. ნიკოფსია ზომ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საზღვაო პუნქტს და გზაჯვარედინს, საიდანაც სათავეს იღებდა კავკასიონის ქედზე გამავალი ხელსაყრელი

⁹¹ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 147—172.

⁹² იქვე, გვ. 175.

⁹³ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 187.

⁹⁴ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 268. მატიანე ქართლისა-ის მარანის ციხე იგივეა, რაც მარელის ციხე (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 135. ხახუა არისძე (არიშისძე) იყო პანკისის ერისთავი).

საუღელტეხილო გზები, რომლითაც მთიელი ადიღეელები უძველესი დროიდანვე სარგებლობდნენ.

გიორგი II-ის დროს აფხაზეთ-ეგრისის სამეფო არა მარტო პოლიტიკურ წარმატებებს აღწევს (საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მხარეთა შორის იგი ერთ-ერთ უმთავრეს ძალად იქცევა) და მის დროს დასავლეთ საქართველო არა მარტო ეკლესიურ დამოუკიდებლობას იმკვიდრებს, არამედ იგი გვევლინება როგორც ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ორგანიზატორი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში და, კერძოდ, ოსეთში⁹⁵. ბუნებრივია, რომ ნიკოფსიის ეპარქია, რომელიც მათვე საუკუნიდან ნცხეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში გაერთიანდა, თავის სამისიონერო-კულტურულ მოღვაწეობას მთიან ადიღეში კიდევ უფრო ვააქტიურებდა.

მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ეკლესია ნცხეთის საკათალიკოსოს დაუმორჩილდა, დასავლეთ საქართველოს ყველა ეპარქია და მათ შორის ნიკოფსიისა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად წარმოებდა, იქცა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესების დამცველ ცენტრად. თუ თავაღს გადავაგვლებთ დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ სურათს, აშკარად გამოჩნდება, რომ იქ ნცხოვრებ ხალხთა უდიდესი ნაწილი ქართველურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებოდა⁹⁶ და ბუნებრივია, რომ სახელმწიფო აპარატსა და ეკლესიაში ქართულმა ენამ იოლად გაიკაფა გზა.

აკად. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, აღნიშნული მოვლენა, ე. ი. ქართული ენის დამკვიდრება დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში რამდენადმე ადრე მომხდარა. მისი სიტყვით: „დაწყებული IX საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა) აფხაზეთის სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის წიგნიერი კულტურის ენას წარმოადგენდა ქართული ენა, რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც (ჩერქეზები, ალანები)“⁹⁷.

კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფის შემდეგ დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენ-

⁹⁵ ნიკოლოზ მისტიკოსი, წერილები, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 214. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108—115.

⁹⁶ З. В. Анчабадзе, указ. соч., с. 150—151.

⁹⁷ С. Н. Джанашия, Из истории Абхазского царства, Труды т. II, Тбилиси, с. 306.

ტრების დაარსება. მთელი ეს პროცესი, რომელიც საბოლოოდ X საუკუნეში დასრულდა, წარმოადგენდა დიდ ეროვნულ საქმეს. ეგრის-აფხაზეთის ეპარქიების შემოერთებით საქართველოს საეკლესიო გაერთიანებამ წინ გაუსწრო საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და მყარი საფუძველი შეუქმნა ამ უკანასკნელის განხორციელებას⁹⁸. ამ დიდ და რთულ პროცესში, რომლის ინიციატორად აფხაზეთის სამეფო გამოდიოდა, ეჭვსგარეშეა, ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობდა ადიღეს მთიანეთის მოსახლეობაც. განსაკუთრებით კი იმ ხანგრძლივ საომარ პროცესებში, რომელიც თითქმის განუწყვეტლივ წარმოებდა IX—XI, საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებისათვის. ამავე დროს ქართული ეკლესიის მეშვეობით ადიღელ ტომთა გარკვეულ ფენებში გზას იკაფავდა ქართული ენა და ქართული კულტურის მონაპოვარი⁹⁹. ადიღურ ენაში ამის გამო დამკვიდრდა ქრისტიანული ტერმინოლოგია (მაგ., ჟუარი და სხვ.)¹⁰⁰.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც ქართული ფეოდალური მონარქია თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა, ცნობები ჭიქების და, საერთოდ, ადიღელი ტომების შესახებ ნეტად მცირერიცხოვანია. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ერთი ადგილის მიხედვით, ადიღელები (წყაროს მიხედვით ქეშიგნი) მონაწილეობდნენ თამარ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომელმაც, როგორც ცნობილია, მოაგვამთელი დასავლეთ საქართველო¹⁰¹.

ქაშაგებთან, ანუ ადიღელ ტომებთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობა აქვს ბასილი ეზოსმოძღვარს, რომელიც აგვიწერს რა თამარის სიბრძნეს და სიქველეს, ჩამოთვლის მის ღირსებებს და წერს: „ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნბთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარუნ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნენ და მტერთაგან უზრუნველობასა“¹⁰². ამ პასაჟის მიხედვით, თით-

⁹⁸ ნ. ბერძენიშვილი, სევაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენობის მოამბე, X, 1941.

⁹⁹ საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 133. შდრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 586.

¹⁰⁰ ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 215—252.

¹⁰¹ ისტორიანი და; აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 49.

¹⁰² ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 147.

ქოს ირკვევა, რომ ქაშაგთა თუ ადიღეელთა ქვეყანა (ამაში შესაძლოა ეთნოგრაფიული ჯიქეთი არ იგულისხმებოდეს) რალაც მყარ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა თავისი მმართველი „სახლი“. ამავე ცნობიდან თითქოს ისიც კარგად ჩანს, რომ ქაშაგთა ქვეყანას და მის მმართველ სახლს ჰქონდა საკმაოდ ფართო უფლებები (თუ შეიძლება ითქვას—ავტონომია), ანუ „თავისუფლებითი ცხოვრება“. საყურადღებოა ისიც, რომ ბასილი ეზოსმოდვარი, განსხვავებით სხვა ისტორიკოსებისაგან, ადიღეელ ტომთა აღმნიშვნელად მიმართავს ტერმინ „ქაშაგს“, მაშინ, როცა სხვა წყაროებში ტერმინი „ჯიქეთია“ გაბატონებული. ჯიქებს ზოიხსენიებს ჟამთააღმწერელიც, როდესაც საუბარია ჯალალედინის წინააღმდეგ ომისათვის სამზადისზე. მისი სიტყვით: რუსუდან გეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთ-უხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მახურთხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა“¹⁰³. ამ შემთხვევაში ჯიქეთი ადიღეელ ტომთა კრებით სახელად ჩანს გამოყენებულა.

განვითარებული შუა საუკუნეების გასულიდან იწყება ახალი ეტაპი ადიღე-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაში მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ, რასაც მოჰყვა ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცება, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები მებოზელ ქვეყნებთან საგრძნობლად შესუსტდა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები საქართველოსა და კავკასიისათვის ჰქონდა თემურ-ლენგის გამანადგურებელ შემოსევებს, რომელიც, გარდა რბევა-აწიოკებისა, ადგილობრივ მცხოვრებთ იძულებით აერთიანებდა თავის ლაშქარში და მიერეკებოდა შათ სხვა ხალხებთან საბრძოლველად. ზიზანტიელი მემათიანის დუქას ცნობით— „გაზაფხული რომ დადგა, თემურ-ხანი სპარსეთიდან (წამოსული) ტანაისის მხარეს მივიდა და ტავროსკვითები, ჯიქები და აბაზგები შეკრიბა, ზოსფორში დაბები დაანგრია, გადავიდა არმენიის მიწა-წყალზე, კაპადოკია-გაიარა დიდძალი ჯარით“¹⁰⁴.

როგორც ს. ყაუჩხიშვილი ვარაუდობს, აქ მოხსენებულ აბაზგებში მხოლოდ ეთნოგრაფიული აფხაზეთი კი არა, არამედ მთელი

¹⁰³ ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 182.

¹⁰⁴ დუკა, გეორგია, 8, თბ., 1970, გვ. 26.

საქართველო უნდა იგულისხმებოდეს¹⁰⁵. ამდენად, ირკვევა, რომ ჭიქებსაც ქართულ ლაშქართან ერთად უხდებოდათ მონაწილეობის მიღება თემურ-ლენგის უკანასკნელ ლაშქრობებში.

ეკონომიურად გაჩანაგებულმა და სასიცოცხლო რესურსებისაგან დაცლილმა საქართველომ თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ ველარ შეძლო წელში გასწორება, ეკონომიურად დაქვეითდა და პოლიტიკურად დაიჩინა. მთელი სიმძლავრით ამოქმედდა ცენტრიდანული ძალები და ქართული ფეოდალური სახელმწიფო დაქუცმაცდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად¹⁰⁶.

ცენტრალური ხელისუფლების მოშლით, ბუნებრივია, ქალზე უნდა დაქვეითებულიყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები კავკასიონის მთიანეთის ხალხებთან. ბარის დაქვეითებამ და ხელისუფლების შესუსტებამ, პირიქით, გამოიწვია უკუპროცესი და დაიწყო ხანგრძლივი ხანა მთის მცხოვრებთა ორგანიზებული შეტევისა ბარის მიმართ. მთის ბარზე შეტევის ფაქტი პირველი ნიშანი იყო ბარში ცხოვრების ნორმალური დონის დაქვეითებისა. ბუნებრივია მსგავსად ფშავ-ხევსურებისა, ოსებისა, სვანებისა და სხვა მთიელებისა¹⁰⁷. მთიანი ადიღეს ქარბი მოსახლეობა შეუწელებლივ უტევედა ზღვისპირა ბარს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომობრივი სიჭრელე, რაც ესოდენ რელიეფურად ჩანს გვიან შუა საუკუნეებში, პროდუქტი უნდა იყოს მთის, ამ კიდევე ერთი, მძლავრი შემოტევისა¹⁰⁸.

საქართველოს ბარს არა თუ ისეთ შორეულ პერიფერიაზე, არამედ თვით ცენტრალურ რაიონებშიც უჭირდა მთიელთა შეკავება. მიუხედავად ასეთი ზოგადი სურათისა, გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფო-სამთავროები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებთან მაინც ახორციელებდნენ საკმაოდ საჭირო ურთიერთობას. ამის შესახებ გარკვეული ცნობები შემოგვინახა ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა.

დასავლეთ საქართველოში, სხვა მრავალი პოლიტიკური ერთეულების გვერდით, აფხაზეთ-ადიღეს უშუალო მეზობლად XIV საუკუნის ბოლოდან და XV საუკუნის დამდეგიდან ჩამოყა-

¹⁰⁵ დუკა, გეორგიკა, 8, თბ. 1970, გვ. 25.

¹⁰⁶ საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 7—8.

¹⁰⁷ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 245—251.

¹⁰⁸ ОИА, გვ. 147—156.

ლიბდა საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური ერთეული—საბედიანო¹⁰⁹, რომლის შემადგენლობაში მოექცა მთელი სამეგრელო და ინგურის იქითა მიწების, ანუ სამურზაყნოს საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. აფხაზეთის მთავრები მუშტრის თვალთ უყურებდნენ სამურზაყნოს მდიდარ მიწებს და სრულიადაც არ აპირებდნენ გულგრილად ეცქირათ საბედიანოს გაძლიერებისათვის. ამიტომაც იყო, რომ მომდევნო საუკუნეებში აფხაზეთა სამთავრო აწარმოებდა გაუთავებელ ბრძოლებს არა მარტო ცალკე განდგომისათვის, არამედ ახალი მიწების შემომტკიცებისათვის. ამ ბრძოლაში საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადიღეელი ტომებიც.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ გაერთიანებული საქართველოს მორჩილებაში მყოფმა მთიელმა ტომებმა, ჩანს, სწრაფად აღიდგინეს დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ ამ ვითარებათ ხანგრძლივად ვერ ისარგებლეს. ყირიმის სახანო ყუბანის აუზს თავისი ძალა-უფლების გავრცობის ბუნებრივ ტერიტორიად, ხოლო ადიღეელებს კი შემოსავლის უშრეტ წყაროდ მიიჩნევდა, ამიტომაც ადიღეელებით დასახლებული მიწების ნაწილი ყირიმის სახანოს უშუალო გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ადიღეელ ტომებს XIII—XV საუკუნეებში საკმაოდ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ გენუელებთან, ყირიმთან და თურქეთთან, მაგრამ ჩვეულებრივ სავაჭრო საქონლის გარდა, რომელთა შორის განსაკუთრებით თევზის ნაწარმი გამოირჩეოდა¹¹⁰, ადიღეელთა შავი ზღვისპირეთში არსებული საზღვაო პუნქტები (კაფა-ფეოდოსია, ტანა-აზოვი, კოპა და სხვ.) წარმოადგენდნენ მონათვაჭრობის მსხვილ ცენტრებს, საითყენაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ტყვეები.

სწორედ ამ ხანებში ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ვენეციელი და გენუელი ვაჭრებიც, რომლებიც თურქეთთან ჭიდილში ცდილობდნენ, შეექმნათ თავიანთი კოლონიები — მათ შორის ადიღეშიც¹¹¹. მაგალითად, საზღვაო პორტი კაფა წარმოადგენდა შავ ზღვაზე გენუელთა ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პუნქტს.

¹⁰⁹ З. В. Анчабадзе, Из истории..., с. 237.

¹¹⁰ Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе в XIII—XV вв. Исторические записки т. III, М., 1938.

¹¹¹ იქვე.

დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის შექრა შავიზღვისპირეთში, მიუხედავად მისი დაუნდობელი ექსპლოატატორული ხასიათისა, მაინც ერთგვარ იმედს იძლეოდა დასავლეთ სამყაროსთან კონტაქტების დამყარებისათვის, მაგრამ მომდევნო ხანებში თურქების შავ ზღვაზე უცილობელი გაბატონების გამო ვენეციელები და გენუელები იძულებულნი გახდნენ, დაეთმოთ პოზიციები. დასავლეთ საქართველო და ადიღეელი ტომები პირისპირ შერჩნენ თურქებს. აი, რას წერს ვენეციელი ელჩი ლორენცო ბერნარდო თავის მოხსენებით ბარათში 1592 წელს: თურქეთი ესაზღვრება ადიღეელებსა და მეგრელებს, რომლებიც თურქთათვის მონების შეძენის ულევ წყაროს წარმოადგენენ. თურქები განუწყვეტლივ ყიდულობენ იქ მონებს, შემდეგ, საქონელივით მიერეკებიან კონსტანტინოპოლში და საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან¹¹². XIII—XIV საუკუნეებში მრავალი ადიღეელი თუ ქართველი იყიდებოდა ვენეციის და გენუის ბაზრებზეც¹¹³.

ახალი ეტაპი საქართველო-ადიღეს ურთიერთობაში იწყება XV საუკუნიდან, როდესაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან ახლად შექმნილმა ოსმანთა თურქულმა იმპერიამ ძალზე გაააქტიურა საგარეო ურთიერთობები. 1453 წ. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქეთი შავი ზღვის აუზში აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, ყირიმის სახანო გაიხადა ერთგვარ პლაცდარმად და საქართველოს ორი მხრიდან შემოუტია: სამცხე-საათაბაგოდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ადიღეელი ტომებით დასახლებული ტერიტორიიდან.

ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალები ახორციელებდნენ მძარცველურ თვდასხმებს ძირითადად ჯიქების მეშვეობით. „მთური“ შეურნეობის მქონე ჯიქებისათვის ასეთ ვითარებაში თურქებში სასურველ „მოკავშირეს“ წარმოადგენდნენ. ჯიქები (ალბათ უფრო ხშირად ვიწრო გაგებით) ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სანაპირო სოფლების მოსახლეობას¹¹⁴.

იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510—1565) იძულებული იყო ერთდროულად ორ ფრონტზე ებრძოლა: ქვეყნის შიგნით — ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის, რომელსაც ცალკე-

¹¹² ОИА, გვ. 91.

¹¹³ П. Г. Лутницкий, Рабство и русские рабы во Флоренции в XIV в. и XV в., Киев, 1886, с. 12—13.

¹¹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 103.

ული მთავრები და ძლიერი თავადები ეურჩებოდნენ და გარეშე დამპყრობლის — ამ შემთხვევაში თურქეთის წინააღმდეგ¹¹⁵. თავდაზნაურული რეაქცია, ძალიან ხშირად, მოქმედებდა სწორედ უცხო დამპყრობთა წაქეზებით; მაგალითად, თურქებმა, ასეთი გზით, თავიდანვე შეძლეს დაკავშირებოდნენ აფხაზეთის მთავრებს და მთიელთა იმ ტომებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ გაერთიანებული იყვნენ ძლიერი საქართველოს დროშის ქვეშ.

იმის გამო, რომ ჯიქები, როგორც ვახუშტი წერს, „ეკირთე-ზოდნენ ოდიშსა და გურიას“¹¹⁶ და დიდ ზიანს აყენებდნენ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას, ბაგრატ III-ის ხელშეწყობით „დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვთ ნავებითა, და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ იგემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართათუს, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოეტვენეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დაჯოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი“¹¹⁷. ამ ცნობიდან ჩანს, რომ მამია დადიანი ლალათით შეიპყრეს და მოკლეს, გურიელი, მისი ძმები და ლაშქარი ტყვედ ჩაბარდნენ, რომლებიც შემდგომ მალაქია კათალიკოსმა გამოისყიდა¹¹⁸.

როგორც აქ მოტანილი ციტატიდან ჩანს, მარცხით დამთავრებული დამსჯელი ექსპედიცია ჯიქებისათვის საკმაოდ სარფიან საქმედ ქცეულა; მათ გამოსახსნელი ფულს მოუთხოვიათ არა მარტო ცოცხალ ტყვეებში, არამედ დახოცილებისათვისაც.

ბრძოლა ჯიქეთისათვის დასავლეთ საქართველოს იმპარტველებს, მიუხედავად ასეთი მარცხისა, არც მერე შეუწყვეტიათ. ქართველი შეფე-მთავრები შიშის თვალთ უყურებდნენ თურქეთის იმპერიის აგრესიულ საქმიანობას აღიღეულთა ტერიტორიაზე და ყოველგვარი ძალებით ცდილობდნენ ამ ექსპანსიის ბლოკირებას, თუმცა შინაური ლალათის გამო ხშირად ასეთი მცდელობა ფრიად წარუმატებელი იყო. თავის მხრივ, აღიღეული ტომები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამა-

¹¹⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 103.

¹¹⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 811-

¹¹⁷ ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 497.

¹¹⁸ იქვე, გვ. 497.

შობდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმერეთის შეფის ბაგრატიის მეჭკვიდრის გიორგის დროს დასავლეთ საქართველოში დიდი არეულობა იყო; სამეფო სამთავროთა შორის ბრძოლაში გურიელმა სამეგრელოს მთავრად დასვა გიორგი დადიანის ძმა—მამია. მამიან დამარცხებულმა „დადიანმან გიორგი იშოვა ლაშქარი აფხაზისა, ჯიქისა და ჩერქეზისა. და ათხოვა კუალად გურიელმან ჯარი სიძესა თჳსსა მამიას და შეიბნენ. კუალად გემარჯუა მამიას და გაექცეს გიორგი დადიანი“¹¹⁹.

გიორგი დადიანთან დაკავშირებული ზენოთ შოტანილი ცნობა ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ჯიქეთი და ჩერქეზეთი ერთ კონტექსტშია მოხსენებული. შესაძლოა, რომ ტერმინი ჯიქეთი აღიღეული ტომების ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობით უკვე აღარ იყოს ნახმარი. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ეთნიკური ჯიქეთია ნაგულისხმევი. რაც შეეხება ჩერქეზებს, ავტორი ამ ტერმინის ქვეშ ყაბარდოს გულისხმობს.

ზნორად ამ ქვეყნებს შორის ნათესაური კავშირებიც მყარდებოდა. მაგალითად, გიორგი გურიელს ცოლად ჩერქეზი ქალი ჰყოლია, ხოლო მისი ორი დაც გურიელისავე კარზე იზრდებოდა¹²⁰.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს მმართველები ყოველნაირად ცდილობდნენ ძველი სამფლობელოების შენარჩუნებას, საკუთრივ ქართულ სამეფო-სამთავროებში ცენტრიდანულმა ძალებმა ისე იმძლავრა, რომ გვიანი შუა საუკუნეებისათვის არაერთი იმედი აღარ რჩებოდა მთლიანობის აღდგენისათვის. მემატინის სიტყვით „აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“¹²¹.

აფხაზთა სამთავროს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ საერთო მოვლენათა ფონზე ლოგიკური ჩანდა. ამ მცდელობაში ჯიქები და, საერთოდ, აღიღეელები მათ ბუნებრივ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად გარკვეული ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობებისა, საგარეო ურთიერთობებში აფხაზეთის მთავრები საკმაოდ მარჯვედ იყენებდნენ მეზობელი აღიღეელების სამხედრო ძალებს.

¹¹⁹ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 361—362.

¹²⁰ იქვე, გვ. 362.

¹²¹ ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება, II,

XV—XVII საუკუნეებში აფხაზეთ-ჭიქეთის განკერძოების ტენდენციამ კიდევ უფრო რელიეფურად იჩინა თავი.

მაუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი და ჭიქეთი პოლიტიკურად თითქმის ჩამოშორდნენ საბედიანოს (ე. ი. საქართველოს), საქართველოს მმართველი წრეები მაინც არ ეხსნებოდნენ გაერთიანებულ საქართველოს იდეას და თავიანთ ტიტულატურაში თავი იმავე ქვეყნების მფლობელებად მოქმედებდნენ, რომლებიც ადრე საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ გაერთიანებულნი. ამის მაგალითს წარმოადგენს 1660—1662 წლების ერთი საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ „გვირგვინოსან მპყრობელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჭიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს“ მპყრობელმა ვამეყ დადიანმა ბიჭვინტის ტაძარს მისცა შეწირულებანი¹²².

სინამდვილეში საბედიანოს მმართველს რეალურად, მხოლოდ თავის სამთავროზე მიუწვდებოდა ხელი, ოფიციალური ტიტული კი ნომინალურია და იგი საბედიანოს მთავრის სურვილს უფრო განზობატავს, ვიდრე სინამდვილეს. არა თუ XVII საუკუნეში, არამედ XV საუკუნეში მეფე ბაგრატ VI-ის (1466—1478) ტიტულატურაც კი აღარ შეესაბამებოდა სინამდვილეს¹²³ (ბაგრატის სამფლობელოთა რიცხვში მოხსენებულია ჭიქეთიც).

XVII საუკუნის შუა ხანებიდან სამეგრელო შესამჩნევად სუსტდება. ამით ისარგებლეს აფხაზთა მთავრებმა და სამეგრელოს წინმართ აქტიური პოლიტიკის განხორციელება წამოიწყეს¹²⁴. ასეთ ვითარებაში, როცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული საბედიანო თავდაცვაზე იყო გადასული (განსაკუთრებით ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ 1657 წ.), ხოლო აფხაზეთის მთავარი ძალები სამხრეთისაკენ სადადიანოს წინააღმდეგ წარიმართა. ბუნებრივია, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი ადიღეელ ტომებსა და საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროვინციებს შორის კიდევ უფრო შესუსტდა. XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთი თითქმის

¹²² საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1448, საქმე 2155 (გეორგიის წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტისადმი (1660—1661) ფ-1.

¹²³ ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, II, გვ. 477.

¹²⁴ З. В. А н' ч а б а д з е, Из истории..., с. 268.

მთლიანად ჩამოცილდა საქართველოს¹²⁵, რაც არა მარტო შინაფეოდალური ბრძოლებისა და პოლიტიკური დაჩიხულობის შედეგი იყო, არამედ ამ საქმეში აქტიური როლი შეასრულა აგრესიული თურქეთის სეპარატისტულმა ღონისძიებებმა, რომელიც თავის გავლენის ქვეშ მოქცეულ ადიღურ და აფხაზურ ძალებს დაეინებით წარმართავდა ქრისტიანული სადადიანოსა და საქართველოს წინააღმდეგ¹²⁶. თურქეთის ეს გეგმები სავსებით შეესაბამებოდა აფხაზი ფეოდალების მისწრაფებებს. ამ ღონისძიებით რსინი, ჯერ ერთი, სადადიანოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სამეგრელოს განუწყვეტელი ძარცვარბევა შემოსავლისა და გამდიდრების საკმაოდ იოლ გზას წარმოადგენდა¹²⁷. როგორც პატრიარქ მაკარიოსის ცნობიდან ირკვევა, აფხაზ ფეოდალთა ამ ბრძოლებში სამეგრელოს წინააღმდეგ ადიღურ-ჩერქეზებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას¹²⁸.

მიუხედავად იმისა, რომ ლევან II დადიანის ზეობაში (1611—1657) სამეგრელოს მთავარმა რამდენჯერმე დაარბია აფხაზეთი, მაინც, აქ, ადიღეელები და განსაკუთრებით აბაზინები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მთებიდან და ავსებდნენ აფხაზთა სამთავროს დანაკლისს. ამან აიძულა ალბათ ლევან II დადიანი, რომ „ანაკოფიის აღმოსავლით ზღუდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი... აფხაზთა გადმოუსვლელობისათჳს“¹²⁹.

ზემოთქმულიდან ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აფხაზეთი თურქეთის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა. თავის მხრივ, აფხაზეთის თურქეთი ავიწროებდა, თურქეთის აგრესიის შედეგი იყო ის, რომ აფხაზებმა ჩრდილოეთის მიმართულეებით მთლიანად დაკარგეს რეალური პოლიტიკური ძალაუფლება მეზობელ პროვინციებზე. მართალია, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთის პოლიტიკური საზღვარი სამხრეთისაკენ მდ. ინგურამდე გავრცელდა¹³⁰ და ეს ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა აფხაზთა მთავ-

¹²⁵ П. Жузе, Грузия XVII столетия по изображению патриарха Макария Казань, 1905, с. 14.

¹²⁶ З. В. Анчабадзе, Из истории..., с. 267—271.

¹²⁷ М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, 1887, СПб, с. 46.

¹²⁸ П. Жузе, указ. соч., с. 35.

¹²⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 782.

¹³⁰ И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, 1949, с. 36. З. В. Анчабадзе, указ. соч., с. 297—299.

რებისათვის, მაგრამ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მტკიცედ გაბატონებისა და გაუთავებელი ომიანობის გამო აფხაზეთი მშვიდად ვერ გრძნობდა თავს, მით უმეტეს, რომ თურქეთის იმპერია კავკასიაში მიღწეული პოლიტიკური წარმატების განმტკიცებას ცდილობდა ისლამის ნაძალადევი დანერგვით.

ადიღეში ქრისტიანობა თავიდანვე მტკიცედ არ ყოფილა ფეხმოკიდებული და თურქეთის ექსპანსიის ყამს ისედაც ძალზე შესუსტებული იყო ადგილობრივი წარმართული რელიგიის რესტავრაციის ხარჯზე, მაგრამ ბიზანტიის იმპერიის დაცემამ და საქართველოს პოლიტიკურმა დაშლამ, ადიღეში, თითქმის სულ მთლიანად მოურყია საფუძველი ქრისტიანულ რელიგიას. თურქეთის ჭიუტი ცდები ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანებისათვის თავის შედეგს იძლეოდა. ყირიმის სახანო, თურქეთის ბრძანებით, ცეცხლითა და ნახვილით ნერგავდა ისლამს. 1717 წლიდან მათ ჭიუქთის ეპარქიის ეკლესიები მთლიანად დაანგრიეს, ხოლო სამღვდლოებმა მოაპეს. აფხაზეთის სამთავრო, რომელსაც ოფიციალურად ემორჩილებოდა ეთნოგრაფიული ჯიქეთი და რომელსაც გავლენა ჰქონდა დანარჩენ ადიღეელ ტომებზე, ვერ გამოდგებოდა ქრისტიანობის დამცველად ჭიუქთსა და მთიანი ადიღეს სხვა ადგილებში, რადგან თვითონ აფხაზეთში ქრისტიანულ რელიგიას არ ადგა კარგი დღე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადიღეელ ტომებთან ურთიერთობა ძირითადად დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ჰქონდათ დამყარებული, მაგრამ ქართულ წყაროებში შემონახულია რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის კავშირს ადიღესთან აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებიც ახორციელებდნენ. გვიან შუა საუკუნეთა ხანის აღმოსავლეთ საქართველო, როგორც ცნობილია, გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, დაადგა რუსეთთან ურთიერთობის დამყარების ხანგრძლივსა და მძიმე გზას. ამ ურთიერთობათა გაღრმავებისას აღმოსავლეთ საქართველო პოლიტიკური მიზნებით მჭიდროდ დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიის იმ ხალხებს, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის მთავარი გადასასვლელების ზონაში იყვნენ განსახლებულნი. კერძოდ, საკმაოდ საქმიანი ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფეებს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდათ ადიღეელთა მონათესავე ტომებთან ყაბარდოელებთან. ჩრდილოეთ კავკასიის მმართველებთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის განმტკიცე-

შისათვის საქართველოს მეფეები ხშირად ნათესაურ კავშირებსაც ამყარებდნენ¹³¹.

XVI საუკუნიდან, საგანგებო პოლიტიკური ვითარების გამო, განსაკუთრებით გაცხოველდა ურთიერთობა კახეთის სამეფოსა და ყაზარდოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად ეს ორი მხარე ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებული იყო და ურთიერთდამაკავშირებელი გზები ძალზე რთულ რელიეფზე გადიოდა. კახეთის ქრისტიანული სამეფო ძალასა და ენერჯიას არ ზოგავდა, რომ რუსული ორიენტაციის მქონე ყაზარდოს მეშვეობით კავშირი გაება და განემტკიცებინა ერთმორწმუნე რუსეთთან.

ყველაზე უფრო მარჯვე გზას კახეთისა და რუსეთის დასაკავშირებლად, ბუნებრივია, დარიალის ხეობა წარმოადგენდა, მაგრამ არაგვის ხეობაში, გვიანი შუა საუკუნეებისათვის, შექმნილი საერისთავო გარკვეულ დღს ასვამდა ამ ურთიერთობაში განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ არაგვის ერისთავები კახეთის ან ქართლის მეფეთა ვასალს წარმოადგენდნენ, ხშირად ისინი ხელოვნურად ართულებდნენ რუსეთ-საქართველოს ელჩების მიმოსვლას¹³², რაც თურქეთით, ირანით და მეფის რუსეთით გარემოცულ კავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების ანარეკლი იყო. განსაკუთრებით თვითნებურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელმაც 1587 წელს დარიალის გზით არ გაატარა რუსი ელჩები ბირკინი და პიოვი¹³³, რომლებიც კახეთის მეფე ალექსანდრესთან მიდიოდნენ. ასეთ ვითარებაში ხშირად ყაზარდოს მმართველებსა და არაგვის ერისთავებს შორის ურთიერთობა ძალზე მწვედებოდა ხოლმე იმ ზომამდეც კი, რომ ყაზარდოელები თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ არაგვის საერისთავოს¹³⁴. XVII საუკუნიდან რუსეთთან დაახლოების ტენდენციამ თავი იჩინა დასავლეთ საქართველოშიც, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა ყაზარდო-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობები¹³⁵.

¹³¹ თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაზარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 37—45.

¹³² იქვე, გვ. 43.

¹³³ ბოცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37—45.

¹³⁴ С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, Москва, 1886, с. 288—294 и 455.

¹³⁵ თ. ბოცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—79.

ცნობილია, რომ XVII—XVIII საუკუნეებში ქართლ-კახეთის ისტორიაში დიდი ძნელებდობის ხანა იყო. თურქ-ირანელთა გამუდმებული თავდასხმები, რასაც ზედ ერთვოდა ლეკიანობა, ყველა პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ ქართლ-კახეთი გადაშენებულიყო. ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს პროგრესული ძალები ქვეყნის გამოხსნა-გადარჩენისათვის ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ რადგან ქართლ-კახეთს ამ უთანასწორო ბრძოლაში აღარ ყოფნიდა საკუთარი ძალები, ამიტომ მათი მეფეები დაჰმხმარე პოლიტიკურ ძალებს ეძებდნენ იმ ჩრდილოეთ ხალხებში, რომლებიც საქართველოსადმი კეთილმეზობლურად იყვნენ განწყობილნი. გარდა ამ პროგრესული მიზნებისა, ჩრდილოეთის ხალხებს არა ერთხელ იყენებდნენ შინა ფეოდალური ბრძოლების გამჩაღებელი თავადებიც. ასეთ „დამხმარე“ ძალებს უპირატესად ბოთარეშე ლეკები წარმოადგენდნენ. ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებით ენერგიულად ხელი ერეკლე II-მ მოჰკიდა, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საქმეში ფართოდ იყენებდა ჩრდილოეთ კავკასიის ძალებსაც. პაპუნა ორბელიანის ცნობით: „ამისა შემდგომად გარდმოვიდა ჯარები შემწედ, რომელი დაიბარეს მეფეთა ჩვენთა, ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა, ჯიქისა, ჭიშტისა, ღლიღცისა, ნოლისა და ოსისა, ამა ქვეყნების ჯარები თავთავისა უფროსითა კაცითა იყვნეს“¹³⁶.

ასეთი კოალიცია, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ზოგადკავკასიური ხასიათისა, არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ იმის შედეგად, რომ ჩერქეზები, ოსები, ჯიქები და სხვა, სათანადო გასამრჯელოს მოელოდნენ. ამ ქვეყანათა ჯარის ნაწილების მოსვლა „თავთავისისა უფროსითა“ უფრო ღრმა შინაარსის მატარებელია და იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენადაა მისაჩნევი.

ჯერჯერობით ქართლ-კახეთის ადიღესთან ურთიერთობის სხვა ფაქტები XVII—XVIII საუკუნისთვის არ მოგვეპოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტი სიშორის გამო ადიღე-აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური კავშირის განხორციელება ალბათ ამ დროისათვის არც იყო მოსალოდნელი.

¹³⁶ პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. იხ. საქართველოს ცხოვრება, 1739 წლიდან ვიდრე 1758 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, თბ., 1913 წ. ზ. ქიქინაძის გამოცემა, გვ. 215. აშკარაა, რომ ჩერქეზეთში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება ყაბარდო, ხოლო ტერმინი ჯიქეთი ფართო შინაარსითაა ნახმარი, იგულისხმებთან ადიღელები.

საყურადღებოა, რომ, მიუხედავად არასახარბიელო რეალური ვითარებისა, მიუხედავად პოლიტიკური აშლილობისა და განკერძობებისა, ვახუშტი ბატონიშვილს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“—ში ჯაჭეთი (იგულისხმება ჯიქეთი ვიწრო გაგებით) შეტანილი აქვს საქართველოს სამეფოსადმი კუთვნილ ქვეყანათა სიაში. აი, როგორ აღწერს XVIII საუკუნის ჯიქეთს ბატონიშვილი.

„ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ესამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხორება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩრდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპპეტის წყალი; (იგულისხმება მდ. ბზიფი. მ. ც.) დასავლით შავი ზღუა; სამცრით იგივე ზღუა; ჩრდილოთ კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქცევითაცა. არამედ კაცნი უმეტეს მკვეთ მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ესამად იმერნიცა ვმარობენ“¹³⁷.

მაშასადამე, ბზიფს ზემოთი ტერიტორია შავიზღვისპირეთი, ვიდრე ბოსფორამდე ვახუშტი ბატონიშვილს მიაჩნია ჯიქეთად, იუმცა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიულ ჯიქეთს ძალზე დამცრობილი ტერიტორია უკავია. ცხადია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ოფიციალურ წრეებში იურიდიულად საქართველოს კუთვნილ ნაწილად იყო მიჩნეული.

ასეთია, მოკლედ, საქართველო-ადიდეს პოლიტიკური უროიერთობის მოკლე ისტორია XIX საუკუნემდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა (1801 წელი) და იქ ახალი მმართველობა დამყარდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, აგრესიულ სახელმწიფოთა ჭიდილი, რომელიც კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის დაჩეხებისათვის მიმდინარეობდა, შევიდა გადამწყვეტ ფაზაში და მოვლენათა სწრაფმა განვითარებამ კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე საკმაოდ რელიეფურად გამოავლინა გამარჯვებული — ეს იყო რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური რუსეთი თავისთავად ძალზე ჩა-

¹³⁷ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 786—787.

ზორჩენილ და ეკონომიურად განუვითარებელ ქვეყანას წარმოადგენდა, იგი თავის მთავარ მეტოქეებთან თურქეთთან და ირანთან შედარებით ძლიერი და პროგრესული ძალა იყო. რუსეთის წარმატება ამ ხანისათვის უმთავრესად გამოიხატებოდა შემდეგში: კავკასიის საბოლოოდ დაკავებისათვის რუსეთმა აწარმოვა ხანგრძლივი და მძიმე წინამოსაზღაბელი ბრძოლები და შექმნა მყარი ნიჟადაგი წარმატებისათვის, კერძოდ: ყირიმის სახანოს გაუქმებით სამხრეთ რუსეთში თურქეთმა დაკარგა ერთგული და ძლიერი მოკავშირე, ხოლო რუსეთი შავ ზღვაზე უცილობლად გაბატონდა.

რუსეთის სანაპირო ხაზი სამხრეთით მჭიდროდ მიადგა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს და ახალ დაკავებულ რაიონებში შექმნა ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა და წარმოებდა კაზაკური მოსახლეობის გამალებული ჩამოსახლება კავკასიისწინეთში.

მეფის რუსეთმა თავისი მოკავშირის—აღმოსავლეთ საქართველოს საჰეფოს გაუქმებითა და თბილისში ჯარების შეყვანით საკმაოდ მტკიცედ ჩადგა ფეხი კავკასიის მთიანეთის სამხრეთით¹³⁸.

ამიერკავკასიის მთიანეთის დამორჩილებისათვის, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალი შეტევისათვის, სპარსეთზე გავლენის მოპოვებისათვის და, საერთოდ, ახლო-აღმოსავლეთის მსოფლიო პოლიტიკურ ქიშპში უფრო წარმატებული გამოსვლისათვის რუსეთს ახლა ამიერკავკასიაში სუსტი მოკავშირე—საქართველო უკვე აღარ აკმაყოფილებდა. სამხედრო ფეოდალურ იმპერიას ამიერკავკასიაში საკუთარი მტკიცე დასაყრდენის შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი და სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ენაცვალა კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ახლა ძლიერი რუსეთი უშუალოდ გაუმეზობლდა ერთ დროს ძლიერ თურქეთის იმპერიას.

ასეთ ვითარებაში თურქეთს საკუთარი ძალებით ძალზე გაუჭირდა რუსეთის შეკავება სამხრეთის მიმართულებით. მაგრამ რუსეთის ექსპანსია აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ არანაკლებ აშფოთებდა დასავლეთ ევროპის იმ კოლონიურ სახელმწიფოებსაც, რომლებიც მახლობელი აღმოსავლეთით სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომაც იყო, რომ ინგლის-საფრანგეთი, თუ, აქამდე ირან-თურქეთს, რუსეთის წინააღმდეგ, მხარს დიპლომატიური არხებით და შედარებით მცირე მასშტაბის ღონისძიებებით

¹³⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX ს-ის I მეოთხედში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 248.

უმავრებდნენ, ახლა უკვე დღის წესრიგში დადგა მათი ამ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის საკითხი.

ამიერ და იმიერკავკასიაში მოსახლე ხალხები შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ძალაუვნებურად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო იმის გამო, რომ ისინი მოვლენათა ცენტრში მოექცნენ, არამედ იმიტომაც, რომ ახლა უკვე საბოლოოდ წყდებოდა მრავალეროვანი კავკასიის ხალხთა ბედი და მათ, ბუნებრივია, არ შეეძლოთ გულგრილნი დარჩენილიყვნენ ამ მოვლენების მიმართ.

კავკასიის ხალხებს ამ ბრძოლებში ყოველთვის ამოძრავებდათ საკუთარი ინტერესები, რომლებიც პრინციპში არც ერთი მოჭიმვე სახელმწიფოს ინტერესებს არ ეთანხმებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ კარგად ესმოდათ კავკასიის მოსახლეობისა და ცალკეულ ერთა მიზნები და მისწრაფებანი. რუსეთის დიდმოხელისა და გენერლის მურავიოვის სიტყვით¹³⁹. „...მთიულთათვის, რომლებიც ჩვენთან იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თანაბრად საძულველია ყოველგვარი ძალმომრეობა“... იქნებოდა ეს რუსეთის, აურქეთის თუ ინგლისის მხრივ. მიუხედავად ამისა, რუსეთი ზომაზე მეტად ჩქარობდა, დროზე აეთვისებინა კავკასია, რომელსაც ამოდ, მაგრამ საკმაოდ ენერგიულად ეცილებოდნენ თურქეთი და მის ზურგს უკან მდგომი ინგლის-საფრანგეთი.

კავკასიაშია და მახლობელი აღმოსავლეთით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოები ადგილობრივი მოსახლეობის ქეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს, რა თქმა უნდა, აინუშშიაც არ აგდებდნენ და თუ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი მეომარი მხარე ამა თუ იმ კავკასიური ხალხის ეროვნული ინტერესების ქომაგად გამოდიოდა, რა თქმა უნდა, ამ მოქმედების უკან იმალებოდა მათი კერძო ინტერესები და ანგარება.

დიდ სახელმწიფოთა ქეშმარიტი ზრახვები ყველა ქვეყანაში და მათ შორის კავკასიაშიც გამოიხატებოდა ერთი პრინციპით: „დაყავი და იბატონე“.

მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება და ეს მრავალჭირანახული ქვეყანა რუსეთის პროვინციად იქცა, საქართველოს ურთიერთობა ამიერკავკასიის დანარჩენ მოძმე

¹³⁹ Н. Н. Муравьев, Война за Кавказом в 1855, т. I, СПб, 1877, с. 293.

ხალხებთან ახალ ფაზაში შევიდა და ამ ურთიერთობებმა ამიერკავკასიის მიხედვით სრულიად სხვაგვარი ხასიათი. ახლა, მთელი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი ხალხის ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მეტწილად შეპირობებული იყო არა საკუთარი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესებით (სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა), არამედ ექვემდებარებოდა დიდ სახელმწიფოთა შორის გამიზნულ პოლიტიკურ ინტერესებს და, ამდენად, ამ ურთიერთობებს არც შეიძლებოდა სისტემატიური და თვითმყოფადი ხასიათი ჰქონოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და განსაკუთრებით გულისტანის ზავის დადებამ შემდეგ რუსეთის მფლობელობა ამიერკავკასიაზე ოფიციალურად იქნა აღიარებული¹⁴⁰. ყოველ შემთხვევაში ირანმა მომხდარი ფაქტი იძულებით აღიარა და ახლა ჯერი ოსმალეთზე დგებოდა, რომელიც, რა თქმა უნდა, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მფლობელობას ამ რაიონში. ასეთ ვითარებაში ორივე მებრძოლი მხარისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი რესურსებისა და ცოცხალი ძალის რაც შეიძლება ეფექტურ გამოყენებას. მართო საკუთარ ძალებზე დაყრდნობით სასურველი პოლიტიკური უპირატესობის მოპოვება ჩრდილოეთ კავკასიის აწარმოებდა იმ მხარეში ან ძალზე ჭირდა, ან კიდევ მეტად ჭიანჭურდებოდა.

რუსეთი, მიჰყვებოდა რა თავის ტრადიციულ პოლიტიკურ კურსს, ახალ კოლონიებში ცდილობდა, შეექმნა დასაყრდენი¹⁴¹. ასეთ დასაყრდენად მეთვის პოლიტიკოსებს, ბუნებრივია, ადგილობრივი არისტოკრატია ესახებოდათ. მიმხრობაგადაბირების პოლიტიკას რუსეთი განსაკუთრებით ენერგიულად დასავლეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ ადიღეელ ტომებს შორის ატარებდა და ისიც გარკვეულ პერიოდამდე.

ახლა, როდესაც კავკასიის რუსეთთან საბოლოოდ შეერთების საკითხი მომწიფებული იყო, ადიღეელი ტომებით დასახლებულ ყუბანის აუზს კავკასიისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში პონსონი XIX საუკუნის 30-იან წლებში წერდა: „ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ადიღეს“¹⁴².

¹⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 482.

¹⁴¹ Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны, Тифлис, 1860.

¹⁴² ЦАДА, фонд № 1А, дело № 37, л. 32.

ინგლისისა და სხვა დასავლეთეუროპული ქვეყნების მატერიალური და მორალური მხარდაჭერით, რუსეთის საწინააღმდეგოდ დარაზმულ ძალებს ეგზავნებოდა დიდძალი იარაღი და ინსტრუქტორები. თავის მხრივ. თურქეთი ცდილობდა, უფრო მტკიცედ გავრცელებინა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ამ მეთად მნიშვნელოვან საკვანძო ტერიტორიაზე.

ადილეელ ტომებს შორის რუსეთს, მართალია. ჰყავდა მომხრეთა საკმაოდ ძლიერი¹⁴³ ჯგუფი, მაგრამ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის არმიის მონაპირე ჯარების სარდლობის საკმაოდ წინდაუხედავი პოლიტიკის წყალობით ადილეელი მოსახლეობა მასიურად განუდგა ჩრდილოეთიდან მოსულ ახალ მეზობელს და თანდათანობით თურქეთის მხარე დაიკავა. თურქეთი, გრძობდა რა დასავლეთის კოლონიური ქვეყნების მხარდაჭერას, ჩქარობდა, ესარგებლა თავისუფლებისმოყვარე ადილეელთა რუსეთისადმი ასეთი განწყობილებით და არ აკლებდა ცდას, რაც შეიძლება მტკიცედ დაედო ხელი ყუბანისპირეთსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის. პოლიტიკური ზემოქმედების გარდა, თურქეთი ადილეელთა შორის საკმაოდ მარჯვედ იშველიებდა თავის იდეოლოგიურ იარაღს—ისლამს.

XIX ს-ის დამდეგისათვის ისლამი უკვე საკმაოდ ღრმად იდგამს ფესვებს არა მარტო ადილეელთა ზედა ფენებში, არამედ მოსახლეობაშიც. თურქეთის აგენტურა და მისი ანაბელი თანამოსამქმენი, წლითწლობით აძლიერებდნენ რა რელიგიურ პროპაგანდას „ურწმუნთა“ წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, ახერხებდნენ ადილეელი ტომების დარაზმვას რუსეთის წინააღმდეგ. ამას გარდა, პორტას გეგმაში შედიოდა მთელი კავკასიის ისლამიზაცია. თურქეთის სულთნები თავგამოდებით ცდილობდნენ, რუსეთის წინააღმდეგ უკანასკნელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი მომხრე შეეძინათ. მაჰმადიანი კი ყველა ვითარებაში მათ ბუნებრივ მოკავშირეს და თანამოაზრეს წარმოადგენდა.

ადილე თურქეთის ხელში წარმოადგენდა ერთგვარ ფორპოსტს, საიდანაც პორტა არა მარტო ყუბანისპირეთზე მომდგარ რუსებს ელობებოდა წინ, არამედ აქედანვე იხსნებოდა დასავლეთ საქართველოზე თურქეთის ძალაუფლების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი გზაც.

¹⁴³ А. В. Суворов, Материалы по истории русской армии. Русские полководцы. Сборник документов, т. II, М., 1951.

დასავლეთ საქართველო (თავისი სანაპირო ზოლით და შიდა რაიონებით) თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიულ რგოლს წარმოადგენდა და რუსეთის ენერგიულ მოქმედებას ამ რაიონში ბრძოლის თავის გეგმას უპირისპირებდა.

მაშინ, როდესაც რუსული გარნიზონები მჭიდროდ შობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრებს, თურქეთმა განსაკუთრებული ყურადღება აფხაზეთს მიაქცია და საკმაოდ ენერგიულ ღონისძიებათა წყალობით დიდი გავლენაც მოიპოვა ამ სამთავროში. აფხაზეთში თურქეთის გაბატონების ყველაზე სავალალო შედეგი მაინც ის იყო, რომ მოსახლეობაში საკმაოდ სწრაფად იწყო გავრცელება მაჰმადიანობამ. ისლამის ასეთ ენერგიულ გავრცელებას, გარდა წმიდა პოლიტიკურა ხასიათის ფაქტორებისა, გარკვეულად ხელს უწყობდა აფხაზეთის მჭიდრო ურთიერთობა უკვე გამაჰმადიანებულ ადიღეულ ტომებთანაც. მაგრამ ადიღეელებსა და აფხაზებს არც თურქეთი ეხატათ გულზე¹⁴⁴. მიუხედავად ისლამის გავრცელებისა და აფხაზურ-ადიღეურ მოსახლეობის ნაწილის თურქეთთან ერთმორწმუნოებისა, დასავლეთ კავკასიის მთის მოსახლეობა არასდროს არ შერიგებია მათზე თურქეთის უშუალო გაბატონების აზრს¹⁴⁵.

მართალია XVIII ს-ის ბოლოსათვის აფხაზეთში ქრისტიანული მოსახლეობის პროცენტი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზეთის მთავარმა აჰმად-ფაშამ (მინ. შარვაშიძის მამა) ისლამის რჩული აღიარა და სულთნის წყალობით ფაშად იქცა, აფხაზეთი სტამბოლში როგორც მაჰმადიანური სამთავრო ისე მიითვალეს.

აჰმად-ფაშა შარვაშიძე ბოლომდე პორტას ერთგული დარჩა და მის გამგებლობაში მაჰმადიანობას აფხაზეთში საკმაოდ მყარი საფუძველი ჩაეყარა.

როგორც ჩანს, აჰმად-ფაშას ადიღეულ ტომებთან და მათ ფეოდალურ არისტოკრატიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა აჰმად-ფაშას მემკვიდრის ქელაიშ-ბეგ შარვაშიძის მთავრობის დროს. მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ ფეხი დასავლეთ კავკასიაში ჩადგა და სამეგრელოს სამთავრომდე თითქმის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ჯერი აფხაზეთზე მიდგა. აფხაზთა მთავარს, ანუ როგორც თურქეთში უწოდებდნენ აფხაზთა ფაშას, ექვემდებარებოდა სოხუმი, ანაკლია და ფოთიც.

¹⁴⁴ ОИА, с. 308—315.

¹⁴⁵ Р. Ф а д е е в, Шестьдесят лет..., с. 26.

კი, რომელსაც აფხაზთა მთავრის სახლიკაცი შარვაშიძე განაგებდა¹⁴⁶.

საყურადღებოა, რომ აფხაზეთი ძველი საქართველოს ერთი იმ პოლიტიკურ ერთეულთაგანი იყო, რომელიც ყველაზე გვიან შევიდა რუსეთის მფარველობაში. ამის მიზეზს არა მარტო საგანგებო პოლიტიკური ვითარება წარმოადგენდა, არამედ ისიც, რომ აფხაზეთი თვით იყო ძლიერი სამთავრო და მთიელი ადიღედან ყოველთვის იღებდა საკმაოდ ხელშესახებ დახმარებას. ეს დახმარება იმდენად ხელშესახები ყოფილა, რომ თურქეთიც იძულებული ხდებოდა ხანდახან ანგარიში გაეწია. მაგ., როცა 1805—6 წლებში ქელიშ-ბეგსა და თურქეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა და განრისხებულმა სულთანმა 1806 წლის ივლისში ქელაიშ-ბეგის დასასჯელად ტრაპიზონიდან თურქეთის ფლოტი და დამსჯელი გარნიზონი გაგზავნა, ამ ამბავს აფხაზეთის მთავარი მომზადებული შეხვდა. ვარდა საკუთარი ლაშქრისა, მან მოიშველია ადიღეელთა სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი მხედრობა და ოსმალებს თითქმის 25000 ჯარით დახვდა¹⁴⁷. ეს ძალა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თურქებს უარი ეთქვათ თავის განზრახვაზე და უკან გაბრუნებულიყვნენ. საგულისხმოა, რომ ქელაიშ-ბეგის შემწე ადიღეელები ეტყობა, აგრეთვე, თურქეთის სულთნის პოლიტიკის უკმაყოფილო წრიდან უნდა ყოფილიყვნენ, თორემ თურქეთის მოქმე შარვაშიძის საშველად ასე აშკარად ვერ გამოვიდოდნენ.

აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ მთიანი ადიღე სამხრეთ-დასავლეთიდანაც გარშემორტყმული აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ ადიღესა და აფხაზეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობები ამ ვითარების გამო საგრძნობლად უნდა შენელებულიყო. მაგრამ ის ადიღეელი ტომები, რომლებიც შავიზღვისპირეთში ემეზობლებოდნენ აფხაზეთს (ჯიქების წაშთები, უბიხები და სხვა) და რომლებიც აგრეთვე შედარებით ადრე მოექცნენ რუსეთის მფლობელობაში, კვლავ ინარჩუნებდნენ მკიდრო კონტაქტებს ამ სამთავროებთან.

ყირიმის ომის წინა ხანებში და ამ ომის მომზადებისას საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა. თურქეთის, ინ-

¹⁴⁶ ნ. ბ. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ე. ი. ლ. ი., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 400.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 404. ადიღეელთა მხედრობა სხვა დროსაც აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგ., არსლან-ბეი შერვაშიძის მხარეზე სოხუმის ციხეში იბრძოდა 300 ადიღეელი მხედარი.

გლისისა და საფრანგეთის აგენტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ დასავლეთ კავკასიასა და აფხაზეთში, სადაც ისინი, გარდა იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აღელვებდნენ, ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების დაპირებით ცდილობდნენ, ადიღე-აფხაზეთში შეექმნათ რუსეთის საწინააღმდეგო ერთიანი ფრონტი. ასეთ ვითარებაში ოსმალეთ-ინგლისი სანთლით ეძებდნენ რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო ელემენტებს. ასეთებს შორის კი, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, იყო მ. შარვაშიძეც, რომელიც, მართალია, ოფიციალურად რუსეთის მფარველობაში ითვლებოდა, მაგრამ საყოველთაოდ იყო ცნობილი თავისი სიძულვილით იმ დიდმპყრობელური ზრახვებისადმი, რითაც მეფის რუსეთი ხასიათდებოდა. მიხ. შარვაშიძე ხედავდა, რომ, მიუხედავად მისი გულწრფელი ერთგულებისა, ცარიზმი მართო კეთილი სამსახურით არ კმაყოფილდებოდა. პეტერბურგი სრულ მორჩილებას მოითხოვდა მათი შორსგამიზნული წინოწყების განსახორციელებლად, რაც შავიზღვისპირეთში (ბზიფამდე) კაზაკური მოსახლეობის დასახლებას გულისხმობდა. ნახევრად დამოუკიდებელი სამთავრო საკმაოდ დიდ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამას, რა თქმა უნდა, მ. შარვაშიძე კარგად გრძნობდა და შესაფერის გამოსავალსაც ეძებდა. თუმცა რუსეთის სამსახურზე, გარკვეულ დრომდე, მას ხელი არ აუღია. თუ რა ენერჯულად იღვწოდა იგი რუსეთის ინტერესებისათვის, ეს კარგად ჩანს მის მიერ გენ. ბუბუთოვისადმი ქართულად მიწერილ ერთ წერილში. იგი რუსეთის დიდ მოხელეს მოახსენებდა, თუ როგორ ჩანოცილა აჯანყებულნი, ჯიქები, უბიხები, შაფსულები და აბაძეხები თურქეთის ემისრებს, რომლებიც მათ ყარაჩაისკენ რუსების წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდებდნენ. ეს მოხდა მაშინ, როდესაც შამილის ერთგულ ნაიბს და ოსმალეთ-ინგლისთან დაკავშირებულ ენერჯიულ მუჰამედ ემინს ადიღეელთა შორის საკმაოდ დიდი ძალაუფლება და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. მუჰამედ ემინი კი ცნობილია, თუ რა დიდის მონდომებით აგროვებდა ადრღუელთა შორის ჯარებს, რათა სწორედ ყაბარდო-ყარაჩაელთა ქვეყნის გავლით შეერთებოდა შამილის ლაშქარს და შემდგომ ერთიანი ძალით ემოქმედათ რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა, მთავრის ერთგულებორგულობას, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამთავროს არსებობის საკითხისათვის. შარვაშიძე კარგად ხედავდა, თუ როგორ მეთოდურად მზადდებოდა სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმება, გრძნობდა, თუ როგორ აღიზიანებდა რუ-

სეთის მთავრობას აფხაზეთის „პატივმოყვარე“ მთავრის საკმაოდ ჯიქური სწრაფვა თვითყოფადობისაკენ და ამასთანავე ისიც ნათელი იყო, რომ რუსეთი მისი დიდი ხნის ნატურის შესრულებას საჭურზაყნოს აფხაზეთთან შეერთებას არა თუ არ აპირებდა, არამედ ავით აფხაზეთის სამთავროს ყოფნის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამის გარდა, შარვაშიძის გარშემო იხლართებოდა პირადი ინტრიგების ქსელიც. ამიტომ იყო, რომ იგი ომარ-ფაშას სოხუმში გადმოსხდომისთანავე თურქეთის ბანაკში აღმოჩნდა და უკეთესის მოლოდინში პორტას მფარველობა აღიარა.

ასეთ ვითარებაში, როცა მ. შარვაშიძე თურქეთის მოკავშირე გახდა, ბუნებრივია, რომ ადიღელი ტომების არისტოკრატია თავისი მხედრობით აგრეთვე ომარ-ფაშას ბანაკში აღმოჩნდებოდა. მართალია, შარვაშიძესა და ომარ-ფაშას შორის არასდროს არ ყოფილა სრული ნდობა, უფრო მეტიც, აფხაზთა მთავარს რუსეთის სასარგებლო საქმეების კეთებაზე მერეც არ აულა ხელი¹⁴⁸, მაგრამ შარვაშიძის ომარ ფაშასთან უბრალო მისვლასაც კი პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორი იყო ომარ-ფაშას მიზანდასახულობა, როდესაც იგი სოხუმში გადმოსხდა? ისტორიულ წყაროთა ანალიზი ადასტურებს, რომ თურქ გენერალს სამხედრო-სტრატეგიულ გეგმასთან ერთად გარკვეული პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა. ომარ-ფაშა სრული დარწმუნებით ვარაუდობდა მოქნილი პოლიტიკით პეგემონობა მოეპოვებინა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ მოსახლეობაში (განსაკუთრებით ადიღელებში); გარდა ამისა, მისი მიზანი იყო: მჭიდრო კავშირი დაემყარებინა შამილთან და მის მოადგილესთან ადიღეში მუჰამედ-ემინთან და შეექმნა აფხაზთა და ჩერქეზთა დამხმარე კორპუსი¹⁴⁹, რაც მას გაუადვილებდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობას. შემდეგ კი მას მთელი ამიერკავკასიის დაკავების პერსპექტივაც ესახებოდა.

მიურიდიზმის მავნე გავლენით მოტყუებული ადიღელი მოსახლეობის ერთი ნაწილი ომარ-ფაშას მართლაც მიუვიდა. და ისინი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ 1855 წლის სამხედრო კამპანიაში: ომარ-ფაშას მავნელ ჯარში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსული მმართველობის მოძულე უბიხი მხედრები, რომელ-

¹⁴⁸ ს. ჯანაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

¹⁴⁹ Дюлорье Эдуард. Россия на Кавказе. Конец Кавказской войны, 1865, г. 60, с. 948.

თავან საკმაოდ ცნობილი უბინი თავადი ჩუი სხვა მხედრებთან ერთად აბაშასთან ბრძოლაში დაიღუპა კიდეც¹⁵⁰.

აღსანიშნავია, რომ აფხაზთა მხედრონი სამეგრელოდანვე გააბრუნა ომარ-ფაშამ¹⁵¹. ადიღელები კი ომარ-ფაშას ბოლომდე ახლდნენ თან. მათ განსაკუთრებული რაინდობითა და შემართებით, ჩანს, ვერ გამოიჩინეს თავი. როგორც მურავიოვის ნაშრომი გვიჩვენებს, საკმაოდ თვითნებურად იქცეოდნენ გურია-სამეგრელოში, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ სოფლებს; რასაც გადაჭრით გამოდნენ ომარის არმიში მყოფი ინგლისელი ოფიცრები. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, როცა მთიელთა ამ საქციელმა მეტად ფართო ხასიათი მიიღო და ეს ამბავი ომარ-ფაშას მოხსენდა, მან ადიღეელთა მხრიდან მცირე მასშტაბის ძარცვა-გლეჯა დასაშვებად ჩასთვალა იმ მოტივით, რომ ადიღეელ მხედრებს, ფაშასაგან არათუ მუდმივი ჯამაგირი ჰქონდათ გაჩენილი, არამედ საკვებსაც კი არ აძლევდნენ¹⁵².

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ შოველენები დასავლეთ საქართველოში და მთელს კავკასიაში ძალზე სწრაფად განვითარდა.

რუსეთმა კვლავ დაიბრუნა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის იმართადი საზღვაო პუნქტები¹⁵³.

1857 წელს გაუქმდა სამეგრელოს ავტონომია¹⁵⁴.

1859 წელს დანებდა ჯერ შამილი, ხოლო შემდეგ მუჰამედ ემინი. კავკასია მთლიანად რუსეთის ხელში აღმოჩნდა. უკანასკნელი ანტირუსული ბასტიონი—ადიღე ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ნელ-ნელა ყრიდა იარაღს¹⁵⁵.

1864 წელს მიხ. შარვაშიძის გარდაცვალებისთანავე გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო, ხოლო ამ ნიადაგზე მოწყობილი სახალხო აჯანყება მარცხით დამთავრდა¹⁵⁶.

ამავე ხანებში დაიწყო მოპაჭირთა ძლიერი მოძრაობა და როცა მათი თურქეთში გადასახლების საკითხი დაისვა¹⁵⁷, ცარიზმის მოხელეები არათუ წინაღუდგნენ, არამედ ხელიც კი შეუწყვეს ამ ისტორიული შეცდომების განხორციელებას.

¹⁵⁰ ვ. ბ უ რ კ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო. თბ., 1960.

¹⁵¹ საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1970, გვ. 213—215. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, 1957.

¹⁵² Н. М у р а в ь е в, Война за Кавказом в 1855 г., т. I.

¹⁵³ Д ю л о р ь е Э д у а р д, დასახ. ნაშრომი, გვ. 949.

¹⁵⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 216—226.

¹⁵⁵ ОИА, გვ. 366—372.

¹⁵⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 225—226.

¹⁵⁷ ОИА, გვ. 373—377.

საქართველო-ადიღეს ეკონომიკური და კულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან

ადრე და განსაკუთრებით განვითარებული შუა საუკუნეები-სათვის, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის შთიანეთთან საქართველოს სამეფოს უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა უმეტესობა საქართველოსთან პოლიტიკურად იყო დაკავშირებული, ბუნებრივია, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები იმიერ და ამიერ კავკასიას შორის უაღრესად ინტენსიური იყო, თუმცა წერილობით წყაროებში კონკრეტული მასალა ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად ფრაგმენტული და ნაკლებია.

გარკვეულ სამსახურს ამ საკითხზე მსჯელობისას გვიწევს არქეოლოგიური და, ნაწილობრივ, ეთნოგრაფიული მასალა.

განსაკუთრებით არახელსაყრელი ვითარება ეკონომიკური და კულტურული ურთიერთგაცვლისათვის შეიქმნა გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცებულ ქვეყნებში ხელოვნური ბარიერები და გართულებები იქმნებოდა: ეკონომიკის მოშლისა და საერთო რეგრესის პირდაპირი ნაყოფი იყო ველურობამდე მისული ტყვეთა სყიდვა, რომლის სავალალო შედეგები მთელ დასავლეთ ამიერკავკასიას დიდხანს გაჰყვა.

ამიერიდან საქართველოსა და ადიღეს შიდა რაიონებს შორის ურთიერთობა აფხაზეთის მეშვეობით ხორციელდებოდა. აფხაზეთი იყო ის რეგიონი, რომელიც არეგულირებდა ეკონომიკური და კულტურული ენერჯის მიმოქცევას დასავლეთ საქართველოსა და ყუბანის აუზს შორის. ამ ურთიერთობის განხორციელება ხერხდებოდა იმ გზებით და საუფელტეხილო გადასასვლელებით, რომელიც ასე მრავლად იყო დასავლეთ კავკასიონის ქედზე და რომელთა შესახებაც ჩვენ ნაშრომის შესავალში გვქონდა საუბარი.

ისტორიული საქართველოს ფარგლებში, ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ყველაზე უფრო ხელმარჯვე იყო მდ. ნიკოფსის (თანა-

მედროვე ნეჩეთსუხო) ხეობაზე გამავალი გზა, რომელიც ზღვისპირა ქ. ნიკოფსიას აკავშირებდა ცენტრალურ, მთიან ადგილსთან (ფსუტისის ხეობასთან).

აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებისა და მოგვიანებით აფხაზეთ-ეგრისის სამეფოს შექმნის შემდგომ, ნიკოფსიის, როგორც სასაზღვრო პუნქტის, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო. ამავდროს, ნიკოფსიამ, ჩანს, აკლავ შეინარჩუნა მსხვილი სასულიერო ცენტრის მნიშვნელობა¹⁵⁸.

ნიკოფსიის ლოკალიზაცია ამჟამად, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს¹⁶⁰. ცხადია, რომ იგი აღმოცენებულია სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას, მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე, რომელიც კონტროლს უწევდა საკმაოდ ძლიერ ეკონომიკურ რაიონს¹⁶¹.

საყურადღებო ინფორმაციას ნიკოფსიის (ამ პუნქტს ამჟამად ეწოდება სოფ. ნოვომიხაილოვკა) ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის შესახებ გვაწვდის არქეოლოგიური კვლევებიების შედეგად მოპოვებული მასალები. ამ რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლები უკვე კარგახანია იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას¹⁶² და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ უკანასკნელ დრომდე გრძელდება სავლეთ კვლევები¹⁶³.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და განსაკუთრებით კი ნეჩეთსუხო ხეობა მდიდარია ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებით. სწორედ ამ ძეგლთა სიმრავლემ და აღნიშნული პერიოდის ციხესიმაგრეთა ნაშთების არსებობამ ავარაუდებინა პირველად ფ. ბრუნს ანტიკური წყაროების „ნიკოფსიის“ მდ. ნეჩეთსუხო ხეობის და

¹⁵⁸ ბ ა ს ი ლ ი ს ო ფ ე ნ ე ლ ი, გეორგია, IV, ნაკვ. II, გვ. 184—185.

¹⁶⁰ З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, 1959, Сухуми, с. III. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 141—142.

¹⁶¹ ზ. ანჩაბაძის ვარაუდით, აფხაზეთ-ეგრისის მეფის გიორგი II-ის დროს (929—957) აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ყუბანის დელტამდე აღწევდა. იხ. З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 111. შდრ. Кудрявцев, Сборник материалов по истории Абхазии, Сухуми, 1922.

¹⁶² Ф. Брун, Черноморские готы и следы долгого их пребывания в Южной России. Сб. «Черноморье», т. 2, 1883, А. А. Спицын, Могилиники VI—VII вв. в Черноморской области, ИАК, СПб, 1907, вып. 25, с. 188—192, А. А. Миллер, Разведки на Черноморском побережье Кавказа, ИАК, СПб, 1909, вып. 33, с. 97—101.

¹⁶³ Н. В. Анфимов, Зихские памятники Черноморского побережья Кавказа. Северный Кавказ в древности и в средние века, М., 1980, мс. 92.

საწყისში¹⁶⁴. ნიკოფისის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ასეთივე აზრისა იყო ვ. ლატიშევიც¹⁶⁵.

სოფ. ნოვომიხაილოვკის ცენტრის სიახლოვეს, ზღვის სანაპიროზე, დღემდეა შემონახული საკმაოდ მძლავრი ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი ადგიელები დუზუ-კალეს უწოდებენ. სამწუხაროდ, ციხე-სიმაგრე ამჟამად თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. მაგრამ 1905—7 წლებისათვის, როდესაც იქ მუშაობდა ა. სპიცინისა და ა. მილერის ექსპედიციები, დუზუ-კალეს კედლები გაცილებით უფრო უკეთ ყოფილა შემონახული¹⁶⁶.

ა. სპიცინმა ციხის ტერიტორიაზე გამოავლინა რამდენიმე სამარხიც, რომელთა ნაწილი VI—VII, ხოლო მეორე ჯგუფი XIV—XV საუკუნეებით დაათარიდა¹⁶⁷.

განსაკუთრებული ყურადღება დუზუ-კალეს ციხის ნაშთების შესწავლას მიაქცია 1907 წელს ა. მილერმა. ამ ციხის მიღერასეული შოკლე აღწერა ამჟამად ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია წარმოვადგინოთ ვიქონიოთ დიდი მნიშვნელობის მქონე სასიმაგრო ნაგებობაზე, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე დარაჯად ედგა საქართველოს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთიდან¹⁶⁸.

ციხე-სიმაგრეს ჰქონდა გალავანი, რომელიც 1907 წლისათვის საკმაოდ კარგად ჩანდა აღმოსვლეთიდან, დასავლეთიდან და ზღვის მხრიდან. გალავნის შიგნით შეიმჩნეოდა მოზრდილი შენობის ნაშთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი თალიანი კარიბჭე. ამ ნაგებობათა მიღმა, ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ ნაწილში ყურადღებას იქცევდა დიდი ბორცვი, შემალღებული ადგილი, რომელიც იწოდებოდა არქეოლოგიურ მასალას¹⁶⁹.

ამჟამად ზემოხსენებული ნაგებობებიდან და კედლებიდან შემონახულია მხოლოდ ერთი 15 მეტრი სიგრძის კედელი აღმოსავლეთ ნაწილში დაახლოებით 1—1,2 მეტრი სიმაღლისა, რომელსაც პერანგის კვადრები ორივე მხრიდან შემოძარცვული აქვს.

ბ. ანფიმოვმა სავლეთ კვლევებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ ნაწილში შემონახულ

¹⁶⁴ Ф. Брун, указ. соч., с. 239.

¹⁶⁵ В. Латышев, К: истории христианства на Кавказе, М., 1911.

¹⁶⁶ А. А. Спицин, დასახ. ნაშრ., გვ. 188—192.

¹⁶⁷ იქვე.

¹⁶⁸ А. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 97—101.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 98.

ბორცვს, სადაც ჯერ კიდევ მილერის დროს რაღაც ნაგებობათა ნაშ-
ლები შეიმჩნეოდა. ამ ბორცვსაც მთელ პერიმეტრზე აღმოაჩნდა
გალავანი ცუდად შემონახული კედლებით. ქვის წყობის ხასიათით
ღუზუ-კალეს ციხე საკმაოდ ახლო დგას ანაკოფიისა და გაგრის
ისტორიულ ძეგლებთან.

ძველი ნიკოფსიის ტერიტორიაზე შემორჩენილია შედარებით
უფრო მომცრო მეორე ციხის ნაშთებიც¹⁷⁰. იგი მდებარეობს მდ.
ნეჩეფსუხოს მარცხენა ნაპირზე ზღვიდან 1 კმ-ის დაცილებით და
უკავია ზღვისკენ დაშვებული დაბალი ქედის ბოლოს არსებული
ოვალური ბორცვი (შიდა ფართობი დაახლოებით 3000 კვ მეტრია).
ციხე-სიმაგრეს მთელ პერიმეტრზე ჰქონია გალავანი, მაგრამ 1956
—57 წლებისათვის, როდესაც იქ არქეოლოგიური ძიება წარმოებ-
და, ციხის გალავანი ახალი დანგრეული ყოფილა¹⁷¹.

ციხის შიდა ტერიტორიაზე ყველაზე შემადლებულ ადგილას,
საკონტროლო თხრილში მოპოვებულ იქნა საკმაოდ შრავალრიც-
ხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ემსგავსება, ერთი
მხრივ. ქერსონესის¹⁷², ხოლო, მეორე მხრივ, ბიჭვინტის ნაქალაქა-
რის იმ მასალებს, რომლებიც განეკუთვნება ამ ძეგლის ყველაზე
გვიანდელ ხანას და იუსტინიანეს ეპოქით თარიღდება¹⁷³.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ, რაც ნიკოფსია აფხაზე-
თის სამთავროს სანაპირო ციხედ იქცა (VII—VIII სს.), იქ გარ-
კვეული სამუშაოებიც იქნებოდა ჩატარებული, ხოლო IX საუკუ-
ნის ბოლოდან და განსაკუთრებით კი X საუკუნიდან, როგორც გა-
ერთიანებული საქართველოს სანაპირო თემის ცენტრი, ნიკოფსია,
უდავოა, სათანადოდ იქნებოდა გამაგრებული. ნიკოფსიის მეორე
ციხე აგებული ყოფილა უაღრესად ხელსაყრელ სტრატეგიულ ად-
გილას და იგი აშკარაა, რომ კონტროლს უწყევდა ადიღეს მთიანე-
თისაკენ მიმავალ სავაჭრო გზის დასაწყისს. სწორედ ეს გზა გვე-
სახება, იმ ერთ-ერთ მფავეარ არტერიად, რომლის მეშვეობითაც გან-
ვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველოს ხელისუფლება ახორ-
ციელებდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთ-
კავშირს ადიღეს შიდა თემებთან.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ იქვე, გვ. 94.

¹⁷² А. Л. Я ко б с о н, Раннесредневековый Херсонес, М.-Л., 1959,
33. 21—35.

¹⁷³ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, დიდი პიტიუნ-
ტი, I, თბ., 1975, გვ. 27—30.

გამორიცხული არ არის, რომ ნიკოფსიის ორი ციხე-სიმაგრედან ერთ-ერთი ყოფილიყო სწორედ ჯიქეთის ის ციხე, რომელშიაც აფხაზეთ-ეგრისის მეფე გიორგი მეორემ კახელი ფეოდალი ხახუა არიშისძე „წარსცა ბყრობილად“. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს კათედრალური ტაძრის საკითხიც, რომლის ნაშთებიც ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის. ამ ეკლესიაში ხომ მთელი განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთგაცვლა ხორციელდებოდა დასავლეთ კავკასიონის სხვა გადასასვლელებითაც.

ეკონომიკური და კულტურული მიძალბა ჩრდალოეთ კავკასიის ხალხებისადმი კარგად იყო შენიღბული ეკლესიური პროპაგანდით. ჯერ ბიზანტიელები, ხოლო შემდეგ კი საქართველოს მმართველები ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ. რომ ქრისტიანული რელიგიის დანერგვის საბაბით, რაც შეიძლება მტკიცედ დამკვიდრებულ იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. X საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობის დამკვიდრება-განმტკიცების საქმეს ძირითადად საქართველოს სამეფო ხელისუფლება განაგებდა. აქაც, როგორც ჩანს, გავლენის სფეროებისათვის გარკვეული ბრძოლა წარმოებდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ნიკოფსიის საარქივებისკომპოსის დაქვემდებარება მცხეთის საკათალიკოსოსადმი X საუკუნის დამდგენისათვის დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური განარჯვება იყო საქართველოსათვის.

საქართველოს მმართველები, ახორციელებდნენ რა ფართო და წინასწარ-შემუშავებულ პროგრამას ჩრდილო დასავლეთ კავკასიის მიმართ, მარჯვედ იყენებდნენ ყველა არსებულ საულელტეხილო გზას ქლუხორსა და ფშადის უღელტეხილებს შორის.

ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება ჩრდილოეთ კავკასიაში, თავისთავად, გულისხმობდა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაცხოველებას. ეს მოვლენები კარგადაა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებშიც. ასე, მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ აფხაზეთ-ეგრისის მეფის გიორგი II-სადმი 922—925 წლებში გაგზავნილი წერილებიდან კარგად ჩანს, თუ რა ენერგიით და მიზანდასახულად ერეოდა დასავლეთ-საქართველოს მმართველი ჩრდილოეთ კავკასიის საქმეებში. „შენმა ღვთისმოსავობამ და უმწიკლო ქცევამ, ღვთის კაცო—

წერს ნ. მისტიკოსი—აღგვიძრა სიყვარული შენდამი. და, აი, პირველად მოგმართავ შენ წერილით...შენი ღვთისმოსაობის საბუთია შენი ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც გამოიჩინე და იჩენ, რომ ალანთა ტომი იხსნა და ქვეშარიტება შეაცნობინო. ჩვენ შევიტყვეთ ზოგიერთებისაგან, რომლებმაც შეისწავლეს შენი ვაჟკაცობანი, რომ შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალანიის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“¹⁷⁴.

როგორც ალანთა შორის, ასევე ადიღეს მოსახლეობაში საქართველოს ეკლესია გაცილებით უფრო ადრე დგამდა პრაქტიკულ ნაბიჯს, რისი დამადასტურებელია მდ. ზელენჩუკისა და მდ. ყუბანის სათავეებში შემორჩენილი ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეთა ნაშთები. ამ ისტორიულ ძეგლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქ. ყარაჩაევსკის მახლობლად შემონახული შოანას ეკლესია¹⁷⁵, რომელიც X—XI — საუკუნეებითაა დათარიღებული. ესაა ცენტრალურ-გუმბათიანი, საკმაოდ დიდი ნაგებობა, რომელიც ტიპოლოგიურად ბიჭვინთის ტაძარს უახლოვდება. არანაკლებ საინტერესოა სეტის (სენტინსკის)¹⁷⁶ ეკლესია ქვემო თებერდასთან, ალბათ ადრეული შუა საუკუნეებისა, არხიზის ეკლესია დიდ ზელენჩუკზე და სხვ¹⁷⁷.

არხიზის ეკლესიას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „ელიად უნა—ს“, რაც აგრეთვე გარკვეულ ინტერესს იწვევს¹⁷⁸.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკლესიათა რიცხვი მთიან ადიღეში გაცილებით მეტი იქნებოდა თავის დროზე, ვიდრე სადღეისოდ გვაქვს შემონახული, მაგრამ რაც ამჟამად არსებობს, სავსებით ნათლად მეტყველებს კავკასიის ხალხთა შორის საფუძვლიან კულტურულ ურთიერთობებზე.

¹⁷⁴ ნ ი კ ო ლ ო ზ მ ი ს ტ ი კ ო ს ი, წერილი 51, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 214.

¹⁷⁵ შოანა (შონი) მეგრულად ნიშნავს სვანს. იხ. Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. ВЭЖ, Тб., с. 393.

¹⁷⁶ სეტი მესტიის სვანური სახელწოდებაა. როგორც ჩანს, ამ ტოპონიმის ორეული სვანების მიერ უნდა იყოს დამკვიდრებული ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. ყუბანის სათავეებში.

¹⁷⁷ С. М. Страхов, დასახ. ნაშრ., გვ. 112, 144, 145.

¹⁷⁸ ჩვენი ვარაუდით, „ელიად უნა“ უნდა ნიშნავდეს „ელიას სახლს“ და არა „ელინთა სახლს“, როგორც ეს აქვს მითითებული ს. სტრახოვს. შესაძლოა, ეკლესიის აშენებამდე იქ არსებობდა წარმართული ღვთაება ელიას ხატი-სამლოცველო, რომლის სახელი შემდეგ ქრისტიანულ ეკლესიას გადაეცა.

მონღოლთა ბატონობის შემდეგ, ბუნებრივია, საქრისტიანოს მძიმე დღეები დაუდგა და ბევრი საეკლესიო კერა, რომელიც პარალელურად კულტურის ცენტრსაც წარმოადგენდა, მოიშალა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები საქართველო-ადიღეს ურთიერთობაში მოჰყვა თურქეთის გაბატონებას შავ ზღვაზე. ვაჭრობამ, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში ემსახურება საზოგადოების მატერიალურ დაწინაურებას, ამ რეგიონში, გვიანი შუა საუკუნეებისათვის, მიიღო მახინჯი ხასიათი. ტყვეთა მოტაცება-ყიდვა განვითარდა კატასტროფიული მასშტაბებით. წყაროებმა შემოგვინახეს ზოგიერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ გარკვეული კავშირი აღმოსავლეთ საქართველოსა და ადიღეს შორის მონათვაჭრობაშიც დამყარებულა. მემატიანის სიტყვით, ქართლის მეფე სიმონ I (1558—1600) ირანის შაჰის კარზე გასაგზავნ მონებს ჩრდილოეთ კავკასიაში და მათ შორის ჯიქეთ-ჩერქეზეთშიც ყიდულობდა¹⁷⁹.

სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაჭრები აქტიურად მიმოდიდობნენ ჯიქეთის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებში, ხოლო ჯიქები, და, საერთოდ, ადიღეელები არცთუ იშვიათად მონაწილეობდნენ ილორის ბაზრობაში¹⁸⁰.

როგორც ცნობილია, ტყვე-მონებს გარდა, ადიღედან საგარეო ბაზარზე საკმაო რაოდენობით გადიოდა: ტყავი, თაფლი, ხამი ქსოვილები, მატყლი, ნაბნები და სხვა. ვაჭრობით მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი ხელში უვარდებოდა ადიღეში შუამავალ ვაჭართა იმ ფენას, რომელიც მთიანი ადიღეს ნატურალური მცურნეობის პირობებში მთიელებთან გაცვლით ვაჭრობას აწარმოებდნენ, ხოლო გარე სამყაროსთან კი ფულადი ვაჭრობით იყვნენ დაკავშირებულნი¹⁸¹.

გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აბაძეხები, რომლებიც თუ ადრე ნატურით (გაცვლით) ვაჭრობას აწარმოებდნენ, XIX საუკუნის პირველ ნახევარ-

¹⁷⁹ М. Джанашивили, Известия грузинских летописей и источников о Северном Кавказе и России, Тифлис, 1897.

¹⁸⁰ ცნობები შეკრებილად ადიღეს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1957 წელს.

¹⁸¹ ОИА, с. 144. Н. Карлгоф, О политическом устройстве Черкесских племен, населяющих Северо-Восточный берег Черного моря. Русский Вестник, т. 28, II, М., 1860, М. Пейсонель, Исследование торговли на Черкесско-Абхазском берегу Черного моря в 1750—1762, Краснодар, 1927.

ში უკვე ფართოდ იყენებდნენ თურქული და რუსული ლითონის მონეტას¹⁸².

ვარდა საქვეყნოდ ცნობილი მონების, ცხენების და „ჩერქეზული“ იარაღტანსაცმლისა, ადიღედან დიდი რაოდენობით გადიოდა ოქრომკედლობის ნიმუშები, ნაქსოვი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და თევზეული.

პეისონელის გადმოცემით, ადიღეს ზღვისპირა პორტებიდან გამხმარი და გამოყვანილი თევზეული დიდი რაოდენობით გადიოდა ბაღუმში, საიდანაც ნაწილდებოდა მთელს „თურქეთის საქარაველოში“ და თითო ნაჭერი 2—3 ფარად იყიდებოდა¹⁸³.

XVII—XVIII საუკუნეებში ჩერქეზულ ტანსაცმელზე და თოფ-იარაღზე, აგრეთვე საომარ ცხენებზე დიდი მოთხოვნილება იყო დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით არისტოკრატიულ წრეებში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ვახუშტი ბატონიშვილსაც¹⁸⁴.

თუ მთიან ადიღეში გვიან შუა საუკუნეებში ფულადი მიმოქცევა ძალზე სუსტად იყო განვითარებული, შავიზღვისპირა ადიღელები, ანუ ჭიქები საერთაშორისო ბაზართან უფრო მჭიდროდ ჩანან დაკავშირებულნი. ფულადი ურთიერთობის შედარებით მაღალი დონის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ შალაქია კათალიკოსმა გურია-სამეგრელოს ლაშქრის ჭიქეთში მარცხის შემდეგ ჭიქთა ხელისუფლებისაგან „გამოიხსნა ცოცხალნი და მკუდარნი ფასით იყიდნა“¹⁸⁵.

ადიღეური წარმოშობის ხალხებსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ მიუთითებენ სხვა წყაროებიც, მაგალითად, ყაბარდოს ერთ-ერთი მთავრის ატაყუკინის 1732 წლის დაკითხვიდან ჩანს, რომ ყაბარდოელებს ქართველებთან პქონდათ დამყარებული სავაჭრო ურთიერთობა. ი. ზურნაშოვის ცნობით „მათ (ქართველებს) დიდი ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული მეზობელ მთიელებთან და სპარსელებთან სპილენძის ქურჭლით, ხამი ტილოთი, მახვილებით, ბამბეულით, ცხენის მოსართავებათ, ხმლებით, ხანჯალსატევრებით, რკინის წვრილმანი ნივთებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქუდებით, რადგან ამ სა-

¹⁸² А. Н. Дьячков-Тарасов, Абдзехи, Тифлис, 1902, с. 19.

¹⁸³ М. Пейсонель, указ. соч., с. 28.

¹⁸⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 787-.

¹⁸⁵ ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, გვ.

ქონლით თითქმის ყველა კავკასიელი და მათი მეზობელი ხალხე-
ბი სარგებლობდნენ¹⁸⁶.

ეს დე-ლუკას ცნობით, სოხუმში „ყოველწლიურად მოემარ-
თებიან ლაზების ქვეყნებიდან ტრაპიზონიდან, კონსტანტინოპო-
ლიდან, და კაფადან და ზოგჯერ იქვე გამოიზამთრებენ“¹⁸⁷.

რომ ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიასთან
გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს საჯაჭრო ურ-
თიერთობა კვლავ ჰქონდა, ეს კარგად ჩანს ვახტანგ ბატონიშვილის
მიერ 1782 წელს ბაბანა ჭილაშვილისადმი მიცემული საბუთებიდან,
სადაც ვკითხულობთ: „რუსეთიდან მომავლის ვაჭრისა და აქედან
წამსვლელის ვაჭრისა და აგრეთვე ჩერქეზიდან მოსულის ცხენების
ბაჟის აღება ყოველთვის შენის ოჯახის სახელოდ ყოფილიყოს“¹⁸⁸.
თუმცა ერთი გვიანდელი ცნობის მიხედვით, კავკასიის მთიელები
საქართველოში ვაჭრობის დროს გარკვეული შეღავათებით
სარგებლობდნენ და ზოგჯერ ბაჟსაც არ იხდიდნენ¹⁸⁹.

ეკონომიკური და მეურნეობრივი ურთიერთობის არსებობით
უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრი სიტყვა ადრეულში (მაგ. ბა-
ლი, თუთა, ხურმა, ზეთი, ჭადი, ხურჯინი, გოზინაყი, არაყი და სხვ.)
საქართველოდან უნდა იყოს შესული¹⁹⁰. ამ ხალხს ხანგრძლივი
კონტაქტების საფუძველზე ბევრი რამ გაუჩნდათ საერთო, როგორც
მატერიალურ, ისე სულიერ სფეროშიც. ვახუშტის მიხედვით, ჯი-
ქეთი არის „ყოვლითურთ (მსგავსი მ. ც.) აფხაზეთისა; მოსავლით
და ცხოვლით, წესით და ქცევითაც... გარნა იუწყე აფხაზთა და
ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საქურველნი, ვითარცა ჩერქეზ-
თანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“¹⁹¹.

¹⁸⁶ Б у р н а ш е в, Картина Грузии или описание политического состо-
яния дарств Карталинского и Кахетинского, сделанное пребывающим при
его высочестве царе карталинском Ираклии Теймуразовиче полковником и
кавалером Бурнашевым в Тифлисе, 1786, Курск, 1793.

¹⁸⁷ Ж а н д е Л ю к к а, Описание перекопских и ногайских татар,
черкесов, мингрелов и грузин. ЗООИД, т. X, Одесса, 1879, с. 199.

¹⁸⁸ ბაბანა ჭილაშვილი იყო დუშეთში, მილახერაბთ კარში მცხოვრები მოხელე.
ამ აზნაურის საგვარეულოს ხელთ ეპყრა მილახერის თანამდებობა და ერეკლე
II-ის კეთილი დამოკიდებულებით სარგებლობდა. იხ. საქართველოს ცსა, ფ. 16,
საქმე 51, ფ. 7.

¹⁸⁹ Акты, собранные Кавказской археологической комиссией, т. I, Тиф-
лис, 1966, с. 481.

¹⁹⁰ თ. ბოცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

¹⁹¹ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 786—
787.

მაგრამ საქართველოსა და ადიღეელ ტომებს შორის არამარტო სამოსელის, იარაღისა და „ზნეთა“ სიახლოვე შეიმჩნეოდა, არამედ ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მათ სამეურნეო გამოცდილებათა და ჩვევათა სიახლოვეზე და ურთიერთკავშირზე, რასაც საფუძველი უძველესი დროიდან უნდა ჩაყროდა; ასე მაგ., ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1957 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შაფსულეთში აღწერა და შეისწავლა ორი ტიპის სახვნელო¹⁹², რომელთაგან ერთს ეწოდება ფხააშ, ანუ ედიღეფხააში¹⁹³ (რაც ნიშნავს ადიღეურ ხის იარაღს, ხის სახვნელს), ხოლო მეორე კი — ფხაშეჰუ ან ფხააშეშჰუ¹⁹⁴. ადიღეური ფხააში წარმოადგენდა მარტივი ტიპის ხის სახვნელს, რომელშიც იბმოდა ერთი ხარი¹⁹⁵. იგი ძალზე იოლად მოსახმარი და ადგილობრივი პირობებისათვის შესაფერის იარაღს წარმოადგენდა, რომლის ნაწილების ყველა სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისაა.

რაც შეეხება სახვნელის მეორე ტიპს, იგი წარმოადგენდა მოზრდილ გუთანს, ხის გორგოლაჭებით, რომელშიც 2-3 უღელ ხარს აბამდნენ. ადიღე-საქართველოს მეურნეობრივი ურთიერთობისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ ეს უკანასკნელი. გ. ჩიტაიას დაკვირვებით, აღნიშნული ტიპის სახვნელი კავკასიაში უცხოეთიდან კი არ არის შემოსული, არამედ იგი მიღებულია კავკასიური სამხმარივი სახვნელის ცალკეული ელემენტების თანდათანობითი განვითარების შედეგად¹⁹⁶.

დასახელებული ტიპის სახვნელის ადგილობრივ სამუშაო პირობებთან კონსტრუქციული შესაბამისობა, მისი ფართო გავრცელება ადიღეელებში, საქართველოში და კავკასიის სხვა მკვიდრ ხალხთა სამეურნეო ყოფაში, კავკასიურ ენათა ოჯახიდან მომდინა-

¹⁹² ადიღეს 1957 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებით სარგებლობისას, გარდა გ. ჩიტაიასა და ი. ჭყონიას გამოქვეყნებული ანგარიშებისა, ვიყენებთ ისტ. მეც. დოქტორის გ. ჯალაბაძის საველე დღიურს. ინახება საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

¹⁹³ გ. ჯალაბაძე, დასახ. დღიური, გვ. 13.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 36.

¹⁹⁵ იქვე.

¹⁹⁶ Г. С. Ч и т а я, Некоторые итоги экспедиционной работы 1957 г., отдел этнографии Института истории АН Грузинской ССР. კრებულში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XI, თბ., 1960, გვ. 191, შტრ. გ. ჯალაბაძე, დასახ. დღიური, გვ. 46—47.

რე მასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია, მისი ასახვა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში, მარტივი სახვნელიდან, რთულზე თანდათანობით გადასვლის უწყვეტი პროცესი, სწორედ იმის საბუთია, რომ დასახელებული ტიპის სახვნელი კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა ხანგრძლივი თანამშრომლობითაა შექმნილი¹⁹⁷.

რაც შეეხება ფამფალაკიანსახვნელს, რომელიც აგრეთვე შეისწავლეს შაფსულეთში, მას თითქმის ყველა კავკასიურ ენაზე ქართული წარმოშობის სახელი გუთანი ეწოდება. ამ დიდ გუთანს შაფსულურად „ფხააშეჰუ“ ეწოდება, ხოლო მისი საყოველთაოდ გავრცელებული სახელი — „გუთანი“ შემონახულია ამ სახვნელის ბეტად დამახასიათებელ ნაწილში — „ფამფალაკში“. სახვნელის ფამფალაკს შაფსულურად კუთენ, კუტლამიშ ეწოდება¹⁹⁸.

ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადიღეულთა კულტურა თავისი საწყისებით, მართალია, მონოგამიური და თავისთავადია, მაგრამ იგი ამჟღავნებს ახლო ურთიერთობას როგორც კავკასიურ კულტურასთან, საერთოდ, ისე, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე არსებულ კოლხეთის კულტურასთან¹⁹⁹.

მსგავსება ქართულსა და ადიღეურ სამეურნეო ყოფაში, გარდა ზემოთ მოტანილი მაგალითისა, შეიმჩნევა მეურნეობის სხვა დარგებშიც, კერძოდ, ასეთი შეხვედრები დადასტურებულ იქნა ფეიქრობაშიც. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ამ ხალხთა ისეთ უძველეს სამიწათმოქმედო კულტურას, როგორც იყო სელი და კანაფი²⁰⁰.

პროფ. ვ ჩაჩაშვილის დაკვირვებით, ადიღეულთა ხალხურ ფეიქრობაში შეიმჩნევა როგორც თვითმყოფადი, ასევე საერთო ნიშნები, რაც ადიღესა და საქართველოს მეურნეთა მკვიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებს ჭერ კიდევ შორეულ წარსულში²⁰¹.

კერძოდ, ადიღეს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვე-

¹⁹⁷ Г. С. Ч и т а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

¹⁹⁸ Г. С. Ч и т а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 191; გ. ჭ ა ლ ა ბ ა ძ ე, სველე დღიური, გვ. 36—37.

¹⁹⁹ Г. С. Ч и т а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

²⁰⁰ გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში. მასალები საქართველოს ეთნოგრ. XII—XIII, თბ., 1963, გვ. 362.

²⁰¹ გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

ბული მასალებიდან ირკვევა, რომ ადიღეელები ჭილოფის დასამზადებლად იყენებდნენ ზუსტად ისეთივე ვერტიკალურ დაზგას, როგორც დღეისათვის მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია დამოწმებული²⁰².

ამ დაზგას მეგრულად „რობაგი“ ეწოდება, ხოლო ადიღეურად „ჰაცირ შაფს“ ან „ყუფხა“, მაგრამ საყურადღებოა, რომ მსგავსება არა მარტო საწარმოო იარაღებს შორის, დადასტურდა, არამედ თვით ჭილოფის მომზადების მთელი პროცედურა თითქმის იდენტურია ადიღესა და დასავლეთ საქართველოში. გ. ჩაჩაშვილის მონაცემების მიხედვით, ბევრი რამ შეიმჩნევა საერთო მატყლის და მუშავებისა და შალის წარმოების ქართულ და ადიღეურ წესებში²⁰³. მაგალითად, მატყლის დამუშავებასთან დაკავშირებით შაფსულეებში მოწმდება შრომითი ურთიერთდახმარების საყურადღებო წესი „ხააუ“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში „საქმის სალამოს“ (ხევი) და „მჩეჩელინის“ (ხევსურეთი) სახელწოდებითაა ცნობილი²⁰⁴. ასევე საგულისხმოა კანაფის დამუშავების ქართულ-ადიღეური წესების ზედმიწევნითი დამთხვევა. მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართული სიტყვა კანაფი უეჭველად ნათესაობას ამჟღავნებს ადიღეურ *klen* (ჭლეფ)—თან, მეგრულ „კიფ“—თან და ლაკურ „ჭანაფთან“, რაც ამ კულტურის გენეზისის შესახებაც გვაწვდის გარკვეულ მასალას²⁰⁵. არანაკლებ საინტერესო ცნობები იქნა დაგროვილი ადიღე-საქართველოს სამეურნეო ურთიერთობათა შესახებ სელთან დაკავშირებით. მართალია, სელის ქსოვილის წარმოების ჩვევები ჩვენშიც და ადიღეელებშიც ამჟამად უკვე დაკარგულია, მაგრამ ამ მცენარის მოშენების ხელოვნება ხნიერ ადიღეელებს კარგად ახსოვთ და მას ბევრი რამ აქვს საერთო სელის დამუშავების საქართველოში გავრცელებულ წესთან. გ. ჩაჩაშვილმა მიაქცია ყურადღება ერთ მეტად საინტერესო შომენტს, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს ადიღეელთა და ქართველთა ძველ სამეურნეო ურთიერთობებზე. კერძოდ, X საუკუნის არაბ ისტორიკოს მასუდს აღნიშნული აქვს, რომ ადიღეელთა ქვეყანაში ამზადებენ სელის ქსოვილს, რომელსაც ეწოდება ტალა. ჩერქეზ-ადიღეელებს, დღეს ეს ტერმინი უკვე დავიწყებული აქვთ, ისევე როგორც თვით სელის ქსოვაც. მაგრამ არაბ-

²⁰² იქვე, გვ. 368.

²⁰³ იქვე, გვ. 367.

²⁰⁴ იქვე, გვ. 363.

²⁰⁵ იქვე, გვ. 377.

ავტორთან დაცული ტერმინი „ტალა“ დიდ სიახლოვეს აჩენს ქართულ ტერმინ ტილოსთან, რომელიც საბას განმარტებით „სელთა და კანაფთა ლარია“, ქართულ ტილოსთან ასევე ახლოა აფხაზური „ატალა“;

ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ადგილობრივად დამზადებულ შალის ქსოვილს „ტოლს“ უწოდებენ, ხოლო მისგან დამზადებულ ტანსაცმელს „ტალავარს“.

საქართველო-ადიღეელთა სამეურნეო ურთიერთობებზე მიუთითებს სხვა ფაქტებიც, კერძოდ: ტუაფსეს რაიონის სოფ. აგიუში, ადიღეელი მოხუცი ნათხოუ სიხაბკერეის გადმოცემით, შაფსულღურად თოხს ეწოდება სვანა, ხოლო ნიჩაბს და ბარს კი ლასვანა²⁰⁶. როგორც ამ იარაღების სახელწოდებები მიუთითებენ, ისინი ადიღეელებში სვანეთის გზით უნდა იყოს შესული. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ აღნიშნული იარაღის გარკვეულ ტიპთან გვაქვს საქმე. გარკვეულ ტიპს იმიტომ ვამბობთ, რომ შეუძლებელია თოხი და ბარი, როგორც სამეურნეო იარაღი, უძველესი დროიდან არ ცოდნოდათ ადიღეელთა წინაპრებს. სიხაბკერეის გადმოცემით, სვანა და ლასვანა ცულთან (მაითა) ერთად იხმარებოდა ასოს გატეხის დროს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფ. ყილგის მცხოვრებ სოუჩას ნიფსოუს გადმოცემით, თოხს ეწოდება „წვან“ ან „ჭვან“. რაც ტერმინ „სვანასთან“ აგრეთვე საკმაოდ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს²⁰⁷.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ადიღეელებთან და ყაბარდოელებთან სვანებს უძველესი დროიდან ჰქონდათ ძალზე მჭიდრო ურთიერთობა და მათი ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები საუკუნეთა განმავლობაში ხორციელდებოდა ახლო მეზობლობის პირობებში. როგორც ცნობილია, ქართველურ ტომთაგან სვანები ერთი იმათგანი იყვნენ, რომლებთაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ მდ. ყუბანისა და ბაქსანის სათავეებში²⁰⁸. ამჟამად მკვლევართა შორის არ არის ერთსულოვნება იმის თაობაზე, თუ როდის გაჩნდა სვანური მოსახლეობა კავკასიის ქედის გადაღმა, მაგრამ განვითარებულ და გვიან შუა სა-

²⁰⁶ გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. დღიური, გვ. 35.

²⁰⁷ გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. დღიური, გვ. 35.

²⁰⁸ Л. И. Л а в р о в, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века. Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952, с. 337—344.

უკუნეებში მათი ბაქსანისა და ყუბანის სათავეებში ყოფნა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს²⁰⁹.

სევანური მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიაში და, კერძოდ, ყუბანის სათავეებში ცხოვრების ყველაზე უტყუარი ფაქტი ის ისტორიული ძეგლებია, რომლებიც სევანური მოსახლეობის მიერაა შექმნილი კავკასიონის ქედის გადაღმა და რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს კულტურულ ურთიერთობაში.

მდინარეების ჭილღასა და ჩეგემის ხერთვისში XIX საუკუნის ბოლოს აღიწერა კარგად დაცული ტიპური სევანური კოშკი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სევანებს მიაკუთვნებდა²¹⁰.

1841 წელს ბიზინგის ხეობაში ა. ფირკოვიჩმა აღწერა ქრისტიანული ეკლესია, რომლის კედლებზეც ფრესკებთან ერთად შემორჩენილი ყოფილა ქართული წარწერის ნაშთი²¹¹. ლ. ლავროვის ვარაუდით ქართული წარწერის არსებობა დასავლეთ ჩერქეზეთის ნთიანეთში შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ოდესღაც ამ ადგილებში მართლაც იყო სევანურ-ქართული მოსახლეობა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ წარწერის შემსრულებელი ადღეს მთიანეთში მომუშავე ქართველი მშენებელი ხელოსანი, ან კიდევ სასულიერო პირი ყოფილიყო²¹². ყუბანისა და ბაქსანის სათავეებში სევანური მოსახლეობის ცხოვრებაზე და მათ მკიდრო ურთიერთობებზე ადგილობრივ ადიღეურ და არაადიღეურ მოსახლეობასთან, გარდა წერილობითი წყაროებისა, მიუთითებს ტოპონიმიკური მასალაც. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ერთი ასეთი ტოპონიმი (სეტი, ქლუხორის ხეობაში და შესტია, ანუ სეტი ენგურის სათავეებში). ლ. ლავროვის მიხედვით, მდ. ყუბანისა და ბაქსანის სათავეებში შემონახული რამდენიმე სევანური ტოპონიმი თითქოს იმეორებს თანამედროვე სევანური სოფლის სახელებს. მაგალითად: უჩკულა-

²⁰⁹ В. Я. Тепцов, Сванетия (географический очерк). Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 10, Тифлис, 1890, с. 56, 63. მისივე, По истокам Кубани и Терека. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис, 1902, с. 11, В. Миллер, и М. Ковалевский, В горских обществах Кабарды, Вестник Европы, 1884, кн. 4, с. 562—568.

²¹⁰ В. Миллер, Археологические экскурсии в горные общества Кабарды МАК, I, М., 1888, с. 77—78, С. С. Анисимов, Кабардино-Балкария, М., 1937.

²¹¹ А. Фиркович, Археологические разведки на Кавказе, Труды Восточного отд. Археологического общества, т. III, СПб, 1848, с. 131—132.

²¹² Л. И. Лавров, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

ნი, რომელიც უდრის უშგულს, ხუმარა-სხუმარა, რომელიც შე-
ეიტყვება ცხუმარს, ლაშქუთა-ლაშხეთი და სხვ²¹³. ცხადია, რომ
ასეთ ვითარებაში პირიქითა სვანებს მჭიდრო ეკონომიკური და
კულტურული ურთიერთობა ექნებოდათ ადგლობრივ მოსახლეო-
ბასთან, მაგრამ საქართველოს დასუსტებისა და მომთაბარე ტო-
მების შემოტევით მდ. ყუბანისა და ბაქსანის სათავეებში საკმაოდ
ფართოდ განსახლებული სვანები თანდათანობით თმობენ პოზიცი-
ებს და ან მოსულ ყარაჩაელებს და ბალყარელებში ერევიან²¹⁴, ან
კიდევ ბრუნდებიან პირაქეთ სვანეთში.

პირიქით, სვანეთის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების,
აგრეთვე ტოპონიმიკის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა, უეჭველია,
მრავალ სიახლეს შეიტანს იმ ეკონომიკურ და კულტურულ ურთი-
ერთობათა ისტორიის შესწავლაში, რომელიც გაცილებით უზურო
წრავალმხრივი იყო, ვიდრე ეს დღეს წარმოგვიდგენია.

ქართველი ტომების უშუალო სიახლოვემ ჩრდილოეთ კავკასი-
აში მცხოვრებ ხალხებთან, მსგავსმა ბუნებრივმა გარემომ და სამე-
ურნეო ყოფამ ამ ურთიერთმონათესავე ხალხებს უძველესი დრო-
იდან ბევრი რამ შესძინა საერთო.

რამდენიმე პარალელი შეინიშნება სამეგრელო-ადიღეს სა-
მეურნეო ყოფაშიც.

მაგალითად, 1962 წელს სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ექს-
პედიციამ დაამოწმა, რომ ხშირად გლეხი მიწის ნაკვეთს ჯერ მო-
თესავდა და მერე ხნავდა²¹⁵. აღნიშნული მოვლენა ფიქსირებუ-
ლია ადიღეელებშიც.

გარდა ამისა, მეგრული შრომითი დახმარება ნაღი—ნოღი
ძლიერ უახლოვდება თავისი შინაარსით ადიღეელთა „თავჰ“-ას.

სამეგრელო (აფხაზეთთან ერთად), ძველთაგანვე, როგორც
ზემოთ ითქვა, ეკონომიკისა და კულტურით საკმაოდ ახლოს იყო
ადიღეელ ტომებთან. მართალია, XVII საუკუნის ბოლოდან, გარ-
თულებული პოლიტიკური ვითარების გამო ეს კავშირები თითქმის
მთლიანად მოიშალა, მაგრამ საკმარისი იყო საქართველოს რუსეთ-
თან შეერთების შემდეგ ქვეყნის შიგნით მშვიდობიანობა ღამყარე-

²¹³ იქვე, გვ. 338—339.

²¹⁴ Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института,
т. VI, Орджоникидзе, 1934.

1743 წელს პეტერბურგში, საგარეო საქმეთა კოლეჯის სხდომაზე, ერთი ყუ-
შიყი და ყაბარდოელი თავადის ჩვენებით, სვანებმა მშობლიურ ენასთან ერთად მათ-
რულიც იცოდნენ.

²¹⁵ გ. ჯ ა ლ ბ ა ძ ე, დასახელებული დღიური, გვ. 35.

ბულიყო, რომ ძველმა ტრადიციებმა თანდათანობით აღდგენა დაიწყო და სამეგრელო კვლავ დაუკავშირდა ადიღელებით დასახლებულ ყუბანისპირეთს. კერძოდ, სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1962 წელს სამეგრელოს სოფლებში: ჭვალში, საჩინოში, ლააში, ჭვარში, ზენჯვარში. ფახულანში და მუხურში შეკრიბა მეტად საინტერესო მასალები, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ მეგრელები XIX საუკუნის ბოლოდან უანაში სამუშაოდ დადიოდნენ აფხაზეთში, ხოლო ზენჯვარელ ჯანი ზაქარიას ჯოგები საძოვარზე აფხაზეთსა და ყუბანისპირეთში დაუდიოდა²¹⁶.

ადიღე-საქართველოს ურთიერთობათა კვლევა-ძიებისას არანაკლებ საყურადღებოა სხვადასხვა ხალხურ წეს-ჩვეულებათა მსგავსების შემთხვევებიც. მაგ., ნ. მერეტუკოვის დაკვირვებით, აბაძახების საქორწინო წეს-ჩვეულებანი მრავალ პარალელს პოულობს აფხაზურ, მეგრულ, თუშ-ფშავ-ხევსურულ და საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ საქორწინო რიტუალთან²¹⁷.

ყოველივე ამას გარდა, მნიშვნელოვანი ნათესაობა შეინიშნება ზოგიერთ ადიღეურ და ქართულ ხალხურ თქმულებათა შორისაც. კერძოდ, საყურადღებოა ადიღეელთა გადმოცემა მოხუცებზე, ერთ-ერთი გადმოცემით, „ძველად მოხუცებს გოდორში ჩასმულს მთიდან აგდებდნენ. ერთ კაცს ასევე დაუპირებია: ჩაუსვამს მამა გოდორში და წასულა ბებრების მთისაკენ (ელა-უბ), გზად მიმავალს ხის ტოტისათვის ფეხი წამოუკრავს და წაქცეულს. გოდორში მამას გაუცინია და უთქვამს: მამაჩემი რომ მიმყავდა გადასაგდებად, მეც მანდ წაეკარი ფეხიო. შვილს შესცოდებია მამა და უკან წამოუყვანია იმ პირობით, რომ სახლში დამალული უნდა ჰყოლოდა. გადმოცემა გვაუწყებს, რომ თავისი გამოცდილებისა და ჰქუა-გონების წყალობით მამას არაერთი სასარგებლო საქმე გაუკეთებია შვილისათვის, ხოლო როცა მამამ შვილს ერთ სახალხო შეჯიბრებაში თავისი რჩევა-დარიგებით გაამარჯვებინა და როცა ხალხმა შეიტყო მოხუცის გონიერება, გადაწყვიტეს, ეს ძველი წესი მოხუცების გადაგდებისა გაეუქმებიათ“²¹⁸.

მსგავსი შინაარსის გადმოცემები (ოღნავ განსხვავებით) და-

²¹⁶ გ. ჯალბაძე, 1962 წლის სამეგრელოში მუშაობის დღიური.

²¹⁷ Н. Меретуков. Свадебные обряды Абадзехов. მსე-ХII—ХIII, თბ., 1963, გვ. 261—270.

²¹⁸ გ. ჯალბაძე, დასახ. დღიური, გვ. 11—12.

მოწმებულია სამეგრელოში²¹⁹, გურიაში, კახეთში, ერწოს ველ-
ზე²²⁰ და სხვ.

ასევე ბევრი აქვთ საერთო ადიღეელთა თქმულებებს გველე-
შაზზე, რომლის მსგავსი გადმოცემები დადასტურებულია ქართლ-
კახეთსა და მთელს დასავლეთ საქართველოში.

ქართულ და ადიღურ უძველეს თქმულებათა შინაარსობრი-
ვი კავშირი მაუწყებელი უნდა იყოს იმისა, რომ მათი შორეული
წინაპრები ნაზიარები იყვნენ ერთ მთლიან და ზოგად კულტურას
და რომ ისინი ისტორიულად ერთიმეორის მომიჯნავედ ვითარდებ-
ოდნენ²²¹.

გარკვეული სიახლოვე შეინიშნება სამეურნეო ყოფასთან და-
კავშირებულ ადიღურ და ქართულ რწმენა-წარმოდგენებსა და
წეს-ჩვეულებებშიც. ქართული და ადიღური მასალების მიხედ-
ვით, საყურადღებოა გვალვასთან და „წვიმის მოყვანასთან“ დაკავ-
შირებული რიტუალის დიდი ურთიერთმსგავსება. ადიღეს 1957
წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით, დიდი
გვალვების დროს ლაზარევსკის რაიონის სოფ. ყალეის მცხოვ-
რებნი შეიკრიბებოდნენ (მხოლოდ მამაკაცები) და მივიდოდნენ მე-
ხით მოკლული თანასოფელის საფლავთან. ადიღეელები მეხით
მოკლულს იქვე დაკრძალავდნენ ხოლმე, სადაც მას ეს უბედურე-
ბა შეემთხვეოდა (შდრ. ხევსურულ წესს) და შემდგომში მისი საფ-
ლავი წმინდა ადგილად ითვლებოდა. შეკრებილ მამაკაცთა ჯგუფი
გაემართებოდა მეხდაკრულის საფლავთან, საიდანაც წამოიღებ-
დნენ ზემოდან დადებულ ქვას, რომელსაც მოაბამდნენ თოკს და
ჩაუშვებდნენ წყალში; ვიდრე წვიმა არ მოვიდოდა, ეს ქვა წყალში
უნდა ყოფილიყო ჩაკიდული²²². საინტერესოა თვით ქვის წამოლე-
ვის ცერემონიალი: ხელჩაკიდებულ მამაკაცებს უნდა შეესრულები-
ნათ სარიტუალო ცეკვა, რომლის დროსაც მღეროდნენ უძველეს
სიმღერას: „ო-ელე-ო-ელე, ო-ელდე ელდე²²³. საგულისხმოა
თვით სიმღერის ტექსტის კომპონენტები, სადაც განსაკუთრებულ
ჯურადლებას იქცევს ტერმინი „ელდე“: ტერმინი „ელდე“ აშკარად

²¹⁹ გ. ჯ ა ლ ბ ა ძ ე, სამგრელოს 1962 წლის ექსპედიციის დღიური.

²²⁰ რ. რ ა მ ი შ ე ი ლ ი, ერწოს ველის 1963 წლის გათხრების დღიური, რე-
ული № 3, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

²²¹ მ. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველო-ადიღეს ეკონომიკური და კულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,
№ 2, 1967, გვ. 553—558.

²²² გ. ჯ ა ლ ბ ა ძ ე, დასახ. დღიური, გვ. 4—5.

²²³ იქვე, გვ. 5.

უკავშირდება ქართულ ენაში დაცულ სიტყვა ელდას, რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს „ანაზღი შიშით მიბნეღვა“-ს²²⁴; აღბათ, ადილეელთა სიმღერის ტექსტში მოხსენიებული „ელდე“ დაახლოებით ქართული ელდის სინონიმია (აქვე გვახსენდება ჩვენში გავრცელებული გამოთქმა ელდანაკრავი, რაც შეხსენებას უდრის).

ქვის წყალში ჩაშვების მომენტში შეხდაკრულის უხუცეს ნათესავს ან მოგვარეს წყალში გადაადგებდნენ (ძველი მსხვერპლშეწირვის გადმონაშთი ხომ არ არის?), ხოლო შემდეგ ყველა ერთად ტანსაცმლიანად გადაეშვებოდა წყალში, რაც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს საქართველოში დაცულ საწესო რიტუალთან, როდესაც მსგავსი პროცესის დროს მოწესეები ერთიმეორეს წუწავდნენ.

წვიმის მოსვლის მესამე დღეს ქვა ამოჰქონდათ წყლიდან და თავის ადგილზე დებდნენ²²⁵.

არანაკლებ საყურადღებოა ამავე მოვლენასთან დაკავშირებული მეორე შაფსულური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, გვალვის დროს, სოფ. ყალეჟიდან 50—60 კმ-ით დაშორებულ ფუკოს ტბაზე აგზავნიდნენ კაცს, წყლის ჭურჭლით. იგი ჭურჭელს ავსებდა, ძიოქებდა წყლის პირას და ღმერთს წვიმის მოცემას ევედრებოდა²²⁶, რაც აგრეთვე სიახლოვეს ამჟღავნებს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში შემონახულ რიტუალთან.

ქართველებსა და ადილეელებს შორის საკმაოდ მკვეთრი სიახლოვე შეიმჩნევა სულიერი კულტურის სფეროშიც, რომლის სათავეებს ძალზე შორეულ წარსულში გადავყავართ. ქართულ და ადილეურ წარმართულ პანთეონთა ურთიერთშედარებისას აშკარად ჩანს, რომ ასეთი შეხვედრები არა მარტო ძველადვე არსებული სიახლოვის შედეგი იყო. არამედ ისიც, რომ ბევრი რამ საერთო სათავეიდან მომდინარეობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. როგორც ნ. მარი ვარაუდობდა, ქართული სამშაბათის, ანუ „თახაშხას“ სახელწოდება მეგრულ-სვანურში უძველესი დროიდანვე უნდა იყოს შექმნილი ადრე

²²⁴ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, გვ. 106.

²²⁵ მ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მითითებული დღიური, გვ. 5.

საყურადღებოა, რომ არა მარტო ქართველურ სამყაროში და კავკასიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ კუთხეში მეხით მოკლული წმინდანად ითვლებოდა, ხოლო მის ადგილი ან ხე, სადაც მეხი დაეცემოდა — წმინდა ადგილად.

²²⁶ გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მითითებული დღიური, გვ. 6.

ლერდიდან. ნ. მარი ამ შემთხვევაში გამოდიოდა იქიდან, რომ სიტყვა „თჰა“ ადილეურად საზოგადოდ ღმერთის სახელია. მისი რწმენით, ამ დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ცის პატივსაცემად²²⁷.

ი. ჭავჭავიძეილმა მრავალფეროვანი ენობრივი და ისტორიული მასალების ანალიზით ცხადყო, რომ ადილეური „თჰა“, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ძალზე ძველია, მეორადია და მას უფრო ძველ ქართულ ღვთაებებთან „ტარხონ-თარხონ“ ან „თარხის“-თან აქვს კავშირი. „თარხონი“ ბერძნული პანთეონის მარსის, ანუ არიას ადექვატურია და იგი ომიანობისა და სამხედრო საქმის ღვთაებადაა მიჩნეული²²⁸.

თანამედროვე ეთნოგრაფიულ მასალებში ფიქსირებული ღვთაება „თჰაგალეგა“ შედგება ორი ნაწილისაგან. მისი პირველი ნახევარი „თჰა“ ზოგადად ღმერთის აღმნიშვნელია და იგი ეტიმოლოგიურად „თარხონს“ უკავშირდება, რომელსაც საბოლოოდ ხეაურ ღვთაებათა პანთეონამდე მივყავართ. როგორც ჩანს, „თჰა“ მას შემდეგ, რაც იქცა ღმერთის ზოგად სახელწოდებად (ომიანობის კულტის ძლიერი პრივილეგიის გამო), შევიდა რიგ გვიანდელ ღვთაებათა სახელწოდებებში, როგორც საწყისი კომპონენტი, რომელსაც ნოჰყეება მისი ფუნქციის განმსაზღვრელი სიტყვა. ამ შემთხვევაში „თჰაგალეგას“ მეორე ნახევარი „გალეგა“ ჩვენთვის გაუჭკვეველი სიტყვაა, მაგრამ რადგანაც ამ ღვთაების ფუნქცია ახლოა ღვთაება „სოზერეშთან“, უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი შინაარსით მიწათმოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

არანაკლებ საყურადღებოა ადილეური ღვთაება „მეზგუაშ“²²⁹ (мэзгуаш — ან ვარიანტები Мэзэ—Мзегуаш), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მთვარე-ქალს. მისი ადგილსამყოფელი, ადილელთა რწმენით, იყო ხილითა და საკვები მცენარეულით მდიდარი ტყეები. გარეულ საკვებ მცენარეულობას შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გარეული ნიორის სიუხვეს, მათი რწმენით, ის ტყე,

²²⁷ Н. Я. Марр, О религиозных верованиях Абхазов. X. В. 1915, IV, с. 143.

²²⁸ ი. ჭავჭავიძეილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., გვ. 134—138.

²²⁹ როგორც ცნობილია, ადილელებში ცნობილი იყო ღვთაება მეზიტხე, რომელიც ა. აუტლევის (Новые материалы по религии адыгейцев, V ч. записки Одыгейского НИИ, т. I) სახეებით სამართლიანი ცნობით იგივე მეზგუაშაა. მეზიტხე კი ეთნოგრ. მასალებით ტყისა და მონადირეთა მფარველი ღვთაება იყო და არა მამაკაცური საწყისისა, როგორც ის ზოგჯერ მითითებულია ლიტერატურაში. (იხ. ა. აუტლევი, დასახ. ნაშრ., გვ. 194).

რომელიც გარეულ ხეთა ნაყოფს არ შეიცავს, არ სარგებლობდა „მეზგუაშის“ მფარველობით²³⁰. მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ადიღეელთა რწმენით, ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლი მისი წყალობით აქვს შეძენილი ადამიანს და მისივე წყალობით ისწავლა ამ მცენარეთა მოვლა-პატრონობა²³¹. ამ ნიშნით მეზგუაშის კულტი უაღრესად საყურადღებოა იმით, რომ მასში ასახულია ძალზე შორეული წარსული (აღბათ ნეოლითისა), როდესაც ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში შეგროვებითი საქმიანობა წამყვანი იყო. ამასთანავე „მეზგუაშის“ თქმულებაში ასახულია ამ ტომების სამეურნეო ცხოვრების ის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როდესაც ხლებოდა გარეულ მცენარეთა ინტენსიური მოშინაურება.

„მეზგუაში“ ყველა ნიშნით ქალღმერთია, იგი ძალზე ძლიერ ღვთაებად იყო მიჩნეული და შეწყალეებისათვის მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა ტყის ხეხილი ან ბოსტანი არ იძლეოდა მოსავალს. საყურადღებოა ისიც, რომ მეზგუაშისადმი შეიძლებოდა თხოვნით მიემართა მხოლოდ ქალს, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ კულტის ძალზე ძველ ფესვებზე, კერძოდ, ამ მოვლენას ჩვენ მივყავართ საზოგადოების მატრიარქალური ხანვითარების საფეხურთან, როდესაც ხლებოდა კულტურული მებოსტნეობის ჩასახვა-განვითარება.

ქალთა კრებულს, რომელიც მიემართებოდა „მეზგუაშის“ ადგილ-სამყოფელში, სათავეში უდგებოდა გონიერებითა და საერთო თვისებებით გამოჩენილი ქალი. იგი ქალთა გუნდის თანხლებით მივიდოდა საღვთო ადგილას, გამოიხმობდა მეზგუაშს და დაყვავებით მიმართავდა ქალღმერთს:

„ო, მეზგუაშ — ო, ქალბატონო! მეზგუაშ ჩვენო,
რძეო და ჩვენო მარჩენალო, გამოგვკვებე კარგად“.

ბუეღუხების წარმოდგენით, ასეთი მიმართვის შემდეგ ქალღმერთი მეზგუაში გამოდიოდა თავისი საფარიდან და ჰკითხავდა მოსულთ, თუ რა სურთ. ბუნებრივია, ქალები ღვთაებას შესთხოვდნენ მოსავლის გადიდებას და სიუხვეს. ქალღმერთის ლაპარაკი ესმოდა მხოლოდ რჩეულ ქალს, ქალთა გუნდის წინამძღვარს. ადიღეელთა რწმენით, „მეზგუაშის“ დანახვა ერთდროულად არ შეეძლო ორ ქალს²³².

²³⁰ ა. Аутлев, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

²³¹ იქვე.

²³² А. Аутлев, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

რომ მეზგუაში ძალზე პოპულარული ღვთაება იყო, ეს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდანაც ჩანს, სადაც მას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციისა, კიდევ წვიმისა და ზეციური ნამის მოყვანაც ევალებოდა²³³.

რა თქმა უნდა, წვიმისა და ცის ნამის მინიჭების უნარი მეზგუაშს ალბათ მოგვიანებით მიაწერეს, რითაც იგი დაუნათესავდა უძლიერეს ასტრალურ ღვთაებას—შიბლეს. პ. აუტლევე განიხილავს რა მეზგუაშთან დაკავშირებულ ხალხურ თქმულებებს და წეს-ჩვეულებებს, იგი ამ კულტს უკავშირებს საქართველოში გავრცელებულ „მზექალს“²³⁴ და აფხაზურში ცნობილ ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღვთაება „ჯაჯას“²³⁵.

თუ „მეზგუაში“ აფხაზურ „ჯაჯას“ მხოლოდ ფუნქციონალურად ენათესავება, სამაგიეროდ, ქართულ „მზექალსა“ და ადიღეურ მეზგუაშს შორის, გარდა შინაარსობრივისა, დიდი მსგავსებაა ტერმინშიც. „მეზგუაში“ და მისი ვარიანტი „მზე-გუაში“ და ქართული მზე-ქალი თითქმის ერთი და იგივეა. რა თქმა უნდა, არ უნდა გაგვაკვირვოს იმ ფაქტმა, რომ ადიღეურში „მეზ-გუაშ“, „მზე-გუაში“ მთვარე-ქალია. ამჟამად უკვე საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თუ მთვარე შამრობითი სქესისაა ქართულ და ქართველურ ენებში, ადიღეურში იგი მდედრობით ღვთაებადაა აღიარებული და მას „მეზ“-„მზე“ ეწოდება²³⁶.

ისევე, როგორც ადიღეური „მეზ-გუაში“, ქართული „მზე-ქალაც“ არის მოსავლიანობისა და ამინდის მარეგულირებელი ქალღმერთი.

ქართველთა, აფხაზთა და ადიღეელებთა ამ კულტის ასეთი მჭიდრო სიახლოვე, აგრეთვე, იმის მანიშნებელია, რომ იმ უძველეს ეპოქაში, როდესაც ღვთაებათა პანთეონში ეს ქალღმერთები ადგილს იმკვიდრებენ, მათ მატარებელ ხალხებს შორის არსებობდა უმჭიდროესი ურთიერთობანი, როგორც კულტურის, ასევე ეკონომიკის სფეროშიც.

²³³ М. З. Азаматова, Быт и культура аула Понежукай в прошлом и настоящем. Диссерт., 1962 г., с. 252. ее же, Материалы земледельческой культуры Бжедугов, Мат. по этногр. Кавказа, XI—XIII, 1963, с. 256.

²³⁴ В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обряды графич. искусства грузинских племен, Тб., 1957, с. 18.

²³⁵ Ш. Д. Инал-Ипа, К вопросу матриархально-родового строя в Абхазии, Труды АБНИИ ЯЛИ XXV, Сухуми, 1954, с. 233—235.

²³⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 129.

ცხადია, რომ ხანგრძლივი ეკონომიკურ-კულტურული და მჭიდრო მეზობლური ურთიერთობის პირობებში ბევრი რამ შეიმჩნევა საერთო ადილევლებსა და ქართველურ მოსახლეობას შორის — ენაშიც. ქართულ-ადილევურ ენობრივ ურთიერთობაზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. იგი მოითხოვს საფუძვლიან, სპეციალურ მონაზადებას, მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მდიდარი და ავტორიტეტული ლიტერატურა არსებობს, ჩვენ შევეცდებით, მოკლედ ვისაუბროთ ურთიერთობის ამ სფეროზე.

ივ. ჯავახიშვილი, სწავლობდა რა ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველ ბუნებას და ნათესაობას, დიდძალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ სინდურ, ანუ ადილევურ-აფხაზურ ენათა ჯგუფი და დანარჩენი კავკასიური მკვიდრი ენები იმყოფებიან მჭიდრო ურთიერთნათესაურ კავშირში. მკვლევარის აზრით: „დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა და სინდ-ლილვ-ლეგალბანელების წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომლებთანაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ“²³⁷. ამავე დროს, მეცნიერის რწმენით, ამ ხალხებს „მონათესავე ენის გარდა, გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონდათ“²³⁸.

კავკასიის აბორიგენულ ენათა ნათესაობას იზიარებდა და ქართულ-ადილევურ ენობრივ შეხვედრებზე ბევრს წერდა ნ. მარი. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სვანურ და აფხაზურ-ადილევური ენების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ნ. მარის ვარაუდით, სვანურში ქართველურ ძირეულ ფენასთან ერთად წარმოდგენილია მეორე მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც სვანურს აფხაზურ-ადილევურთან ანათესავენს²³⁹.

„ეს ფენა, როგორც გამორკვეულია, უკავშირდება მოსხების ეონოსს (>მასკუტებს || მასაგეტებს), ან მოსოხებს, საკუთრივ მოშოხებს (<მოშხებს>მოსხებს), ან მესხებს და მეხებსაც კი (<მეხჲ), თუ დავასახელებთ ამ ტერმინის ყველა სპირანტულ სახესხვაობას. აფხაზთა სახელწოდებაში (a—basg||abazg) დღემდეა შემონახული ეს ეთნიკური სახელი, სვანებმა კი, მეორე შემადგე-

²³⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937, გვ. 622.

²³⁸ იქვე.

²³⁹ Н. М а р р, История термина «абхаз». ИАН, 1912, с. 697, 706.

ნელი ფენის ეთნიკური ბუნების გავლენით, მოასწრეს შეეცვალათ თავისი სახელწოდება, სრულიად დაკარგეს რა ხსოვნა მოსოხებთან თავიანთი ნათესაობის შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სვანეთის ერთი რეგიონის სახელწოდებას ლაშხ-ს²⁴⁰.

ს. ჯანაშიამ, სწავლობდა რა ქართველურ და ადიღურ ენათა ნათესაობის საკითხებს, ამ ურთიერთობათა ამსახველი ფაქტები სამ კატეგორიად დააჯგუფა: 1) საერთო ელემენტები, 2) გავლენები ქართველური ენების ჩერქეზულზე და 3) გავლენები ჩერქეზული ენისა ქართველურზე²⁴¹. ქართველური ენებიდან განსაკუთრებით ფართოდ ს. ჯანაშია შეეხო სვანურისა და ადიღური ენების ურთიერთობის საკითხს და მრავალი ფაქტის მოშველიებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ენათა მატარებელ ხალხებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტები, რამაც განაპირობა მნიშვნელოვანი ენობრივი ფენის გაჩენა ადიღურისა სვანურში და პირიქით.

ქართველურ-ადიღურ ენათა ნათესაობის საკითხებს ეხება და ავითარებს თავის ნაშრომებში ვ. თოფურია²⁴², ქ. ლომთათიძე,²⁴³ გ. მელიქიშვილი²⁴⁴ და სხვ. ს. ჯანაშიას დასახელებული აქვს რამდენიმე კონკრეტული მაგალითი ქართულის გავლენისა ადიღურზე, მაგ.: თამადა, ბოზა (ბუზა), ჯვარ-ჯორი, მარჯ და სხვა²⁴⁵ და ადიღურის გავლენისა ქართველურ ენებზე და, კერძოდ, სვანურზე, მაგალითად: წვიმის, თოვლის, ცეცხლის, კრავის, ღორის, ცხენის აღმნიშვნელი სიტყვები სვანურში თითქოს ადიღური ენობრივი სამყაროდან ჩანს შეტანილი²⁴⁶.

არანაკლებ საყურადღებო მსჯელობის საფუძველს იძლევა

²⁴⁰ Н. М а р р. К дате эмиграций мосхов из Армении в Сванетию. ИАН 1916, I, 1689.

²⁴¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 85. ტერმინ ჩერქეზულს ს. ჯანაშია იყენებს, როგორც ზოგად ადიღურ კრებით სახელს.

²⁴² ვ. თოფურია, სვანური ენა, I — ზნა, ტფ., 1931, გვ. IX.

²⁴³ К. В. Ломтатидзе, Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания. «Вопросы языкознания», 1955, № 4, с. 76.

²⁴⁴ Г. А. Мелнишвили, К истории..., с. 94—95.

²⁴⁵ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 81. საყურადღებოა, რომ ადიღეს ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ სოფ. ყალეში ჩაიწერა ცნობა იმის შესახებ, რომ ძველი ადიღური სახლის სახურავის ზემოთ აწვილილ საკვამლე მილს ეწოდებოდა ოჯახ, რაც შეესატყვისება ქართულ კომლს. იხ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. დღიური, გვ. 2.

²⁴⁶ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—112.

ტოპონიმიკური მასალების ანალიზიც. დასავლეთ კავკასიონის ტოპონიმიკის შესწავლა ნათელს ხდის, რომ ამ სფეროს კვლევის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო; მით უმეტეს, რომ ერთი და იგივე მონაცემები ხშირად განსხვავებულ მოსაზრებათა წყაროდაა ხოლმე ქცეული.

ს. ჯანაშიას დაკვირვებით, დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში შეიქმნევა ტოპონიმა ერთი ჯგუფი, რომლებსაც „ფსა“ დაბოლოება აქვთ. ამის მაგალითად იგი ასახელებს მდინარე სუფსას. როგორც ს. ჯანაშია წერს: ფორმანტის გამოყოფაში გვშევილოდა იმ მთის (და სოფლის) სახელი, სადაც სათავე აქვს ამ მდინარეს: სურები, რადგანაც „ებ“ აქ ქართული მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ჩანს (შეად. ტოლა და ტოლები გურიშივე), საფიქრებელი ხდებოდა, რომ, მდინარემ სახელი მიიღო მთისაგან: სუფსა სურ-ფსა, ე. ი. „სურის (სურების) მდინარე“²⁴⁷. გარდა გურიისა, გეოგრაფიული სახელების ეს ფორმანტი ს. ჯანაშიას დადასტურებული აქვს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ნაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, რომ მსგავსი სტრუქტურის სახელები (ჰიდრონიმები) დადასტურებულია იმ ანტიკური თუ ადრე შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში, რომლებიც საქართველოს შეეხება²⁴⁸. ს. ჯანაშიას მიერ დამოწმებულ მრავალცნობათა შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სომხური ანონიმური გეოგრაფიის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ზღ. ჭოროხს ეგრისელნი აკამფსისს უწოდებენ, ხალღები-კი „კაკა-ძარა“-ს²⁴⁹.

მდინარეთა სახელების წარმოებული ფორმანტი-ფსა, ს. ჯანაშიას აზრით, შეესატყვისება ჩერქეზულ-ადიღეურ „ფს“-ს, რაც იქ ნიშნავს „წყალს“. „მდინარეს“, რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილ ან აწინდელ ტერიტორიაზე²⁵⁰.

იმოწმებს რა ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას „ფსა“ სუფიქსიანი ტოპონიმების ეთნიკური კუთვნილების შესახებ²⁵¹ და ითვალისწი-

²⁴⁷ ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 118.

²⁴⁸ იქვე, გვ. 118, 119, შდრ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეკელმაძის გამოცემა, თბ., 1961, იხ. დანართი, ანონიმი (VI ს. ახ. წ.), მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 93.

²⁴⁹ სომხური ანონიმური გეოგრაფიის ეს ცნობა მითითებული აქვს ს. ჯანაშიას ნაშრომის მიხედვით, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

²⁵⁰ იქვე.

²⁵¹ И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, ВДИ, 1939, № 4, с. 42—45.

ნებს რა ფაქტობრივ მასალას, ს. ჯანაშია დაასკვნას, რომ „საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტომონი-
მია უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერ-
ქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის „ნაყვალუცია“²⁵². ს.
ჯანაშიას ჩერქეზულ ტომონიშებად მიაჩნია აგრეთვე „ყუა“-ზე და
„ფა“-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელებიც (ავრდაყუა,
აყუა, მალთაყუა, ბობოყუათი, ბოყუა, ბერუყუა და სხვ.)²⁵³.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აზრს
აქვს გამოთქმული პ. ინგოროყვას²⁵⁴. ამ მკვლევარის რწმენ-
ით, ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომელიც მუცისმუცთი კატეგორი-
ულობით არის წარმოდგენილი, არ შეეფერება სინამდვილეს²⁵⁵.
თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ მდინარეებს ანალო-
გიური სახელწოდებანი — წერს პ. ინგოროყვა — რომლებშიც ჩვენ
გვაქვს ეს ფუძე სიტყვა „ფსი“ (ფსა) | ფსისა, იგივე ფსი | ფსისი,
გვხვდება არა მარტო აფხაზეთის მხარეთა ამ მდინარეთა სახელწო-
დებებში — ნიკოფსისი (ნიკოფსია) და ლაგუნფსა, არამედ შიდა
საქართველოს მთელ რიგ მდინარეთა სახელებში²⁵⁶. ასეთებად
მკვლევარს მიაჩნია კოლხეთის მთავარი მდინარის ძველი სახელ-
